ლ. მეფარიშვილი, შ. სიხარულიძე

ფიო ჩიტაძე

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1964

ქართველ მოღვაწეთა შორის რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება თვალსაჩინო ჟურნალისტი, დამსახურებული პედაგოგი, ცხრაასხუთიანი წლების რევოლუციური მოძრაობის დაუღალავი მებრძოლი შიო ალექსის ძე ჩიტაძე. შიო ჩიტაძე იმ მოღვაწეთა რაზმს ეკუთვნის, რომელიც საზოგადოებრივი საქმის ძირითად ხერხემალს და სახალხო საქმის საძირკველს ადუღაბებს. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე შიო ჩიტაძის საქმიანობამ წარუშლელი კვალი დატოვა. მან პატიოსანი გზა განვლო თავის ხანმოკლე ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე და შერჩა ჩვენი კულტურის ისტორიას, როგორც მაღალი იდეალებისათვის თავდადებული, ჩვენი ერის სულიერი კულტურისათვის ენერგიული მშრომელი, მაღალი ადამიანური თვისებების ჰუმანიზმის შთამნერგავი, შეუდრეკელი რევოლუციონერი და ამავე დროს მეტად პოეტური პიროვნება.

შიო ალექსის ძე ჩიტაძე დაიბადა ქალაქ გორში, 1873 წლის 4 თებერვალს,[1] ღარიბი ხელოსნის ოჯახში.

---

[1] შიო ჩიტაძის დაბადების თარიღი დააზუსტა ახლად მიგნებულმა ავტობიოგრაფიამ Curriculum vital «Тетрадь Шио Читадзе», რომელიც აღმოჩნდა ქალაქ კიევის სახელმწიფო არქივში ЦГИА УССР, дело № 36. ამის გარდა, ჩვენ მოვძებნეთ დაბადების მოწმობა, რომლის პირი თბილისის რესპუბლიკური არქივისაგან მივიღეთ 1951 წელს. ყოველივე ამის შედეგად შესწორდა ლიტერატურაში არასწორად მითითებული თარიღი შიო ჩიტაძის დაბადების შესახებ.

შიოს მამა ალექსი ჩიტაძე მარჯვე კაცი იყო, მაგრამ მიუხედავად დაუღალავი შრომისა ეკონომიური სივიწროვე მაინც ჩაგრავდა, ვერ მოახერხა სიღარიბისაგან თავის დახსნა, ვერ გაიმართა წელში. ალექსის ერთი რამ ასულდგმულებდა: შვილებისათვის სწავლა-განათლება მიეცა, ქვეყნისათვის საჭარგებლო ადამიანები აღეზარდა.

შიოს დედა, დარია, სათნო და ენერგიული ქალი იყო, ის მხარში ედგა შრომისმოყვარე ქმარს. მათ ბევრი რამ აკლდათ: საჭმელი, ტანსაცმელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოთხ შვილს სასწავლებელში ზრდიდნენ.

შიო თავისი ბავშვობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ავტობიოგრაფიაში: „მე არ შემიძლია მოვიგონო. ვინ მასწავლა წერა-კითხვა, — მახსოვს მხოლოდ, რომ გაგიჟებით, მიყვარდა წიგნი.

ავიღებდი წიგნს და ვკითხულობდი ზეპირად იმ ლექსებს, რომელსაც სწავლობდა ჩემი უფროსი ძმა (გოლა ჩიტაძე. — ლ. მ.) და მე დამამახსოვრდა მოსმენით. წარმოდგენილი მქონდა, რომ ვკითხულობდი წიგნში. ასე მგონია, რომ კითხვა ვისწავლე ჩემით და წერა კი მასწავლა ჩემმა უფროსმა ძმამ“.[1]

გორის სასულიერო სასწავლებელში

1880 წელს, შვიდი წლის შიო გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს.

გორის სასულიერო სასწავლებელი მადლიანი კერა იყო ქართველ მომავალ მოღვაწეთა და მწერალთათვის, აქ მიიღეს დაწყებითი განათლება სხვადასხვა დროს: ლადო კეცხოველმა, იაკობ გოგებაშვილმა, სოფრომ მგალობლიშვილმა და სხვებმა. აქ ჩაეყარა საფუძველი შიო ჩიტაძის სურვილს, ენერგიულად ევლო ცოდნის მიღების დიდ გზაზე. გორის სასულიერო სასწავლებელში შვიდი წელი სწავლობდა შიო

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე. ავტობიოგრაფია, გვ. 1.

ჩიტაძე და განსაკუთრებით გამოირჩეოდა მის თანაკლასელთა შორის გონებრივი სიფხიზლითა და ნიჭით.

მისი მასწავლებელი სოფრომ მგალობლიშვილი[1] გადმოგვცემს, რომ დიდ გაჭირვებას უძლებდა პატარა მოსწავლე. სუსხიან ზამთარში დახეული ტანსაცმელი ეცვა სკოლაში. წაღებიდან სიცივისაგან გაწითლებული თითები მოუჩანდა, იყო შემთხვევა, სულ ფეხშიშველი დადიოდა სასწავლებელში, მაგრამ, მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, არასოდეს არ დაუგვიანია და გაკვეთილი არ გაუცდენია. პატარა შიო გორის სასულიერო სემინარიაში გამოირჩეოდა გულისხმიერებითა და დიდი ყურადღების უნარით, ის თითით საჩვენებელი ბავშვი იყო.

შიო ჩიტაძე მისი უნარისა და სწავლისადმი დიდი ინტერესის შესახებ სრულიად გაუზვიადებლად გადმოგვცემს ავტობიოგრაფიაში: „სწავლა მიადვილდებოდა, რასაც უნდა ვუმადლოდე ჩემს შესანიშნავ მეხსიერებას და დიდ ყურადღებას გაკვეთილების მსვლელობის დროს. გაკვეთილებისადმი დიდი, გულისხმიერების უნარი შემრჩა ბოლომდე.

თავისუფალ დროს მთლიანად ვანდომებდი კითხვას, ვკითხულობდი ყოველგვარ წიგნებს, რის შედეგადაც თხუთმეტი წლის ასაკში მე ვიყავი სავსებით კეთილგონიერი (განათლებული): ჩემს კითხვას არავინ ხელმძღვანელობდა, ყველას მოსწონდა, რომ ბევრს ვკითხულობდი, ცამეტი წლისას უკვე წაკითხული მქონდა რუსი კლასიკოსების თხზულებები, რომლებმაც ნაყოფიერი გავლენა მოახდინეს ჩემზე, დამაწაფეს სისტემატურ კითხვას. საბავშვო წიგნებს არც კი ვკითხულობდი“[2]. ამის გამო შიოს მის თანაკლასელ ამხანაგებზე მეტი განათლება ჰქონდა, უფრო მეტად ნაკითხი ბავშვი იყო, ამიტომ იყო, რომ შიოს

---

[1] სოფრომ მგალობლიშვილი ჩვენთვის ცნობილია, როგორც ხალხოსნური ლიტერატურის ყველაზე უფრო პოპულარული წარმომადგენელი საქართველოში. არანაკლებ საყურადღებოა მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც. ის აღმზრდელი და მასწავლებელია შიო ჩიტაძისაც და მისი მოგონებები სარწმუნო წყაროა იმ ახალგაზრდების დასახასიათებლად. რომელთაც მასთან უსწავლიათ.

[2] ავტობიოგრაფია, გვ. 2.

არ გამოეპარებოდა გაკვეთილებზე მსჯელობის დროს ამხანაგების მცდარი პასუხი. სოფრომ მგალობლიშვილის მეხსიერებას შემოუნახავს პატარა მოსწავლის გარეგნობაში ხაზგასასმელი ნიშნები, რის მიხედვითაც ჩვენ წარმოგვიდგება ცამეტი წლის შიო ჩიტაძის ცოცხალი სურათი: გიშერთმიანი, პატარა ტანის, ჩიორა ჩიტის მსგავსი.

მასწავლებელი განსაკუთრებული ყურადღებით იყო შიოსადმი. ეს თავისთავად მეტად ფაქიზად აღიბეჭდა მოწაფის გულში, გავლენა მოახდინა ბავშვის ზნეობრივ და გონებრივ მხარეზე, შეაყვარა ის საგანი, რომელსაც გულისხმიერი მასწავლებელი ასწავლიდა. შიომ განსაკუთრებით შეიყვარა მწერლები და მათი ნაწარმოებები, მწერლობა მისთვის იდეალად იქცა. „მწერლობის სიყვარული ჩამინერგა რუსული და ქართული ენის მასწავლებელმა, კაცმა უდიდესად მგრძნობიარემ, რომელსაც შეეძლო შეემჩნია მოსწავლეში უნარი და წარემართა იგი სწორი გზით... მან მოგვცა უფლება მშრალი ფაქტები ლექსებით და მოთხრობებით გაგვეცოცხლებია და ისე გადმოგვეცა.

მახსოვს ასეთი თემა იყო მოცემული: „ქართველი ხალხის ცრუმორწმუნეობა“. ჩვენ, ნაცვლად იმისა, რომ გადმოგვეცა მშრალი ჩამოთვლა ცრუმორწმუნეობის სახეებისა, ვამჯობინეთ დაგვეწერა მოთხრობა, სადაც ცრუმორწმუნეობა ცხოვრების შემადგენელ ელემენტად მოჩანდა“[1].

ეს „მგრძნობიარე“, მოსწავლის უნარის აღმომჩენი მასწავლებელი, სოფრომ მგალობლიშვილი იყო. შიო ჩიტაძის ამ ამონაწერს ავტობიოგრაფიიდან სავსებით ადასტურებს სოფრომ მგალობლიშვილის მოგონება, სადაც ვკითხულობთ: „მე, გორის სასულიერო სასწავლებელში ქართულ ენას ვასწავლიდი, წესად მქონდა დადგენილი, მეოთხეში რომ გადაჯიდოდნენ, მოსწავლეებს აღარ ვაწერინებდი თხზულებებს სასწავლებლის გამგეობისაგან დანიშნულს თემებზე, ვაძლევდი ნებას ეწერათ თავისით იმ საგანზე, რომელსაც უფრო იცნობდნენ, რაც ბავშვის სულსა და გულს უფრო შეეფერე-

[1] ავტობიოგრაფია, გვ. 3.

ბოდა, რაც მათ უფრო მოსწონდათ. ხან თვით მე ვურჩევდი ხოლმე გზასა, ვურჩევდი აეწერათ სოფლის საერთო დღესასწაულები, (ხატობა,) დაეწერათ ზღაპრები... ჩვეულებანი ხალხისა... რომელიმე სოფლის გაჭირვებული ოჯახის ცხოვრება და სხვა"[1].

შიო ჩიტაძის ინიციატივით გორის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასის მოსწავლეებმა გადასწყვიტეს, დაეარსებინათ ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალი. წინასწარმა მზადებამ შედეგიც გამოიღო და „გამოიცა" (მოსწავლეთა ხელით გადაწერილი და გაფორმებული) ჟურნალი „შრომა".

ხელნაწერი ჟურნალი „შრომა" მრავალფეროვანი იყო, გაჩნდა რამდენიმე განყოფილება: ორიგინალური მოთხრობების, ლექსების, პოემების, კრიტიკის, რებუსებისა და გამოცანების.

ჟურნალი „შრომა" მზადდებოდა შიო ჩიტაძის ხელმძღვანელობით და მასთან ერთად თანამშრომლობდნენ მისი თანაკლასელები: იაკობ ცინცაძე (მწერლობაში ია ეკალაძის ფსევდონიმით ცნობილი), დავით დავითაშვილი და სხვები. ჟურნალის შესახებ შიო მოგვითხრობს ავტობიოგრაფიაში: „...მასწავლებელმა (სოფრომ მგალობლიშვილი.—ლ. მ.) გაიგო ჩვენი ჟურნალის შესახებ და დათანხმდა რედაქტორობაზე".

საერთოდ სკოლის ხელმძღვანელები გულისხმიერებას იჩენდნენ ამ წამოწყების მიმართ. „...ინსპექტორიც კი, რომელსაც ჩვენი ჟურნალისათვის საშიშარ პიროვნებად ვთვლიდით. სიამოვნებით კითხულობდა ჩვენს არა ბრძნულ ქმნილებას. ეხლა სიამოვნებით ვიგონებ, რომ ჩვენს ღვაწლს არ ჩაუვლია უშედეგოდ, ჩვენ დავამთავრეთ (სასწავლებელი.—ლ. მ.), ხოლო დარჩენილმა მოსწავლეებმა განაგრძეს გამოცემა ჩვენს მიერ დაწყებულ ჟურნალისა"[2].

ჟურნალ „შრომაში" იწერებოდა შიო ჩიტაძის წერილები. მომდევნო ნომრის კრიტიკის განყოფილებაში შიოს წერილე-

---

[1] მოგონებანი — ლ. ასათიანის რედაქციითა და შენიშვნებით.

[2] იქვე.

ბის შეფასებაც იყო, აქებდნენ პატარა შემოქმედს. აქვე დაიწერა შიო ჩიტაძის პირველი მოთხრობა „ტყის დარაჯი ანტონა“, რომელშიც აღწერილია მოხუცი გლეხის მდგომარეობა, მისი მწარე თავგადასავალი. ამ მოთხრობით დაიწყო შიო ჩიტაძის სამწერლო ნათლობა, ამით გვაცნობს თავს მომავალი მწერალი.

შიომ გორის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა 1887 წელს და შეუდგა სწავლის გაგრძელებისათვის სამზადისს.

თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდი

თოთხმეტი წლის ბავშვს არ ასვენებდა ფიქრი, როგორ. რა საშუალებით განეგრძო სწავლა, რაც დრო გადიოდა, უფრო მძაფრი, განუზომელი ხდებოდა სწავლის სურვილი.

გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთა აზრით, შიოს სკოლის გარეთ დატოვება „საცოდაობა“ იყო.

შიოს მშობლებს არავითარი სახსარი არ გააჩნდათ, რომ მეორე შვილიც თბილისში გაეგზავნათ სწავლის გასაგრძელებლად. ალექსისა და დარია ჩიტაძეების უფროსი ვაჟი გოლა ამ დროს თბილისში სწავლობდა. გოლა ჩიტაძე, შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი, ხელმძღვანელობდა სემინარიის მოწაფეთა რევოლუციურ საქმიანობას და მჭიდრო ურთიერთობაში იყო თბილისის მოწინავე რუს და ქართველ რევოლუციურ ინტელიგენციასთან. გოლა ასევე აქტიურად დაკავშირებული იყო მუშათა მასებთან, ის ავრცელებდა რევოლუციურ ლიტერატურას მუშებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში. სემინარიის ხელმძღვანელობა კრძალავდა რევოლუციური ლიტერატურის კითხვას. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მოსწავლეები კარგავდნენ სტიპენდიასაც და გარიცხვის საშიშროების წინაშეც იდგნენ, მაგრამ არ იქნა და არა. სემინარიის ხელმძღვანელობამ ვერ წაართვა მოწაფეებს მოწინავე ლიტერატურის კითხვისა და გაცნობის შესაძლებლობა. ასე, მაგალითად, სემინარიის ადმინისტრაცია ფარულად ესხმოდა თავს მოსწავლეებს ბინებში და ეძებდა არალეგა-

ლურ ლიტერატურას. სემინარიის მოწაფეებს პოლიტიკური წრე ჰქონდათ დაარსებული, რომელსაც ხელმძღვანელობდა გოლა ჩიტაძე. პოლიტიკურ წრეში „მონაწილეობას იღებდნენ: ელ. დარჩიაშვილი (6 კლ.) აქვ. აბესაძე (3 კლ.), გიორგი შოშიაშვილი (4 კლ.), ეროდიონ ხოსიტაშვილი (3 კლ.), ნიკოლოზ კურდღელაშვილი (4 კლასიდან გამორიცხული 1892 წლის მაისში), გაფრინდაშვილი (3 კლ.), ნიკ. ალნიაშვილი (6 კლ.) და სხვანი"[1].

გოლა ჩიტაძე ახლო ურთიერთობაში იყო სახელგანთქმულ მწერალ მაქსიმ გორკისთან. გოლას შემდეგში პირადი მეგობრობაც ჰქონდა დიდ კლასიკოსთან. მაქსიმ გორკი 1891 წელს კავკავიდან ფეხით ჩამოვიდა თბილისში. გორკი თბილისში გაეცნო მოწინავე რევოლუციურ ჯგუფებს, თვით ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში და იმ არალეგალური წრის აქტიური მონაწილე გახდა, სადაც გაეცნო და დაუმეგობრდა გოლა ჩიტაძეს.

მაქსიმ გორკის გულწრფელად უყვარდა საქართველო მისი ლამაზი ბუნებით, დიდებული წარსულითა და მშფოთვარე აწმყოთი. იგი ერთ კერძო წერილში წერდა: „არასოდეს არ მავიწყდება თბილისი, სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც აი, უკვე ოთხი ათეული წელიწადია რაც დავდივარ. შეიძლება ვიფიქრო, რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისმა ხალხის რომანტიულმა გულთბილობამ, სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ის ბიძგი, რომლითაც ყოფილი მოხეტიალე ლიტერატორი გავხდი"[2].

ქართველი ხალხის გულთბილობას, საქართველოს ბუნების მომხიბლავ ძალას დიდი შემოქმედისათვის ბევრი ნაწარმოების თემაც შთაუგონებია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გორკის პირადი მეგობრობა გოლა ჩიტაძესთან, გაპირობებული იყო საერთო იდეური

---

[1] პროფ. ტრ. ხუნდაძე. ნარკვევი სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951 წ.

[2] ტექსტი მოგვყავს იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული ნარკვევებიდან. 1952 წ.. გვ. 297.

შიზანსწრაფვით. გოლა ჩიტაძესთან მეგობრობამ ხელი შეუწყო მწერალს დაეწერა მოთხრობა „შეცდომა“, რომელიც მიუძღვნა გოლა ჩიტაძეს.

მაქსიმ გორკი დიდად აფასებდა გოლა ჩიტაძის ნიჭსა და რევოლუციურ საქმიანობას.

აი რას წერდა დიდი შემოქმედი მის ერთ-ერთ მოგონებაში გოლა ჩიტაძის შესახებ: „გოლა ჩიტაძე ქართველი გლეხის შვილი, თბილისის ახალგაზრდობასა და მუშებში მარქსიზმის ერთი პირველი პროპაგანდისტთაგანი, იყო მეტად პოპულარული, განსაკუთრებით მუშებს შორის. ნაცნობობა ჰქონდა ხალხოსან რევოლუციონერებთან: გამყრელიძესთან, ჯაბადართან, ზუბატოვიჩთან და სხვებთან“.[1]

თბილისში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოსული უმცროსი ძმა შიო ჩიტაძე, მისი უფროსი ძმის გოლას საშუალებით გაეცნო და დაუკავშირდა დიდ შემოქმედს მაქსიმ გორკის. შიოს მიეცა საშუალება დაახლოებოდა აგრეთვე იმ წრეს, რომელთანაც მჭიდრო კავშირში იყო მისი უფროსი ძმა გოლა. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი მომავალ მოღვაწეს ადრევე გაეგო საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა, უფრო ძლიერად დაწაფებოდა ადამიანის საზოგადოებრივი მოვალეობისა, მისი ყოფის საიდუმლოების ამოხსნას.

შიო ჩიტაძემ სწავლის გაგრძელება შესძლო მისი ძმის გოლას საშუალებით, მშობლების დახმარების გარეშე.

გოლა ჩიტაძეს მძიმე პირობებში უხდებოდა სწავლა და ცხოვრება თბილისში მანამდისაც, სანამ უმცროს ძმას ჩამოიყვანდა სასწავლებლად და საპატრონოდ.[2] გოლა კერძო გაკ-

---

[1] ვ. ქ ა ჯ ა ი ა, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი შიო ჩიტაძე, 1948 წ., გვ. 7.

[2] 1884 წელს 9 ნოემბრის თარიღით სემინარიის პედაგოგიური საბჭოს სხდომების ჟურნალში აღნიშნულია, რომ მესამე კლასის მოწაფეს გრიგოლ (გოლა) ჩიტაძეს განუცხადებია თედო ჟორდანიასათვის, რომ არ აქვს დრო, ის სიღარიბის გამო იძულებულია მოწაფეები მოამზადოს, ვერ ახერხებს ისწავლოს საეკლესიო ქართული, რადგან ბევრი მუშაობა სჭირდება ამ საგანს. მას ეპატია „დანაშაული“ და რექტორის წინადადებით გოლა ჩიტაძეს დაუნიშნეს ყოველთვიური დახმარება ცხრა მანეთი. ცსსა, ფ. 440. საქ. 922. ფ. 540.

ვეთილებით იტვირთავდა თავს, ამზადებდა მოსწავლეებს და ამის გამო ვერ ასწრებდა სასწავლო საგნების მომზადებას. მისი ეკონომიური გაჭირვება სემინარიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი იყო, ცოტა დახმარებასაც აძლევდნენ ღარიბ მოსწავლეს, ასეთი პირობების მიუხედავად, გოლა მაინც ხელს უწვდის სწავლამოწყურებულ ძმას.

გოლას რჩევით შიომ გადასწყვიტა სწავლა განეგრძო გიმნაზიაში, რისთვისაც საჭირო იყო მისაღები გამოცდების ჩაბარება. შიოსათვის აუცილებელი იყო ლათინურ და ფრანგულ ენებში ენერგიული მეცადინეობა, საამისო საშუალება კი არ ჰქონდათ. შიომ გადასწყვიტა თვითონ ჩაჯდომოდა საგამოცდო საგნებს. დაინტერესებულმა და ნიჭიერმა ყმაწვილმა მთელი ზაფხულის მანძილზე დაძაბული მუშაობის შედეგად, მისაღები გამოცდები წარჩინებით ჩააბარა და ჩარიცხული იქნა თბილისის მეორე გიმნაზიის მესამე კლასში.

შიო ჩიტაძის ავტობიოგრაფიაში ზემოთ აღნიშნულის შესახებ ვკითხულობთ: „უფროსი ძმა კარგად იცნობდა სასულიერო სემინარიას, რადგან იქ სწავლობდა. არ მირჩია იქ შესვლა, მეც გავყევი მის რჩევას, დავიწყე მომზადება გიმნაზიაში მისაღებ გამოცდებისათვის და კარგადაც ჩავაბარე. მე მიღებული ვიყავი თბილისის პროგიმნაზიაში (!) მესამე კლასში, სადაც დავყავი ორი წელი“[1].

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში დიდი უბედურება დაატყდა თავს შიო ჩიტაძეს, — ტრაგიკულად დაეღუპა აღმზრდელი ძმა გოლა.

„დაძაბული მუშაობისა, მეცადინეობისა და შიმშილისაგან ჭკუიდან შეცდა“ — ასე გადმოგვცემს მაქსიმ გორკი თავის მოგონებაში.

ზემოდასახელებული სამი მიზეზი ჭეშმარიტად დაედო საფუძვლად ახალგაზრდა გოლა ჩიტაძის უბედურებას. ეკონომიური მდგომარეობა იძულებულს ხდიდა ეშრომა გამუდმებით, მას არ ჰქონდა პირობები ეზრუნა თავისი ჯანმრთელობისათვის, დასუსტდა, სულიერად დაავადდა.

---

[1] ავტობიოგრაფია, გვ. 3.

სრულიად ნათელია ყმაწვილი შიოს ცხოვრების პირობები, რამდენად ძნელად ასატანი სინამდვილის წინაშე იდგა იგი: ჭკუაზე შეშლილი ძმის პატრონობა და ბოლოს მოამაგის შემაძრწუნებელი სიკვდილი „...მე ზედიზედ ცხრა დღე გავატარე მასთან — მოგვითხრობს მაქსიმ გორკი, — ეს მეტად საძნელო საქმე იყო. რამდენჯერ სცადა მან ჩემი მოკვლა... და ბოლოს ის დააწვინეს საავადმყოფოში... ხუთი დღის შემდეგ საავადმყოფოს მოსამსახურეებმა კიბიდან გადმოაგდეს გოლა ჩიტაძე, ნეკნის ძვალი გაუტყდა, ნეკნის ნატეხმა გაუჭრა მას გული და მოკვდა.

ის ზეიმით დაასაფლავეს, დაესწრნენ ახალგაზრდები და მუშები"[1].

უფროსი ვაჟის ტრაგიკულად დაღუპვამ მძიმედ იმოქმედა ისედაც ილაჯგაწყვეტილ ოჯახზე. უფროსი შვილის დაღუპვის გამო, ოჯახს მოაკლდა ის მცირე დახმარება, რასაც გოლა აძლევდა მათ. (კერძო გაკვეთილებით მიღებულ კაპიკებს გოლა დედ-მამასაც უნაწილებდა).

თავის თავის ანაბარა დარჩენილი შიო მტკიცე ნებისყოფას იჩენს, უამრავ ენერგიას ხარჯავს და კერძო გაკვეთილების საშუალებით ახერხებს სწავლის გაგრძელებას. სწავლასთან ერთად შიო ენერგიულად დაეწაფა თვითგანვითარებას, სისტემატური მეცადინეობით ფართო განათლება მიიღო და მხურვალედ ჩაება საზოგადოებრივ, რევოლუციურ მუშაობაში. შიო დიდი ენერგიით მოეკიდა სასკოლო დისციპლინების შესწავლას. „ის წლები იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი წლები", მოგვითხრობს ავტობიოგრაფიაში იგი და აქვე განსაკუთრებით ფართოდ ჩერდება ზოგი მასწავლებლის პედაგოგიურ თვისებათა შეფასებაზე, რომელთაც ხელი შეუწყეს შიო ჩიტაძის სწორი შეხედულების ჩამოყალიბებას ცხოვრებაზე და ამ ცხოვრებაში ადამიანის მოვალეობაზე. „ამ დროს მე შევხვდი ისეთ მასწავლებელს, რომელმაც ჩემს განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა, გვასწავლიდა რუსულ და ლათინურ ენებს, დიდად მოყვარული თავისი საქმის, თავისი საგნის

[1] ჟურნალი «Молодая Гвардия». 1927 წ., № 4. გვ. 178 — 188.

ჩინებულად მცოდნე. მისი გაკვეთილი დატკბობა იყო ჩემთვის. ის კითხულობდა, არჩევდა ჩვენთან რუსი მწერლების ნაწარმოებებს, ჩვენ გვესმოდა მისი ახსნილი. ის გვავალებდა, ღრმად ჩავწვდომოდით წაკითხულ ნაწარმოებებს. მშრალი საეკლესიო სლავიანური ენა მისი განმარტების შემდეგ ცოცხლდებოდა.

მთელი საიდუმლოება ამ მიღწევისა იმაში მდგომარეობს, რომ ის ენათმცოდნეობის მეცნიერებას გვიშლიდა წინ, ბრუნვისა და უღლილების მექანიკურ დაზეპირებას არ გვავალებდა. საეკლესიო სლავიანური გვაინტერესებდა იმისათვის, რომ ის აუცილებელი იყო გაურკვეველ ცნებათა განმარტების საძიებლად... მე ხელახლა გადავიკითხე რუსი კლასიკოსების ნაწერები მისი ხელმძღვანელობით და უფრო შევიყვარე ისინი. წიგნების კითხვამ ჩემი გონებრივი ინტერესები გააფართოვა. იმ განსაკუთრებულმა პირობებმა, რომელშიაც მე ვცხოვრობდი, გამიღვიძა ინტერესი ესთეტიკის საკითხების შესწავლისადმი. მე წიგნებში ვერ ვპოულობდი ჩვეულებრივ პასუხს. აზრთა სხვადასხვაობა მაღრჩობდა და ვრჩებოდი დაუკმაყოფილებელი, ვიდრე არ გავეცანი ტოლსტოის მოძღვრებას ესთეტიკის შესახებ. მისი გულწრფელი მართალი ტონი, არაჩვეულებრივი ნათელი და მკვეთრი აზრები ახდენენ ჩემზე ძლიერ შთაბეჭდილებას, მე შევიქენი თაყვანისმცემელი „რუსეთის მიწის დიდი მწერლის“[1].

ჩვენ მოვიყვანეთ ამონაწერი შიო ჩიტაძის ავტობიოგრაფიიდან იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გაიზარდა 2—3 წლის მანძილზე, თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, ბევრი სიმწარის მნახველი ყმაწვილი კაცი. თავისი აზროვნების ჰორიზონტის ზრდას შიო ჩიტაძე საგნის კარგი ხელმძღვანელის წყალობად თვლის, თუმცა ეს, მართლაც, ერთი მთავარი ფაქტორია მოსწავლის გონების ჰორიზონტის გაფართოების საქმეში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ შიო თავიდანვე ძლიერად ეწაფებოდა ცოდნის მიღებას, უყვარდა. კითხვა, რაშიც სულიერ კმაყოფილებას და სიმშვიდეს პოუ-

[1] ჟურნალი «Молодая Гвардия», 1927 წ., № 4, გვ. 5.

ლობდა. დიდი გულისყური, რომელიც მას თან დაჰყვა — გაკვეთილის მოსმენის ეს აუცილებელი პირობა, ხელს უწყობდა მის გონებრივ ზრდას.

ტოლსტოის ესთეტიკური მოძღვრების ზეგავლენით „მე გადავწყვიტე დამემთავრებია სამედიცინო ფაკულტეტი, დავბრუნებოდი სოფელს და ჩემი ქვეყნის სამსახურისათვის მომეხმარა ჩემი ძალღონე“ — აი, ეს იყო მისი მომავალი მოღვაწეობის მიზანი, ჯერ კიდევ საბოლოოდ შეუცნობელი და ჩამოუყალიბებელი, ხორცშეუსხმელი და გამოუკვეთელი. საზოგადოებრივი ცხოვრების დღის წესრიგში წამოწეული საკითხები ყმაწვილ კაცს ზოგჯერ ისე აიტაცებდა, რომ გადაულახავ ფიქრთა მორევში ატორტმანებდა. მაგალითისათვის ერთი პატარა დეტალი ჩვენი წარსულიდან. კერძოდ, შიო ჩიტაძის თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდს დაემთხვა ისეთი საინტერესო მოვლენა, როგორიც იყო სათავადაზნაურო ბანკის ანგარიშები, რომელიც აღელვებდა განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მოსწავლეებს. საანგარიშო სხდომები თვეობით გრძელდებოდა და პრინციპული პაექრობა ამ სხდომებზე აინტერესებდა საზოგადოებას. ამ პაექრობას, ბანკის მოგებისა და მისი განაწილების თაობაზე წარმოთქმულ აზრთა დაპირისპირებას, შიო ჩიტაძეზე მეტად ღრმა გავლენა მოუხდენია.

საქართველოში საადგილმამულო ბანკის დაარსებიდანვე საბანკო საქმეებს ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში. საბანკო საქმეების მოწესრიგებას განათლებული და უნარიანი თანამშრომელი სჭირდებოდა. დიდმა ილიამ ბანკში სამუშაოდ მოიწვია ახალგაზრდა, ნიჭიერი ივანე მაჩაბელი. „„ვანო ჭკვიანი ბიჭია, ამასთანავე კარგი კალმის პატრონი. ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება“ — წერდა ილია ვასო მაჩაბელს, ვანოს უფროს ძმას, პეტერბურგში.

ივანე მაჩაბელი (1854 — 1898 წწ.) ილია ჭავჭავაძის თანამოღვაწე და თანამოკალმეც იყო, მათ ერთად თარგმნეს შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი“, რომელიც დღესაც უცვლელად იდგმება ქართულ სცენაზე. ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ ქართულ

პერიოდულ გამომცემლობაში. ისინი დიდ ენერგიას ახმარ-დნენ საზოგადოებრივ საქმეს, მაგრამ ბოლო ხანებში მათ შორის პრინციპული ხასიათის დავა დაიწყო ბანკის საკითხებ-ზე. ბანკის საქმე საზოგადოებრივი საქმე იყო. ყოველი წლის ბოლოს ფართო საზოგადოება ისმენდა ბანკის მუშაობის ანგარიშს, კრებებზე მძაფრი კამათი იმართებოდა, თავადაზ-ნაურთა პრეტენზიები თანდათან დიდდებოდა, მოითხოვდნენ მოგების დიდი პროცენტის მიღებას, მაშინ როცა ბანკის მო-გების დიდი პროცენტი საზოგადო კულტურულ-საგანმანათ-ლებლო საქმეს ხმარდებოდა. ამის გამო ჩნდებოდა აზრთა სხვაობა, მსჯელობა თვეობით გრძელდებოდა. ილია ჭავჭავა-ძისა და ვანო მაჩაბელის მოსაზრებანიც უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ბოლოს მათ შორის დამოკიდებულება გამწვავდა. ილია ხშირად თავს ესხმოდა ვანო მაჩაბელს, დაუნდობლად აკრიტიკებდა მას. საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო: „ჭავჭა-ვაძისტებად“ და „მაჩაბლისტებად“. ბანკის კრებები უამრავ ხალხს იზიდავდა, დიდ ინტერესს იჩენდა აგრეთვე მოზარდი თაობაც — გიმნაზიელები, ისინი სულგანაბული უსმენდნენ ორი ნიჭიერი მოღვაწის დაუნდობელ ბრძოლას.

შიო ჩიტაძე, გიმნაზიის მოსწავლე, მეტად დაინტერესე-ბული იყო ამ საზოგადო საქმის მსვლელობით. ის ამხანაგებ-თან ერთად ესწრებოდა ბანკის საჯარო კრებებს. გადაჭარბე-ბულად განიცდიდა მხარეთა ბრძოლას. იაკობ მანსვეტაშვილი ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ ფაქტის შესახებ: ...„მეტად კარგად ჩამმახსოვდა შიო ჩიტაძე, რომელიც მაშინ სემინარიის მოწაფე იყო (უნდა იყოს გიმნაზიის მოწაფე. — ლ. მ.). არ დამავიწყდება იმის აღგზნებული, ცეცხლივით გაელვარებული თვალები, რომელნიც გაშმაგებით დაშტერე-ბოდნენ ილიას, თვალი ისე ჰქონდა თვალში გაყრილი, რო-გორც გაონავარებულ ფუტკარს ნესტარი, იფიქრებდი ეს-ეს არის დაეცემა ვინმეს, დაჰგლეჯს და გადაყლაპავსო“.

პაექრობის გამწვავების დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძე მეტის გამეტებით დააცხრებოდა ვანო მაჩაბელს, — ეს გიმ-ნაზიელებში ძლიერ განცდას იწვევდა და ზოგჯერ სიმპათიები ვანო მაჩაბლის მხარეზე გადასწონიდა. შიო ჩიტაძეც დიდი

ინტერესით ადევნებდა თვალს ამ ორი შესანიშნავი ადამიანის ბრძოლას.

მოყვანილი პატარა დეტალი ნათელ სურათს გვაძლევს გიმნაზიელის აზროვნების, მომზადების და მისი მგზნებარე ხასიათის შესახებ, იმაზე, რომ შიო იმთავითვე დიდად დაინტერესებულია საზოგადოებრივი საქმით.

თბილისის მეორე გიმნაზია შიო ჩიტაძემ დაამთავრა 1892 წელს და დაიწყო ზრუნვა უნივერსიტეტში შესასვლელად.

შიო ჩიტაძე მოეწყო მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რისთვისაც ბევრი გაჭირვების გადალახვა მოუხდა.

მოსკოვის უნივერსიტეტში ჩარიცხვა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მასზე. სამედიცინო ფაკულტეტის სპეციფიკამ დააფიქრა მომავალი მოღვაწე. ის გაერკვა იმაში, რომ მისი შინაგანი ბუნება, მისი მისწრაფება სხვა გზისაკენ მოუწოდებდა მას. „მე მოვეწყვე მოსკოვის უნივერსიტეტში, — ამბობს ავტობიოგრაფიაში, — მაგრამ ჩქარა შემეცვალა შეხედულება. მედიცინის მეცნიერება მე სრულიად არ მაინტერესებდა. ტოლსტოით გატაცება თანდათან მიქრებოდა, შემეცვალა შეხედულება ადამიანთა შესახებ, იქვი და მერყეობა დამჩემდა, არ ვიცოდი რა მექნა, გავცლოდი ჩემს აღქმულ ოცნებას, თუ გავმხდარიყავი მედიკი. მე უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჩემგან ცუდი ექიმი გამოვიდოდა. გულის ტკივილით მივატოვე სამედიცინო ფაკულტეტი და გადავწყვიტე გადავსულიყავი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, დავუფლებოდი იმ მეცნიერებას, რომლისკენაც მიმიწევდა გული“[1]. შიომ სამედიცინო ფაკულტეტი მიატოვა, მაგრამ არ ვიცით რატომ და რისთვის არ მოისურვა მოსკოვის უნივერსიტეტში დარჩენა. ფილოლოგიისადმი მისწრაფება, სწავლის გაგრძელება ამ მიმართულებით მისთვის სავსებით გადაწყვეტილია, ამ მიზნის მისაღწევად ის ეწვია უკრაინის დედაქალაქს — კიევს.

---

[1] ავტობიოგრაფია, გვ. 5.

უნივერსიტეტის პერიოდი

შემთხვევითი არ არის, რომ შიო ჩიტაძის მომავლისადმი მისწრაფება დაუკავშირდა უკრაინის დედაქალაქის კიევის უნივერსიტეტს.

უკრაინა ქართველ მოღვაწეთა და ახალგაზრდობისათვის თბილ და მიმზიდველ კერას წარმოადგენდა. ქართველი მოღვაწეები უკრაინაში მშობლიური ქვეყნის მსგავს ატმოსფეროს გრძნობდნენ.

სახელოვანი მწერლის, დავით გურამიშვილისათვის უკრაინა მეორე სამშობლოდ ითვლებოდა, უკრაინა მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ასპარეზი იყო. შემთხვევითი როდია, რომ უკრაინელი ხალხი დავით გურამიშვილის სახელს უდიდესი სიყვარულით უვლის. ქართველი პოეტი და მოქალაქე უკრაინის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის განუყრელ მკვიდრად არის მიჩნეული.

უკრაინა საქართველოს ბედის მოზიარე ქვეყანა იყო, პოლიტიკურად ისიც ჩაგრული იყო დამპყრობლებისაგან საუკუნეების მანძილზე. უკრაინა ისევე, როგორც საქართველო, თავის საბოლოო ბედს დიდ რუს ხალხთან მეგობრობაში ეძებდა. ეს ორი ერი, უკრაინა და საქართველო, საერთო ბედმა ისტორიულად დაუკავშირა რუს ხალხს (რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხის დიდი ხნის მეგობრობა იყო იმის მტკიცე საწინდარი, რომ ეს ხალხი, ერთიმეორის გვერდით მდგომი, გასამკეცებული ძალით ამდგარიყო საერთო მტერზე — თვითმპყრობელობაზე საბოლოო გამარჯვებისათვის საბრძოლველად).

რუსეთის საზოგადოებაში რევოლუციური იდეების გაღვივებას თავისი ხმა შეუერთეს უკრაინამ, საქართველომ და რუსეთის იმპერიის სხვა მხარეებმაც. 90-იან წლებში უკრაინაში უკვე საკმაოდ გაღვივებულია რევოლუციური მოძრაობის ცეცხლი. რევოლუციური იდეები ვრცელდება განსაკუთრებით სამრეწველო ქალაქებში, უპირველეს ყოვლისა, კიევში. 90-იან წლებში კიევის უნივერსიტეტში ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. ისინი დიდი ენერგიით

ეწაფებოდნენ მეცნიერებას, ითვისებდნენ დემოკრატ მოაზროვნეთა იდეებს და აქტიურად ებმოდნენ ხალხთა უფლებების მოპოვებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

სწორედ ამ წლებში (1893 წელს), კიევის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა შიო ჩიტაძე. აქ მოელოდა ახალგაზრდა მეცნიერების მონაპოვართა დაუფლებას. მისი დაუცხრომელი ბუნება გამორკვევის, ძიების პროცესში იყო, ის ცდილობდა დაუფლებოდა მეცნიერების ისეთ დარგს, რომელიც პასუხს გასცემდა ცხოვრებაში წამოჭრილ საკითხებს; „მე ძლიერად დავეწაფე ფსიქოლოგიის შესწავლას, რომელიც ჩემს საყვარელ მეცნიერებად იქცა, მე მეგონა, რომ მას (ფსიქოლოგიას) შეეძლო პასუხის გაცემა ყველა საკითხზე, მჯეროდა, რომ ის შესძლებდა ამას, მაგრამ სიტყვიერებისადმი სიყვარული ისევ დამრჩა. ლიტერატურა იქცა ჩემთვის ყველაზე ძვირფას მონაცემად ფსიქოლოგიური ანალიზის დროს, ლიტერატურაში მაინტერესებდა ყველაზე მეტად ლირიკა, რომელიც ასახავს პოეტის სულიერ ცხოვრებას“.

შიო ჩიტაძე პირველ წლიდანვე სტუდენტთა საუკეთესო წრეში მოექცა, მაშინვე გამოვლინდა მისი ნიჭი და ფართო ერუდიცია, იგი შეიყვარა უნივერსიტეტის ახალგაზრდობამ. ნიჭიერ სტუდენტს პროფესორ-მასწავლებლებიც აფასებდნენ.

შიომ განსაკუთრებული სერიოზულობით დაიწყო მუშაობა რუსეთისა და მსოფლიოს გამოჩენილ კლასიკოსთა ლიტერატურულ მემკვიდრეობის შესწავლაზე. იგი დიდი ინტერესით ეცნობა გამოჩენილ რუს რევოლუციონერ დემოკრატების ნაწარმოებებს: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, უ. ნ. ტოლსტოის თხზულებებს, კ. დ. უშინსკის, ნ. ი. პირაგოვის პედაგოგიურ იდეებს. ის ჩასწვდა გამოჩენილ შემოქმედთა ჩანაფიქრს, შეიცნო მათი ნაზრევის მნიშვნელობა.

სტუდენტობის პერიოდში შიო ჩიტაძემ დაამუშავა მთელი რიგი თემები, ლიტერატურულ საკითხებზე, რომლებიც კიევის უნივერსიტეტის ახალგაზრდობის წინაშე წაიკითხა, ამით შიო ჩიტაძე ამზადებდა ნიადაგს ფართო ასპარეზზე გასვლი-



სახლი, სადაც ცხოვრობდნენ შიო ჩიტაძე და მისი მეუღლე უსტინა შჩერბანი-ჩიტაძისა. ქ. კიევი, მარინსკო-ბლაგოვეშჩენსკის ქუჩა. ახლა საქსაგონსკის ქ. № 22.

სათვის. ეწყობა მისი საჯარო მოხსენებები, რითაც ის მსმენელ საზოგადოებას აცნობს კაცობრიობის მიერ შექმნილ მაღალ სულიერ კულტურას, მწერალთა საუკეთესო ძეგლების პროგრესული მნიშვნელობა მიაქვს მსმენელამდე, ხსნის მწერლის საკაცობრიო იდეალების კვანძებს. შიო ჩიტაძე ბევრს შრომობს იმისათვის, რათა ჩაწვდეს კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებების მაღალ ესთეტიკურ-მორალურ მნიშვნელობას. სტუდენტობის პერიოდშივე გვევლინება შიო ჩიტაძე, როგორც პროგრესულად და ღრმად მოაზროვნე სტუდენტი.

სტუდენტობის პერიოდიდანვე ყურადღებას იპყრობს შიო ჩიტაძის დაკვირვებები ლიტერატურისა და ესთეტიკის საკითხებზე. ამ პერიოდის ნაშრომია „განათლება და ლიტერატურა პეტრე დიდის დროს". (დაუწერია და საჯაროდ წაუკითხავს ავტორს 1897 წელს[1]).

დასახელებულ ნაშრომში მოჩანს შიო ჩიტაძის დიდი განათლება, ისტორიული ფაქტების ცოდნა და მხატვრული გემოვნება.

ნაშრომი („განათლება და ლიტერატურა პეტრე დიდის დროს") ასახავს დიდი რუსეთის სახელმწიფო მმართველისა და საზოგადო მოღვაწის პეტრე დიდის დამსახურებას. „პეტრე დიდის რეფორმებით რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მკვეთრ გადატრიალებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ამ ეპოქის განათლებისა და ლიტერატურის ხასიათზე, ლიტერატურა და განათლება დიამეტრალურად საწინააღმდეგო გზით წარიმართა... პეტრეს რეფორმებმა ახალ თემებზე მიუთითა ლიტერატურას, მიუთითა ცხოვრებასთან ახლო მისვლა, ხალხისათვის სასარგებლო, ცოცხალ საკითხებზე წერა დაავალა. მე-17 საუკუნის ლიტერატურას რუსეთში არ შეუქმნია არც ერთი ისეთი ჟანრის ნაწარმოები, რომელიც შემცველი ყოფილიყო ცოცხალი თესლის, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონოდა შესაფერ პირობებში აღმოცე-

---

[1] ნაშრომი არ გამოქვეყნებულა, ტექსტი დაცულია უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში. საქმე № 1348.

ნებულიყო და დამკვიდრებულიყო ლიტერატურაში. პეტრეს პერიოდის ლიტერატურამ შექმნა ნაწარმოების ისეთი ჟანრი, სახელდობრ სატირა, რომელსაც შემდეგ მიმდევრებიც, გამგრძელებლებიც აღმოუჩნდათ მთელ რიგ სატირულ ჟურნალებში და შემდეგ პუშკინის და ლერმონტოვის ნაწერებშიც და შეცვლილი სახით გოგოლშიც"...

ცხოვრების ცვლილება, ბაზისის ცვლილება, იძლევა მისი ზედნაშენის ცვლილებასაც, მკვეთრი გადატრიალება რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იძლევა ცვლილებებს განათლებასა და ლიტერატურაშიც. ნაშრომის შემდგომ ნაწილში შიო ჩიტაძეს მოხდენილი მაგალითები აქვს მოყვანილი ლიტერატურული მასალებიდან. განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ის ადგილი, სადაც განხილულია ლიტერატურაში ფორმისა და შინაარსის საკითხი. ავტორი აღნიშნავს: „მთავარი სახე მე-17 საუკუნის ლიტერატურისა ქადაგება, გადავიდა პეტრეს ეპოქის ლიტერატურაშიც, მხოლოდ შეცვლილი სახით და განსაკუთრებით შეცვლილი შინაარსით".

ამ ჭეშმარიტ დასკვნებს ის აკეთებს თეოფანე პროკოპოვიჩის შემოქმედების გაანალიზების შედეგად.

მკვლევარი შიო ჩიტაძე ამბობს: „პროკოპოვიჩი მიხვდა, რომ აზრთა რელიგიურ შეფარდებას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მიმზიდველობა მსმენელებში და მქადაგებელი მეტად გონიერად იყენებდა ამ მდგომარეობას. ქადაგების საშუალებით მიჰქონდა ახალი აზრი და ახალი საქმის მნიშვნელობა მსმენელამდე, მათ აზროვნებამდე. ის (პროკოპოვიჩი), კითხვებით იწყებდა ქადაგებას, რატომ შექმნა ღმერთმა ზღვები და მდინარეები... პროკოპოვიჩი ძველი ფორმით (ქადაგების ფორმით) ანვითარებდა ახალ შინაარსს და ხალხს არწმუნებდა პეტრეს ღონისძიების, ფლოტის დაარსების დიდ მნიშვნელობაში. პეტრეს ახალი რეფორმების მიღების დროს, ხალხში ქადაგებისას, ის იყენებდა საეკლესიო ავტორიტეტების მოსაზრებებს (მაგ., ბასილ დიდის მოძღვრებიდან და ა. შ.) პროკოპოვიჩის შემოქმედების უახლოესი ამოცანა იყო ცხოვრების ყოველდღიური ცვლილებების ასახვა, ყოვე-

ლი ახალი რეფორმა მის ქადაგებაში პოულობდა გამართლებას. ქადაგების გზით ახალი რეფორმის მიღებისათვის მოწოდება, ამ რეფორმის დანერგვას უწყობდა ხელს".

ამგვარად ხსნის შიო ჩიტაძე პეტრეს დროის მოღვაწე მწერლის პროკოპოვიჩის მიზანსწრაფვას.

ცხოვრების ახალი ფორმა და შინაარსი მის შესატყვის ლიტერატურაში პოულობს ასახვას, ახალი ლიტერატურა განიმსჭვალება ახალი შინაარსით, ხოლო ეს ახალი ლიტერატურა პირველად იყენებს მის ძველ ფორმას მანამ, სანამ არ დაიწყება ჭიდილი ძველ ფორმასა და ახალ შინაარსს შორის. შიო ჩიტაძე პროკოპოვიჩს აფასებს, როგორც პეტრე დიდის რეფორმის დამცველ ლიტერატორს, პეტრეს პერიოდის სიახლის ხალხის შეგნებამდე მიმტან მოღვაწეს. შიო ჩიტაძის ნარკვევში ვკითხულობთ: „უბრალოება, ცოცხალი სიტყვა იუმორში გადასული და ზოგჯერ სატირაშიც, ბუნებრიობა, აი, განსაკუთრებული ნიშნები პროკოპოვიჩის ქადაგებისა". აქ განსაკუთრებით ხაზგასმულია პროკოპოვიჩის დამახასიათებელი სტილისტური ნიშნები, მისი ქადაგების ფორმა.

შიო ჩიტაძე აანალიზებს აგრეთვე ამავე პერიოდის მეორე შემოქმედის კანტემირის ლიტერატურულ დამსახურებას.

კანტემირმა გადაწყვიტა მხატვრული ნაწარმოებით დაეცვა პეტრე პირველის რეფორმა და იმ დროის განათლებისათვის ემსახურა მთელი შესაძლებლობით.

კანტემირი არ ყოფილა მარტო, მასთან იყვნენ სხვებიც, რომლებიც იცავდნენ პეტრეს დროის განათლების ფრონტს, მაგრამ კანტემირის მეთოდი განსაკუთრებით გამოირჩეოდა სხვათა შემოქმედებითი მეთოდისაგან, კანტემირის სატირა მოქმედებდა მკითხველთა გრძნობებზე. სატირაში ასახული ტიპები გამოხატავდნენ საზოგადოების უარყოფით თვისებებს, ჩამორჩენილ აზროვნებას და ასეთ ტიპთა გალერეის შექმნით კანტემირმა დადებითი გავლენა მოახდინა მკითხველებზე, ხალხი უარყოფითად განეწყო ყოველგვარ დრომოჭმულ თვისებათა წინააღმდეგ. კანტემირმა ხელი შეუწყო ხალხში პეტრე დიდის რეფორმებისა და განათლების დაცვისათვის საზოგადოების მომზადებას.

კანტემირის სატირაში მკვეთრი კრიტიკით აისახა დიდგვაროვანთა წარმოშობით დამკვიდრებული უპირატესობა. მან წინ წამოსწია ადამიანის ღირსებისა და უპირატესობის, ნიჭისა და უნარის დაფასება, რომელსაც პეტრე დიდის პოლიტიკა ქადაგებდა, „ადამიანის ღირსება არა წარმოშობაშია, არამედ მის ნიჭსა და უნარში" — ამბობს მკვლევარი. შიო ჩიტაძე ასეთ შეფასებას აძლევს კანტემირის შეხედულებებს: „კანტემირი მეტად ნიჭიერად ურჩევს „წარმოშობის" უპირატესობის დამცველებს, ნება მიეცით ახალ ადამიანებს საფუძველი ჩაუყარონ თავიანთ წარმოშობას, რომლებიც შესძლებენ მომავალში გახდნენ ისეთივე სასახელონი, როგორც სხვა უძველესნი კეთილშობილ დიდგვაროვანთა წინაპარნი. შემდეგ გახდნენ სახელოვანნი". შიო ჩიტაძე კანტემირის ამ შეხედულებას პროგრესულ მოვლენად სთვლის. ახალი თაობის ნიჭისა და უნარის მიხედვით დაფასება მის თანადროულობისათვის დიდი წინწადგმული ნაბიჯია ლიტერატურაში. კანტემირის შემოქმედებაში შიო ჩიტაძე ნაკლსაც ხედავს. მკვლევარი ამბობს, რომ კანტემირი ხშირად სესხულობს ასაბვის ხერხებს სხვა მწერალთა ნაწარმოებებიდან, მაგრამ მისი თანადროულობა საკმაოდ რელიეფურად მოჩანს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებით, მის სატირებში.

შიო ჩიტაძის აზრით, კანტემირის სატირებში პერსპექტივაც მოჩანს. „კანტემირი ცდილობს აკრეთვე დაგვიხატოს იდეალური ცხოვრება. მისი იდეალები ახალი ცხოვრების შეცნობის უშუალო შედეგით" — ამბობს ის.

შიო ჩიტაძე ამავე ნაშრომში ამხელს პეტრე დიდის რეფორმების მოწინააღმდეგეთა პოზიციებს, ის ეხება სტეფანე იაროვსკის შეხედულებებს, რომელიც პეტრე დიდს საჯაროდ აკრიტიკებდა, ბრალს დებდა ქრისტიანული სარწმუნოების დარღვევაში. ნარკვევში აღნიშნულია ჩიტაძის მიერ ისიც, რომ იაროვსკი ამავე დროს დიდ გაკვირვებას გამოთქვამდა პეტრე დიდის მიღწევების შესახებაც, ის თავის ქადაგებებში ამყარებდა კიდეც ამ გაკვირვებას. ლიტერატურის თვალსაზრისით იაროვსკის ახალი არაფერი არ შეუქმნია.

პეტრე დიდს მოგზაურობა ცხოვრების წინ წამწევ საშუ-

ლებად მიაჩნდა, მან დიდი ღონისძიება ჩაატარა მოგზაურობის დაწესებით, რის შედეგადაც რუს ხალხში გაღვივდა ინტერესი მეცნიერული მუშაობის ხაზითაც. გაჩნდა ორიგინალური ნაშრომები მოგზაურობის ისტორიისა და ეკონომიური მეცნიერების დარგებში. თუმცა ამ ორიგინალურ შრომებს მეცნიერული სიზუსტე არ გააჩნდა განვითარების ამ ეტაპზე, მაგრამ მაინც ახალი აზრი შეიქმნა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ყურადღებას იპყრობს მკვლევარის დაკვირვებები პეტრე დიდის პერიოდის ზოგიერთ შრომებზე.

შიო ჩიტაძე აღნიშნავს: „ტატიშჩევმა თავის ისტორიაში მოგვცა საწყისი ისტორიის მასალათა კრიტიკული დამუშავებისა, რამაც საკმაო გავლენა მოახდინა ლომონოსოვისა და ტრედიაკოვსკის ისტორიულ შრომებზე“. შიო ჩიტაძის ამ შრომაში ვეცნობით მე-17 საუკუნის საფრანგეთის სქოლასტიკური სკოლის კრიტიკულ ანალიზს, რომელიც დაპირისპირებულია პეტრე დიდის რეფორმების პროგრესულობასთან. ახასიათებს რა ამ პერიოდის სკოლებისა და განათლების დიდ პერსპექტივებს, ჩიტაძე სწერს: „მე-17 საუკუნის სქოლასტიკურ სკოლას არ შეეძლო დაეკმაყოფილებია ახალი მოთხოვნილებები, საჭირო შეიქნა ახალი ტიპის სკოლების შექმნა, ახალი ხასიათის მეცნიერების განვითარება, და პეტრე დიდმა დააარსა ახალი ტიპის სკოლები: ნავიგაციის, არტილერიის და მიწისმზომელთა აღმზრდელი სკოლები. ასეთი სპეციალური სკოლები საჭიროებდა შესაფერ მომზადებას... პეტრე დიდმა განიზრახა აკადემიის დაარსება, რომელიც მომსაბურეობას გაუწევდა არა მარტო უმაღლესი ცოდნის მოსამზადებელ დაწესებულებებს, არამედ მოამზადებდა ადამიანებს, რომელთაც შეეძლებოდათ თავიანთი ნიჭით, გამოგონებებით და აღმოჩენებით წინ წაეწიათ პირველყოვლისა თავისი ქვეყნის მრეწველობა“[1].

პეტრე დიდის მოღვაწეობის პერიოდში განათლების დარგში ჩატარებული ღონისძიებები ნიადაგს ამზადებდა დიდი რეფორმების დასამკვიდრებლად. რეფორმებმა სრულიად

---

[1] „განათლება და ლიტერატურა პეტრე დიდის დროს“, ЦГИА УССР, საქ. № 1348, გვ. 10.

შეცვალა ძველი სქოლასტიკური განათლების სისტემა და დაამკვიდრა ახალი, რეფორმების შესატყვისი განათლების სისტემა, პროგრესული სისტემა.

ნარკვევის დასასრულს შიო ჩიტაძე ამბობს: „მოვახდინეთ რა საერთო დახასიათება პეტრე დიდის დროის განათლებისა და ლიტერატურის, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი იყვნენ გამომსახველნი თანამედროვე გაჭირვების, მოთხოვნილებისა და მისწრაფებების. ის, რასაც იძლეოდა განათლება, გამოსახულებას პოულობდა ლიტერატურაში, ლიტერატურა კი იყო განმანათლებელი, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული სრული დამოუკიდებელი ხასიათი იმის გამო, რომ ჩაისახა გარდამავალ პერიოდში, მაგრამ დათესა მომავალი განვითარების საღი თესლი“.[1]

გამოკვლევის („განათლება და ლიტერატურა პეტრე დიდის დროს“) ანალიზს მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტს ჩიტაძეს აქვს ფართო ერუდიცია და კვლევის უნარი. იგი ლოღიკურ აზროვნებასა და მაღალ მხატვრულ ნიჭთან ერთად კვლევის სწორ მეთოდსაც ფლობს. შიო ჩიტაძეს ლიტერატურის დანიშნულების შესახებ სწორი შეხედულება აქვს. ყოველი ახალი ლიტერატურული მასალა განხილული აქვს, როგორც ეპოქის აწმყოსა და მომავლის ამსახველი. მისი აზრით, პროგრესულად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეა, რადგანაც ის ხელს უწყობს ეპოქის მიზნების განმტკიცებას. შიო ჩიტაძეს მახვილი ხედვაც გააჩნია, მას უნარი აქვს შეიცნოს ცხოვრების სიახლისადმი მტრულად განწყობილი მოსაზრებები და ერთი კალმის მოსმით გასაგები გახადოს ახალსა და ძველ იდეათა შორის ჭიდილი.

სტუდენტობის პერიოდში შიო ჩიტაძეს ბევრ ლიტერატურულ საკითხებზე უმუშავნია, მაგრამ ჯერჯერობით ზემოთ გაანალიზებული ნაშრომის მეტი არ ჩანს. ამ პერიოდის ნაშრომების შესახებ თვითონ შემდეგს მოგვითხრობს: „ჩემს საყვარელ მწერლებად ვთვლიდი ძლიერ პიროვნებებს: ბაი-

---

[1] „განათლება და ლიტერატურა პეტრე დიდის დროს“.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 11.

რონს, ლერმონტოვს, მიცკევიჩს, პუშკინს, კონოპნიცკაიას, ნადსონს. ჩემი შთაბეჭდილებები და ამ მწერალთა შემოქმედებაზე ჩატარებული მუშაობის შედეგები გამოვაქვეყნე რამოდენიმე რეფერატში, რომელთაგან ნაწილი წავიკითხე უნივერსიტეტში პრაქტიკული მეცადინეობის დროს და ნაწილი ლიტერატურულ წრეში და ნაცნობებში. ეს რეფერატებია შემდეგი: „პუშკინის ლირიკა", „კავკასია ლერმონტოვისა და ქართველ მწერალთა პოეზიაში", „მიცკევიჩის ლირიკის დამახასიათებელი ნიშნები", „ნადსონის პოეზია". ჩამოთვლილ ნაშრომებზე ვერაფერს ვიტყვით, ტექსტები, როგორც აღვნიშნეთ, არ არის მიგნებული.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შიო ჩიტაძე, ლიტერატურულ-კვლევითი მუშაობის გარდა, ყურადღებას იპყრობს როგორც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწე. კიევის უნივერსიტეტში შესვლისთანავე, იგი ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს აქტიური წევრი გამხდარა. ამასთანავე ის საუნივერსიტეტო წრეების აქტიურ წევრადაც გვევლინება და პროგრესულად განწყობილი პოლიტიკური მოღვაწის პოზიციაზე დგება, იბრძვის იმისათვის, რომ რევოლუციური იდეა-მისწრაფებანი გააღვიოს და გაავრცელოს ახალგაზრდობაში.

ჩიო ჩიტაძე ბუნებით გაბედული, მებრძოლი განწყობილების ახალგაზრდა იყო. აღსანიშნავია, შიო ჩიტაძის როლი კიევის სტუდენტთა 1897 წლის პოლიტიკურ დემონსტრაციაში.

პეტერბურგის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელ მარია თეოდორეს ასულ ვეტროვას ბრალად დაედო რევოლუციური ხასიათის წიგნების შენახვა, რისთვისაც იგი დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს. ცალკე კამერაში მოთავსებულმა სტუდენტმა ვეტროვამ ვეღარ აიტანა მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა. მის კამერაში გათამაშებულ ამორალურ აქტს შედეგად ის მოჰყვა, რომ ვეტროვამ სხეულზე ნავთი გადაივლო, ცეცხლი წაიკიდა და დაიწვა. — წამებით სიკვდილი ამჯობინა შეურაცხყოფილ სიცოცხლეს.

პეტრე-პავლეს ციხის ტრაგედია ახალგაზრდობისათვის

შფოთის, არეულობისა და გაფიცვების მიზეზი გახდა. აღშფოთება მოედო ჯერ პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობას და შემდეგ მთელი რუსეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელს.

კიევის არქივში დაცული მასალები ნათელ სურათს გვაძლევენ ამ ფაქტის შესახებ. კიევის უნივერსიტეტის ახალგაზრდობა მაშინვე გამოეხმაურა ამ აქტს და მათი მღელვარება მასიურ დემონსტრაციაში გადაიზარდა.

კიევის სტუდენტთა დემონსტრაციების მომზადების ინიციატივა კიევის სათვისტომოს გაერთიანებული ორგანიზაციის კავშირს ეკუთვნოდა. ამ კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შიო ჩიტაძე იყო. სათვისტომოს გაერთიანებული ორგანიზაციის კავშირი 1897 წლის 16 მარტს უშვებს პროკლამაციას. პროკლამაცია მოუწოდებს ახალგაზრდობას უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაუზოგავად ამათრახებს თვითმპყრობელობას, გადმოსცემს ვეტროვას ტრაგედიას. ტექსტი მოგვყავს მთლიანად: „1897 წლის 12 თებერვალს პეტრე-პავლეს ციხეში სიცოცხლეს გამოესალმა ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი მარია თედორეს ასული ვეტროვა. პროკურორი გორემიშკინისა და ვეტროვას ამხანაგის გადმოცემით, მან სხეულზე გადაივლო ნავთი და ცეცხლი მოიკიდა. განსვენებულ ვეტროვას ხასიათში არ იყო ნიშნები იმისა, რომ მას მოსალოდნელი სასჯელის შეშინებოდა, ის ეკუთვნოდა ღრმა რწმენის მქონე იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელნიც შეგნებულად საქმისადმი თავგანწირულნი არიან და რომელთაც არ აშინებთ მკაცრი სასჯელი. თვით სასჯელი არ იყო დიდი. ვეტროვას ბრალდებოდა რევოლუციური გამოცემების შენახვა. განსვენებულს არ ჰქონდა მიდრეკილება მელანქოლიისადმი. მისი დების გადმოცემით. ბოლომდე მხნედ და ვაჟკაცურად იტანდა განმარტოებული პატიმრის სიმძიმეს. რამ აიძულა ასეთი ღრმა რწმენის ადამიანს ტანჯვით დაემთავრებინა სიცოცხლე? — პასუხს ვერსაიდან ვერ მიიღებ, საფლავი არ გამოამჟღავნებს თავის საიდუმლოებას. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მივხვდეთ, თუ რა იყო მიზეზი ვეტროვას სიკვდილისა, როგორმა უცნაურმა

თავდაუღწეველმა მწუხარებამ მიიყვანა იგი თავის დაწვამდე. მისი სიკვდილი იყო დამამთავრებელი აქტი იმ ტრაგედიისა, რომელსაც მარტომყოფ პატიმრის საკანში ჰქონდა ადგილი. ტრაგედიის გმირი იყო კიჩინი, ან მისი მსგავსნი. კიევის გაერთიანებულ სათვისტომოს საბჭოსა და ორგანიზაციებს არ აქვთ საფუძველი, არ დაუჯერონ პეტერბურგელი ამხანაგების ცნობას, მით უმეტეს ეს ცნობა დამოწმებულია ჩვენს მიერ ვეტროვას კიეველი ამხანაგებისაგან, რომლებიც ადასტურებენ, რომ განსვენებულს ჰქონდა მტკიცე ხასიათი და უარყოფენ მის ხასიათში ისტერიულ მიდრეკილებას. არავისთვის არ არის უცნობი, თუ როგორ ექცევიან ციხეში პატიმრებს, როგორ ტანჯავენ მათ. ჯერ არავის დავიწყებია კარსკის შიმშილობის, იაკუტსკის ხოცვა-ყლეტისა და მსგავსი თვითნებობისა და ძალადობის ფაქტების შესახებ.

პეტერბურგმა თავისი მანიფესტაციით აშკარად დაადგინა სამწუხარო ფაქტის სიმართლე. მეფის დესპოტიზმისაგან დამცირებული და დავიწყებული რუსეთის საზოგადოება გამოაფხიზლა ვეტროვას უბედურებამ. განსვენებულის პანაშვიდზე ყაზანის ტაძარში შეგროვდა მრავალათასიანი ხალხი. აქ იყო სტუდენტობა ყველა სასწავლებლიდან, პროფესორები, მუშები. ყველას აერთიანებდა ამ საშინელების ძლიერი გრძნობა და ხელისუფლებისადმი ზიზღი. კიევის სათვისტომოს გაერთიანების საბჭო საჭიროდ არ თვლის სიჩუმეს, ხედავენ რა ხელისუფლების მიერ ჩადენილ სამარცხვინო ფაქტს. გაერთიანებულ სათვისტომოს საბჭოს ღრმად სწამს, რომ ვეტროვას თვით დაწვა გამოწვეულია იმპერატორ ნიკოლოზ მეორის დამცველთა ძალადობით.

კავშირის საბჭო მოუწოდებს ყველას, ვისშიაც ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ადამიანური ღირსების გრძნობა, — გამოთქვას პროტესტი პეტრე-პავლეს ციხის ტრაგედიის გამო. ამ პროკლამაციის წამკითხველებმა დაიხსომონ, რომ ვეტროვას უყვარდა მუშათა საქმე და მისთვის დაიღუპა. რუსმა ინტელიგენტმა ერთხელ კიდევ გაიხსენოს, რომ ვეტროვას ხვედრი

შეიძლება შეხვდეს მის დას, ან ძმას ან მის ვაჟიშვილს, გაჩუმება არ არის საჭირო, უარესი იქნება!

კიევის სათვისტომო კავშირისა და ორგანიზაციის საბჭო.

კიევი, 18 მარტი, 1897 წ.".

ამ პროკლამაციას დიდი გამოძახილი ჰქონდა. პოლიტიკური დემონსტრაციების ტალღა მთელ უკრაინას მოედო. კიევის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები გამოვიდნენ ქუჩებში 18 მარტს, მათ შეუერთდა ხალხი, კიევის ქუჩები აივსო დემონსტრანტებით. მთავრობა სასტიკად გაუმასპინძლდა დემონსტრანტებს, სათვისტომოს კავშირის საბჭომ მეორე პროკლამაცია გაავრცელა, რომელშიც აგებინებდა ხალხს, რომ ვინაიდან 18 და 19 მარტის საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეთ სასტიკი სასჯელი მოელით ხელისუფლებისაგან, დემონსტრაციის მოწყობაზე ჯერჯერობით საჭიროა თავის შეკავება, (პროკლამაცია დათარიღებულია 1897 წ. 22 მარტით)[1], ხოლო ამის შემდეგ 25 მარტის პროკლამაციაში აღწერილია კიევის 18 და 19 მარტის დემონსტრაციის ზუსტი სურათი და მისი შედეგები. ეს პროკლამაცია ისტორიული დოკუმენტია. კიევის 18—19 მარტის ტრაგედია გადმოცემულია დახვეწილი ენით, მხატვრულად. მკითხველი არა მარტო წარმოიდგენს კიევის ახალგაზრდობისა და ხალხის საპროტესტო დემონსტრაციას, არამედ განიცდის ისე ძლიერად, თითქოს თვით მონაწილეობდეს მასში. ამ პროკლამაციაში მოთხრობილია, რომ კავშირის საბჭოს მოწოდების თანახმად, 18 მარტს ვლადიმირის ტაძარში უნდა გამოცხადებულიყო ყველა, — „ვისაც ჯერ კიდევ არ ჩაქრობია ადამიანური ღირსება" და დასწრებოდა ვეტროვას პანაშვიდს. 11 საათზე შეგროვდა სტუდენტობა და თანამოაზრე საზოგადოება, მაგრამ ისინი ტაძარში არ შეუშვეს, რადგან დილიდანვე პოლიციის მიერ შეკრული იყო ყველა გზა, მიუხედავად ამისა, ხალხის დინება ვერ შეწყვიტეს და ცხენოსანი პოლიცია იძულებული გახდა შემოერტყა ალყა ხალხისათვის. ხალხი კვლავ ემატებოდა ალყაშემორტყმულ ნაწილს.

[1] უკრ. ც. სახ. არქ., № 256.

გამოცხადდა გენერალი ნ ო ვ ი ც კ ი და პოლიციელთა ჯგუფს მიემატა ცხენოსან კაზაკთა რაზმი, რომლებმაც ხალხს თხოვნით მიმართეს დაშლილიყვნენ, მაგრამ უშედეგოდ, დემონსტრანტები იდგნენ წვიმაში თავშიშველნი და მღეროდნენ „სამარადისო ხსოვნას“.

ბოლოს გენერალმა ნოვიცკიმ გასცა ბრძანება ხალხი გაერეკათ საპატიმროსაკენ. დაიწყო ხალხის წამება...

19 მარტს ხელახლა დაიწყო დემონსტრაცია კრემჩატკის და ბესარაბიის მოედანზე. მოხდა შეტაკება პოლიციასა და ხალხს შორის. კაზაკთა რაზმი თანდათან ავიწროვებდა ხალხის რკალს. მრავალათასიანი დემონსტრანტები დასძრეს ადგილიდან და გარეკეს საპატიმროსაკენ, რომელთაც წინა დღით დაპატიმრებულნი შეხვდნენ ტაშის გრიალითა და ვაშას ძახილით. ხალხთა ურთიერთ თანაგრძნობამ და ხელისუფლების შეურაცხმყოფელმა გამოსვლებმა განარისხა გენერალი ნოვიცკი და დაპატიმრება გაგრძელდა 20—25 მარტამდე.

„დაპატიმრება გრძელდება“ — ასე მთავრდება 25 მარტის პროკლამაცია.

დოკუმენტი ორმხრივაა საინტერესო: ერთი ის, რომ კიევის გამოსვლების ამბების ხელმძღვანელ-ორგანიზატორთა რიგში შიო ჩიტაძეც არის და მეორეც ის, რომ კიევის დემონსტრაციის შესახებ წარმოდგენილი ეს დოკუმენტი — პროკლამაცია თავისი ენობრივი დახვეწილობით გვაფიქრებინებს, რომ მისი შემდგენელი შიო ჩიტაძე უნდა იყოს. ეს პროკლამაცია კიევში მოწყობილ გამოსვლების დროს მომხდარ ფაქტებს გადმოგვცემს: „28 მარტს — ნათქვამია პროკლამაციაში — 120 სტუდენტამდე ლუკიანოვის ციხიდან და 37, ბულვარის ციხიდან გამოუშვეს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით. მე მ ო მ ა წ ო დ ე ს ც ნ ო ბ ა, რომ ყოველი ადმინისტრაციული სასჯელი მათ ეხსნებათ. პატიმრობაში მყოფი სტუდენტები გადაეცემათ უნივერსიტეტის მმართველობას. ასე რომ, 47 სტუდენტი ლუკიანოვის და 21 სტუდენტი ბულვარის ციხეებში დატოვეს პატიმრობაში“. აქ ნაჩვენებ სამოცდარვა სტუდენტთა შორის პატიმრობაში შიო ჩიტაძეც იყო. ის ციხეში წერს ამ პროკლამაცია-ანგარიშს და

აცნობს ფართო, დაინტერესებულ მკითხველებს საქმის ვითარებას. „ჟანდარმერია ფიქრობს, რომ გადასახლება რამოდენიმე ათეული სტუდენტისა ჩააქრობს უნივერსიტეტის ოპოზიციას... არა, მისი მღელვარება უფრო ღრმა არის, ვიდრე ჟანდარმერიას ჰგონია", და, მართლაც, მღელვარების ფესვებს ჩაწვდა კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი შიო ჩიტაძე. სტუდენტობის პერიოდში ჩაესახა მისი რევოლუციური განწყობილება, რომლის გამოვლინებაც კიევში მომხდარ აქტში ჩანს. საპროტესტო დემონსტრაციების მოწყობის ერთ-ერთი ორგანიზატორია შიო ჩიტაძეც. კიევის არქივის № 265 წარმოადგენს საიდუმლო მიმართვას, რომელსაც ერთვის „სია წმინდა ვლადიმერის უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისა. რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ სტუდენტთა არეულობის საქმის გამო. რომელსაც ადგილი ჰქონდა კიევში 1897 წლის 18 და 19 მარტს.

22 მარტი. შიო ალექსის-ძე ჩიტაძე.

23 მარტი — გიორგი კონსტანტინეს ძე ჩოგოშვილი" და სხვა.

ეს საარქივო მასალა ადასტურებს კიევში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა მონაწილეობას არეულობაში. შიო ჩიტაძე მოხსენებულია მეორე სიაშიც. რომელიც უკრაინის არქივში ინახება 266 ნომრით. აქ ჩამოთვლილია 188 პატიმარ სტუდენტის გვარი და სახელი, ამათში შიო ჩიტაძეც არის. „სია კიევის ციხეში მოხვედრილ პოლიტიკური პატიმრებისა და სტუდენტებისა, რომლებიც შემოიყვანეს ციხეში 1897 წლის 19—23 მარტამდე. გასასახლებელთა დერეფანშია:

1. ყარალაშვილი გიორგი
2. ჩიტაძე შიო.
3. კულიკოვსკი ვიქტორ
4. ორლოვსკი მიხეილ" ...და სხვები

სულ 188 ქალი და კაცი. ხელს აწერს ციხის უფროსი.

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი „ფრიად საიდუმლო" მიმართვა პოლიციის უფროსისა, სადაც ის წერს, რომ წმინდა ვლადიმირის უნივერსიტეტის ის სტუ-

დენტები, რომლებიც პოლიტიკურად არასაიმედონი იყვნენ, დააპატიმრეს. პოლიციამ დაადგინა, რომ 18—19 მარტის არეულობა მოწყობილი იყო სათვისტომოს კავშირის საბჭოს, მიერ, რომელმაც გაავრცელა სტუდენტთა შორის მთავრობის წინააღმდეგ საპროტესტო მოწოდება. სათვისტომო საბჭოს 24 მარტის მოწოდებით მანიფესტაცია შეწყდა. ბოლოს პოლიციის უფროსი მოითხოვს: კავშირის საბჭოს თვალსაჩინო მოღვაწენი გააძევონ კიევის უნივერსიტეტიდან, რათა შემდეგში სტუდენტობა მავნე გავლენისაგან იქნენ დაცულნი.

ამრიგად, კიევის უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტის შიო ჩიტაძის რევოლუციური სულისკვეთება გამომჟღავნდა 1897 წლის მღელვარების დროს. ირკვევა, რომ შიო ჩიტაძე კიევიდან არ გაუსახლებიათ, მან დაამთავრა კიევის წმინდა ვლადიმირის სახ. უნივერსიტეტი.

შიო ჩიტაძის მოღვაწეობა კიევში.

კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შიო ჩიტაძეს გადაწყვეტილი ჰქონდა მომავალი მოღვაწეობა ისევ უკრაინაში გაეშალა. ის ცდილობს შესაფერ სამუშაოს მოჰკიდოს ხელი, მისი მოწოდებაა ახალი თაობის აღზრდა, მასწავლებლობა. კიევში მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დაკავება დაკავშირებული იყო დიდ სიძნელეებთან. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო ნიჭიერი სტუდენტისათვის შესაფერი მომავალი სამოღვაწეო ასპარეზი შეექმნა. ჩვენ ხელთ არის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორის ფლორინსკის სარეკომენდაციო წერილი ანტონინა ალექსანდრეს ასულ ბეიტელთან, — გიმნაზიის დირექტორთან. ა. ა. ბეიტელთან მიწერილ წერილში პროფესორი წერს, რომ კურსმოსმენილი შიო ჩიტაძე უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იჩენდა განსაკუთრებულ ტალანტსა და ღრმა ცოდნას, ის იყო მუყაითი და კეთილსინდისიერი სტუდენტი. ამ შუამდგომლობის შედეგად 1898 წლის 28 ოქტომბერს შიო ჩიტაძე დაინიშნა ბეიტელის გიმნაზიაში რუსული სიტყვიერების მასწავლებლად.

შიო ჩიტაძე დიდი ენერგიით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ირკვევა, რომ ახალგაზრდა მასწავლებელი არ იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი. მის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ხელფასი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შიო ჩიტაძე ოჯახს მოეკიდა. 1899 წელს 31 დეკემბერს ა. ა. ბეიტელის ქალთა გიმნაზიის საბჭო ჩიტაძეს აძლევს ასეთ მოწმობას: „ეძლევა ესე მოწმობა კიევის ა. ა. ბეიტელის ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის მასწავლებელს შიო ალექსის-ძე ჩიტაძეს, მას შინა, რომ მისი პირველი ქორწინებით კოლეჟსკი ასესორის ქალზე უსტინა კირილეს ასულ შჩერბანზე, გიმნაზიის მხრივ არავითარ დაბრკოლებას არ შეხვდება“. უსტინა შჩერბანი მეტად სათნო და განათლებული ქალი, დიდი მეგობარი ყოფილა შიო ჩიტაძისა. ისინი ცხოვრობდნენ კიევში მარინსკო-ბლაგოვეშჩენსკის ქუჩაზე (დღეს საქსაგონსკის ქ. № 22).

ოჯახის მოთხოვნილების ზრდა შიო ჩიტაძეს აიძულებს, რომ სხვა გიმნაზიაშიც ეძიოს ვაკანტური ადგილი. ასე, მაგალითად, ამავე არქივის მასალებიდან ირკვევა, რომ 1903 წლის 25 აპრილს მას განცხადებით მიუმართავს ქალაქ კიევის ფუნდუკლეევის ქალთა გიმნაზიის დირექტორისათვის: „უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მომცეთ თავისუფალი გაკვეთილები რუსულ ენასა და სიტყვიერებაში“. შიო ჩიტაძის ამავე განცხადებაზე მიწერილია მითითება, რომ აღუძრან შუამდგომლობა. ამავე განცხადებაზე არის აგრეთვე გუბერნატორის რეზოლუცია, 11 აგვისტოს თარიღით, შიო ჩიტაძის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ კიევის ფუნდუკლეევის ქალთა გიმნაზიაში. ამის შედეგად შიომ, კიევში მიიღო სრული დატვირთვა. ა. ა. ბეიტელის ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო პატივისცემითა და ყურადღებით ეექცეოდა ენერგიულ შიო ჩიტაძეს, წლების განმავლობაში ხშირად ფულად დახმარებასაც აძლევდა მცირე ხელფასის მქონე მასწავლებელს.

ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში არის ცნობები სხვადასხვა დროს მიღებული ჯილდოს შესახებ. მაგ., 1902 წელს 12 ოქტომბერსაც მიუღია შიოს გიმნაზიის საბჭოს დადგენილებით 50 მანეთი და სხვ.

კიევის გიმნაზიებში მოღვაწეობის პერიოდიდან შიო ჩიტაძე ახსოვს ჩვენი ეპოქის გამოჩენილ მწერალს და კრიტიკოსს, ცნობილ პუშკინოლოგს ვსევოლოდ ანდრიას-ძე ჩაგოვეცს[1]. საყურადღებოა ვს. ჩაგოვეცის მოგონება შიო ჩიტაძეზე, ჩვენს ხელთაა ავტოგრაფი ჩაგოვეცის მოგონებისა, რომელიც იწყება ასე განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ახალი ტიპის პედაგოგები, რომლებიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდნენ მოსწავლეთა კულტურაზე და მათში ჰუმანიზმის განვითარებაზე. ასეთი პედაგოგები მოსწავლეთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ხელს უწყობდნენ მათ ზოგად განვითარებას. ასეთი ახალი ტიპის პედაგოგებს შორის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი, კიევის პედაგოგიურ ჰორიზონტზე მე-20 საუკუნის პირველსავე წლებში ეჭირა ახალგაზრდა ნიჭიერ ენთუზიასტ პედაგოგ-საზოგადო მოღვაწეს შიო ჩიტაძეს[2]". ვს. ანდრ. ჩაგოვეცის მოგონება მშრალად გადმოცემულ ფაქტებს კი არ შეიცავს, არამედ საინტერესო ესკიზს წარმოადგენს.

შიო ჩიტაძის პედაგოგიური მოღვაწეობა კიევში საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ ის მოსწავლე ახალგაზრდობის ფართო განათლებისათვის იბრძოდა, არამედ იმითაც, რომ შიო ჩიტაძე ემსახურებოდა კიევის საზოგადოებრიობის განვითარების საქმესაც. ის არა ერთხელ წარმდგარა კიევის ფართო საზოგადოებრიობის წინაშე საინტერესო ლექციებითა და მოხსენებებით. მისი ლამაზი, ლაღი საუბარი კათედრიდან იმონებდა მსმენელს. „მის მეტყველებას, — აღნიშნავს

---

[1] ჩაგოვეცი ვსევოლოდ ანდრიას ძე დაიბადა 1877 წ. 1900 წ. დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის ისტორია-ლიტერატურის ფაკულტეტი. 1903 წელს ჩაბარა გამოცდები მაგისტრის ხარისხზე. სანიმუშო ლექციებისათვის მიიღო პრივატ-დოცენტის წოდება ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. ვს. ანდ. ჩაგოვეცი მასწავლებლობდა ფუნდუკლეევის გიმნაზიაშიც. ცხრაასხუთიანი წლების რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის მას აუკრძალეს მუშაობა სახელმწიფო დაწესებულებაში. იგი იწყებს ჟურნალისტობას. მრავალი შრომის ავტორია. თეატრის ისტორიისა და კრიტიკის დარგშიც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის.

[2] ჩაგოვეცის მოგონება, ვბეჭდავთ შემოკლებით.

უსტინა კირილეს ასული შჩერბანი-ჩიტაძისა დაიბადა 1875 წ. ქ. კიევში, გარდაიცვალა 1906 წ. ქ. თბილისში.

ჩაგოვეცი, — აჩნდა ოდნავ ქართული კოლორიტი, რაც ცოცხალ სიტყვას განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებდა"[1].

შ. ჩიტაძის მოხსენებებს, გარდა სილამაზისა და სილაღისა, ახასიათებდა მსჯელობის სიდინჯე და აზრის სიღრმე.

1900 წელს გამოქვეყნდა კიევის პირველი გიმნაზიის დირექტორის რედაქტორობით წიგნი: „პუშკინის ხსოვნა", სადაც ვკითხულობთ: „კიევის ა. ა. ბეიტელის ქალთა გიმნაზია. 26 მაისი 1899 წელი. გადახდილი იყო ა. ს. პუშკინის პანაშვიდი, რომელსაც ესწრებოდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები. პანაშვიდის წინ გიმნაზიის საღვთორჯულის მასწავლებელმა ო. ნ. სტელეცკიმ წარმოთქვა სიტყვა, პუშკინის, როგორც ქრისტიანის მოსაგონებლად.

დღის პირველ საათზედ დაიწყო აქტი — ლოცვებით. მასწავლებელმა შიო ჩიტაძემ წარმოსთქვა სიტყვა „პუშკინი, როგორც ცხოვრების მასწავლებელი". პუშკინის საიუბილეო დღეების ანგარიში დაიბეჭდა, შიო ჩიტაძის მოხსენებაც გამოქვეყნდა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შიო ჩიტაძის თვალსაზრისის გარკვევისათვის. პირველი საკითხი, რომელსაც შიო ჩიტაძე ეხება შრომაში „პუშკინი, როგორც ცხოვრების მასწავლებელი", არის „როგორ ვიცხოვროთ"? ეს საკითხი აწუხებს ყველა შეგნებულ მოქალაქეს. ამ საკითხის ახსნისათვის ჩიტაძე მიმართავს უკვდავ პოეტს. მიმართავს მას, როგორც დიდ ადამიანს, რომელმაც ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე გამოსცადა: „უფლებათა უძლურება. შეზღუდვა ტირანებისაგან, სიამაყის შელახვა, დავიწყებული სიყვარული"[2]. მაგრამ წყევლა არასოდეს არ წამოსცდენია ცხოვრებისადმი. მას უყვარდა ცხოვრება მისი სიხარულითა და მწუხარებით, მას თვლიდა ღვთის საუკეთესო ნაბოძვრად, იმიტომ, რომ, მას შეეძლო ამ ცხოვრების ნათელი მხარეების პოვნა. შიო ჩიტაძეს აქვე მოაქვს ბელინსკის აზრი: „პუშკინი არ აძლევს საშუალებას ბედს გაიმარჯვოს მასზე, იგი ართმევს მას წართმეული სიხარულის ნაწილს მაინც" და, მართლაც, პოეტის

---

1 ჩაგოვეცის მოგონება.

2 შ. ჩიტაძე. პუშკინი, როგორც მასწავლებელი (ნაწერია რუსულად).

აზრით, არ შეიძლება გაწყრე ასეთ ლამაზ ქვეყანაზე, სადაც: „ფერთა ცისარტყელა მიმობნეულია ბუნებაში“. შიო ჩიტაძეს მოჰყავს ადგილები სხვადასხვა ლექსებიდან, რითაც ადასტურებს პუშკინის ოპტიმისტურ თვალსაზრისს:

„თუ ცხოვრებამ გიმტყუნოს
არ იდარდო, არ იჯავრო!“

ამის შემდეგ შიო ჩიტაძე გადმოგვცემს დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის მიზანსწრაფვას. ჩიტაძის აზრით, პუშკინის იდეალი იყო: „სრული ცხოვრება, ადამიანის გულისა და გონების თავისუფლება, ადამიანის პირადი დამოუკიდებლობა, საზოგადოების სახელისათვის სამსახური, — აი, რაც მოუტანს ადამიანს ბედნიერებას, ამიტომ უსაზღვროდ უყვარს პუშკინს ადამიანი“.

ჩიტაძე ეხება პუშკინის ლექსების შემეცნებით მნიშვნელობას, ის ამბობს, რომ თუ მკითხველს აქვს უნარი შეიგრძნოს პოეზიის გავლენა, პუშკინის ლექსის „მიცკევიჩის“ წაკითხვის შემდეგ პოეტთან ერთად ეტყვის უბოროტეს მტერს:

„ო, ღმერთო! შენ დაუბრუნე
შენი სიმშვიდე მის გაბოროტებულ სულს“.

შიო ჩიტაძე ადამიანის მოვალეობის ამსახველ სტრიქონებს ხაზს უსვამს პუშკინის ლექსებში, ამის შემდეგ მკვლევარი უფრო საინტერესო დეტალებს იძლევა პუშკინის პოეზიიდან და ხაზგასმით აღნიშნავს: „ტატიანა ლარინა ყველაზე იდეალური სახეა პუშკინის სახეთა გალერეაში, იგი უარს ამბობს პირად ბედნიერებაზე იმისათვის, რომ არ დაანგრიოს სხვა ადამიანის ბედნიერება... იგი თავის მოვალეობას ემორჩილება.

„მე დღეს უკვე ვეკუთვნი სხვას
და სიკვდილამდე ვუერთგულებ მას“.

1949 წელს მწერლის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ წიგნში: „პუშკინი რუსეთის დიდი

ნაციონალური პოეტი“ დიდი მეცნიერი-პუშკინოლოგი დ. დ. ბლაგოი, როდესაც იძლევა პუშკინის პოეზიის ანალიზს, ამბობს, რომ პუშკინმა თავის პოეზიის სარკეში დაინახა, როგორც მისი თანამედროვე, ისე წინა საზოგადოების — რუსეთის ცხოვრება, რუსი ხალხის სახე. ბლაგოი დასკვნაში ამბობს: „ამ აზრით პუშკინის შემოქმედება წარმოადგენს „ცხოვრების საუკეთესო სახელმძღვანელოს“. სწორედ ეს იყო შიო ჩიტაძის მოხსენების ძირითადი არსი და საგულისხმო ის არის, რომ შიო ჩიტაძის თვალსაზრისის დადასტურებას ვპოულობთ ჩვენი ეპოქის მეცნიერის დ. დ. ბლაგოის შრომაში.

ბლაგოი, როდესაც ტატიანა ლარინას დახასიათებას იძლევა, აყენებს ასეთ თვალსაზრისს: „ტატიანა მსხვერპლად სწირავს პირად გრძნობას, პირად ბედნიერებას მას, რასაც იგი თავის მოვალეობად სთვლის“. ტატიანა ლარინას ამ შეფასებას, ზემოთ ციტირებულ შიო ჩიტაძის თვალსაზრისს თუ დავუპირისპირებთ, მსგავსებას დავინახავთ. როგორც ვხედავთ, დ. ბლაგოი ტატიანა ლარინას შეფასებაში ძალიან ახლო დგას შ. ჩიტაძის შეხედულებებთან. შიო ჩიტაძეს სწორი თვალსაზრისი აქვს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პუშკინის პოეზია, მისი ღირსეული შეფასებისა და მეცნიერულად შესწავლის საგნად არც კი იყო გამხდარი. კიევში მოღვაწეობის პერიოდიდან შ. ჩიტაძის შრომისა და აზროვნების ნათელსაყოფად ვს. ანდ. ჩაგოვეცი კიდევ ერთ საინტერესო, დეტალზე მიგვითითებს; „1899 წელს პუშკინის იუბილესთან დაკავშირებით სახალხო აუდიტორიაში იყო მოწყობილი საჯარო ლექცია ხალხთა ფართო მასებისათვის, ლექტორების რიცხვში იყვნენ: პროფესორი ლოპოდა, ა .ი. სტეპოვიჩი, ფუნდუკლეევის გიმნაზიის მასწავლებლები: გ. ვ. ალექსანდროვსკი და შიო ჩიტაძე, რომელმაც წაიკითხა ლექცია თემაზე: „პუშკინი და მიცკევიჩი“, მე მაშინ ვიყავი უკანასკნელი კურსის სტუდენტი და თავს ვთვლიდი პუშკინოლოგად... მე არ შემიძლია იმ შთაბეჭდილების დავიწყება, რაც მაყურებელზე მოახდინა შიო ჩიტაძის ლექციამ. ის არც კი იხედებოდა ნაწერში, ლაპარაკობდა ლამაზად, ლაღად, თითქოს ესაუბრებოდა მეგობრებს საყვარელ თემაზე... დაიწყო მან სურათით,

სადაც პუშკინი და მიცკევიჩი დგანან ერთი პლაშის ქვეშ და ეს სულიერი სიახლოვე, იდეა ამ ორ პოეტს შორის იყო ძირითადი თემა მისი საუბრისა. კიევის პედაგოგიურმა საზოგადოებამ გამოუშვა წიგნი, რომელშიაც დაბეჭდილი იყო ამ ლექციებიდან კონსერვატორ ავტორთა სტატიები... მაგალითად, მღვდელ სტოიეკის სტატია „სასულიერო ელემენტები პუშკინის პოეზიაში", მაგრამ არც ალექსანდროვსკის თემა „პუშკინი ბელინსკის შეფასებაში" და არც ზემოთ დასახელებული შიო ჩიტაძის თემა იქ არ იყო. როგორც ჩანს, იმ ლექციებში იყო ისეთი რამ, რისთვისაც ცენზორმა არ გაუშვა. ვფიქრობთ, მსმენელები ამ საკითხზე სხვა აზრისა იყვნენ, თუ ვიმსჯელებთ იმ დაუცხრომელი აპლოდისმენტის მიხედვით. რომლითაც დააჯილდოვეს ახალგაზრდა ორატორი". ამ მოგონების ავტორი ფრიად ახლო ურთიერთობაში იყო შიო ჩიტაძესთან მას შემდეგ, რაც თვითონ დაიწყო მასწავლებლობა და ორთავეს ერთი სამოღვაწეო ასპარეზი შეექმნათ. მათი ურთიერთობა არ შეწყვეტილა შიო ჩიტაძის კიევიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგაც.

შიო ჩიტაძის ლექციის („პუშკინი და მიცკევიჩი") ტექსტი არ ჩანს. შიო ჩიტაძეს არაერთხელ განუცვიფრებია კიევის საზოგადოებრიობა ფართო ერუდიციითა და მეტყველების საოცარი ოსტატობით, ამას გვიდასტურებს ცნობილი თანამედროვე ისტორიკოსი, საბჭოთა მეცნიერების დიდი წარმომადგენელი, განსვენებული აკადემიკოსი ე. ვ. ტარლე, პატარა მოგონებაში, რომელიც მოგვაწოდა 1950 წელს.

აკადემიკოსი ტარლე კიევში გიმნაზიის მასწავლებელი იყო იმ პერიოდში, როდესაც შიო ჩიტაძეც კიევის გიმნაზიებში მასწავლებლობდა. აკად. ტარლე წერს: „განსვენებულ შიო ჩიტაძეს ვიცნობდი, რამდენიმე შემთხვევა მქონდა მასთან შეხვედრისა. მე მანცვიფრებდა მისი მრავალმხრივი განვითარება, მომწიფებული აზროვნება და მაღალი ინტელექტუალური დონე, ის ძალიან უყვარდათ მის მოწაფეებს".

თავის ავტობიოგრაფიაში შიო ჩიტაძე წერს: „ჩემს

საყვარელ მწერლებად გახდნენ ძლიერ სახელმოხვეჭილი პოეტები: ბაირონი, ლერმონტოვი, მიცკევიჩი, პუშკინი, კონოპნიცკაია, ნადსონი, ჩემი შთაბეჭდილება და მათზე მუშაობის რეზულტატი მე აღწერილი მაქვს რამოდენიმე რეფერატში, რომელთაგანაც ზოგს ვკითხულობდი უნივერსიტეტში, პრაქტიკულ მეცადინეობის დროს და ზოგსაც ნაცნობთა შორის ლიტერატურულ წრეში. ჩემს მიერ დამუშავებულია შემდეგი რეფერატები: „პუშკინის ლირიკა"[1], „კავკასია ლერმონტოვისა და ქართველი პოეტების პოეზიაში", „მიცკევიჩის ლირიკის დამახასიათებელი ნიშნები", „ნადსონის პოეზია" — ამის შემდეგ ჩამოთვლილია რომაელ, ბერძენ კლასიკოსთა თხზულებები, რომელზედაც უმუშავნია შიო ჩიტაძეს. ჩვენი აზრით, აკადემიკოს ტარლეს „განცვიფრება" — შიო ჩიტაძის განვითარებაზე, ღრმა აზროვნებაზე საფუძველს მოკლებული არ არის. კიევში მოღვაწეობის წლები (1898—1904) მეტად ნაყოფიერი მოჩანს. შიო ჩიტაძე ამ წლებში დაინტერესებულია ფსიქოლოგიის საკითხებითაც. შიო ჩიტაძეს სტატიები და ნარკვევები დაუწერია კიევში მუშაობის დროს და ნაწილი ამ პერიოდის ნამუშევრებისა გამოუქვეყნებია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში: „ვაზროჟდენიე", „ნა პოვოროტე", „ზაკავკაზკი კრაი" და სხვ. და ზოგიერთიც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებში.

რომ უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს ჩიტაძის კიევში მოღვაწეობის პერიოდზე, მის შემოქმედებით მუშაობაზე, მიმოვიხილოთ ზოგიერთი წერილი. მაგ., „ფსიქოლოგიური წერილები" დაიბეჭდა 1905 წელს ჟურნალ „ნაკადულის" დამატებაში. „ნიცშეს იდეალი" დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში" 1905 წელს. „მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება" დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში" 1905 წელს (7 ნაწილად), „უდროობის მსხვერპლი" — „ყვავის" ფსევდონიმით გამოიცა ცალკე წიგნად 1906 წელს.

---

[1] „პუშკინის ლირიკა" მესამე თემა არის, რომელიც დაუმუშავებია შიო ჩიტაძეს პუშკინის შემოქმედებასთან დაკავშირებით. პირველ ორ თემაზე ზემოთ გვქონდა მსჯელობა, ეს მესამე თემა ჯერ მიგნებული არ არის.

მკვლევარის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თემა: „უდროობის მსხვერპლი“[1]. ჩვენ შევეცდებით მოკლედ ავხსნათ ამ შრომის მნიშვნელობა და გადმოვცეთ ძირითადი აზრი.

ამ ნაშრომში გადმოცემულია ჰამლეტის სახე. შრომა დაწერილია მხატვრული ოსტატობით, ისე რომ მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს. გმირის განცდები ნაჩვენებია დიდი უშუალობით.

ეს ლექცია არის ერთგვარი ცდა იმ საკითხების გასაშუქებლად, რომელიც თავის დროზე ჰამლეტის კრიტიკოსების მიერ გამოტოვებული იყო[2].

შ. ჩიტაძე ვრცელ ცნობებს გვაწვდის პიესის პოპულარობის საჩვენებლად. ის მოგვითხრობს, რომ „ჰამლეტი“ მსოფლიოს ყველა სპეციალობის ადამიანისათვის მიმზიდველი და მოსაწონი პიესაა და თვით ჰამლეტი კი ყველასათვის საყვარელი- გმირი.

ფრიად ვრცლად არის ასახული ინგლისის მე-16 საუკუნის ეკონომიურ-პოლიტიკური, კულტურული და მორალური ვითარება და ამასთან დაკავშირებით დასმულია ასეთი საკითხი:

„XVI საუკუნის საზოგადოებას არ შეეძლო ჩასწვდომოდა დანიის პრინცს, არ შეეძლო გაეგო მისი მუდმივი შეშფოთება, დაეჭვება, მერყეობა. მას შემდეგ სამასი წელი გავიდა, და განა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ჩავწვდით საიდუმლოებას, ამოვხსენით ჰამლეტის ურწმუნოების მიზეზები?“

აი ეს საკითხია გადასაწყვეტი ამ ნაშრომში. შიო ჩიტაძე დამაჯერებელი მსჯელობით ცდილობს, ჰამლეტის ხასიათის გახსნას, ახასიათებს მის ბუნებას, მის შეხედულებას ცხოვრებაზე და მის ნებისყოფას. ჰამლეტის აზრით, „მთელი ქვეყანა მსახიობობს“, ყველა ამ ცხოვრებაში ნიღაბს ქვემოდან იყურება, რადგან იმ პერიოდის ყოფიერება აიძულებთ, რომ ასე

---

[1] ნაშრომი გამოიცა 1906 წელს; თბილისში. რუსულ ენაზე, პატარა ფორმატია, შეიცავს 46 გვერდს, ჩასმულია მხატვრულად გაფორმებულ ობელ გარეკანში.

[2] შიო ჩიტაძე (ყვავი) „უდროობის მსხვერპლი“, გვ. 20.

მოიქცნენ. ჰამლეტის მერყეობა, მოკლას თუ არა ბიძა, ტახტის წამბილწველი ძმა დიდებული მეფე-მამისა, გამოწვეულია იმით, რომ მისი ეპოქის ადამიანები მას მიაჩნია უსუსურებად „ღირს კი შური იძიოს ამგვარ არარაობაზე?“ ამაშია მისი მერყეობის მიზეზი, მისი გრძნობები გართულებულია.

ასეთია ის ვითარება, რომელშიც მოქცეულია ადამიანი. ჰამლეტისათვის არ არის მისაღები ის, რაც ამ საზოგადოებას მოეწონება — მოკლას მამამისის მკვლელი ბიძა, მოსპოს ის სიცოცხლე, რომელიც მას ამდენ ნაღველს ასმევს, მოკლას ბიძა მამინაცვალი“, საზოგადოებასაც დიდ სიამოვნებას მიანიჭებს მკვლელობის აქტი, მაგრამ ჰამლეტისათვის იმდროინდელი საზოგადოებრივი თვალსაზრისი არ არის მისაღები, მას შურისძიება არ მიაჩნია ჭეშმარიტ ვალდებულებად, როგორც ეს მის თანამედროვე საზოგადოებას ჰგონია. თუმცა ის ხშირად მსჯელობს შურისძიების აუცილებლობაზე, ეს კი გამოწვეულია იმით, რომ იმ საზოგადოებრივი ტრადიციების ნიშნები ჯერ კიდევ შემონახულია მასში, რაც ინსტინქტურად იჩენს თავს, მაგრამ ეს ინსტინქტები საკმაოდ შესუსტებული არის. ეჭვი ეპარება იმაში, რომ შურისძიება არის თუ არა გამოსავალი? ჰამლეტის ტრაგედიაც ამ ეჭვთან არის დაკავშირებული, მას ჯერ კიდევ არა აქვს შემუშავებული საკუთარი თვალსაზრისი, მასში ზოგჯერ დარღვეულია ჰარმონია გრძნობასა და შეგნებას შორის. იგი განაგრძობს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ ჰამლეტი ერთის მხრივ გმირია, მაგრამ ამავე დროს მსხვერპლია უდროობისა, იმ გარდამავალი საზოგადოებრივი მდგომარეობისა, რომელშიც უკვე ჩანდა ძველის ლპობის საწყისი და ჰაერში კი იგრძნობოდა გაზაფხულის მოახლოვება. ჰამლეტი მსოფლიოს იდეალის განხორციელებისათვის მეოცნებე გმირია, იმ მსოფლიო ნაღველის ადრეული გამომხატველია, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში გაბატონდა ლიტერატურაში.

შიო ჩიტაძეს კრიტიკულად განხილული აქვს „ჰამლეტის“ მკვლევართა მოსაზრებები და ასკვნის, რომ დანიის პრინცის წინაშე წამოჭრილი საკითხი „ყოფნა არყოფნის“ შესახებ ყვე-

ლა მოქალაქის საბრძოლო საკითხი იყო, მაშინ, როდესაც ამისი გადაჭრისათვის საკმაო ძალის მქონე არ იყო ადამიანი.

ჰამლეტი იყო ზოგადსაკაცობრიო მოვლენა, ყველა ხალხის მკვიდრი და არა მარტო დანიის პრინცი. ნარკვევი მთავრდება ლამაზი ლეგენდით, ტოროლას თავგადასავალით. შიო ჩიტაძე აღნიშნავდა, რომ როდესაც ჰამლეტის ბედზე ფიქრობ, გაგონდება ბრეტონული შესანიშნავი ლეგენდა. „მზე ანათებდა იმ დღეს, ყველა სულდგმულს ახარებდა ციური ნათება... დაღამდა, დაიძინა ხალხმა... დადგა გაღვიძების დრო, თვალები გაახილეს და ირგვლივ სიბნელე სუფევდა. უცდიდნენ, უცდიდნენ, მაგრამ ბოლოს დარწმუნდნენ, რომ წაერთვათ სიცოცხლის წყარო — მზე. ტირილი, კვნესა ისმოდა... გავიდა ერთი თვე, ორი... სამი და თანდათან შეეჩვია ხალხი სიბნელეს, სიბნელეს ზოგი უპირატესობასაც კი ანიჭებდა... ადამიანები ტყის მხეცებს დაემსგავსნენ... იმ უბედურ დილას გაეღვიძა ტოროლასაც, უნდა გაეშალა ფრთები ასაფრენად, რომ ჩქარა ეცნობებინა ქვეყნისათვის გათენება, მაგრამ წყვდიადი ეფარებოდა ცისფერ ზეცას. შეეშინდა პატარა ტოროლას. ის მიჩვეული იყო მზის სხივებში ბანაობას. ამიტომ საშინელება იყო მისთვის სიბნელე. დაიწყო ფიქრი. მწარე ფიქრები ეხვეოდნენ მას. ის დარწმუნებული იყო იმაში, რომ მზე მიმალული იყო სადღაც შორს... მაგრამ თვითონ იპოვნის მზეს. დაიწყო ფრენა მაღლა, მაღლა და მიფრინდა სანატრელ მზემდე, შეეხო ფრთებით და ხმამაღალი გალობით აახმაურა ჰაერი. ტოროლას სიმღერაზე მზეც გამოჩნდა ქვეყანაზე და წინანდელზე უფრო ძლიერ გაანათა იგი. ხალხი ხარობდა, ადიდებდა მზეს, რომელიც კვლავ დაუბრუნდა ქვეყანას.

გზაზე, სადაც მიდიოდა მხიარული ბრბო, ეგდო უსულო გვამი პატარა ჩიტისა, რომელსაც მზის სხივების შეხებისას დაეწვა ფრთები. უსასრულო სიმაღლიდან დაეცა მიწაზე მისი გაცივებული გვამი. არავის უფიქრია, რომ ეს პატარა ჩიტი დაწვა ამ ქვეყნიდან მიმალულმა მზემ“.

ჰამლეტი-ტოროლები იღწვიან სინათლისათვის, ანთებენ სინათლეს ხალხისათვის, თვითონ კი იღუპებიან. ასეთია ამ ლეგენდის აზრი. ჩვენ შიო ჩიტაძის თვალსაზრისის დაპირის-

პირება თანამედროვე კრიტიკოსების თვალსაზრისთან ჰამლეტის შესახებ არ გვიწარმოებია, რადგანაც ეს ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს. იქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ შიო ჩიტაძის მიერ ნახევარი საუკუნის წინათ გამოთქმულ აზრს, შექსპირისა და მისი გმირის შესახებ, დღეისათვის მხოლოდ საკითხის შესწავლის ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა, ჩვენი პირდაპირი დანიშნულება ამ საკითხზე მსჯელობის დროს მხოლოდ ის იყო, რომ გვეჩვენებინა - კიევში მოღვაწეობის პერიოდში შიო ჩიტაძის კვლევის ობიექტად გამხდარი შექსპირის უკვდავი ქმნილების „ჰამლეტის" გმირი. ამით შ. ჩიტაძემ შექსპირის მკვლევართა პლეადის თვალსაზრისს, თავისი საკუთარი მოსაზრებებიც მიუმატა. ამ ნაშრომში გარკვევით მოჩანს შ. ჩიტაძის ფართო ლიტერატურული განათლება, მხატვრული გემოვნება და წერის ოსტატობა. შიო ჩიტაძეს ნარკვევით („უდროობის მსხვერპლი") არ დაუმთავრებია ჰამლეტის ხასიათის ახსნა. იგი ამავე პერიოდში დაწერილ ფსიქოლოგიურ სტატიებშიც უბრუნდება ჰამლეტის შინაგანა სულიერი სამყაროს ახსნის საკითხს. კიევში მოღვაწეობის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს ფსიქოლოგიური წერილები (სულის ცხოვრება)"[1]. ეს წერილები ეხება ადამიანის აღზრდის საკითხებს, რომელიც დამუშავებულია იმდროისათვის ცნობილ ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მეცნიერული მონაცემების საფუძველზე. ამ რთული პრობლემის გარკვევას შიო ჩიტაძე ახერხებს აგრეთვე ფართო განათლებით, ჩანს წერილების ავტორის დიდი მომზადება ფილოსოფია-ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში. დასახელებულ სტატიაში შიო ჩიტაძე იხილავს მდიდარი და ღარიბი ცნობიერების ხასიათს და მაგალითისათვის მოაქვს ასეთი შედარება: „შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტში" ორი პირია, ერთ მათგანს მდიდარი ცნობიერების მდინარე აქვს, მეორეს — ღარიბი, პირველი არის ჰამლეტი, მეორე ლაერტი. ერთი და იგივე მიზეზი ამ ორი პირის ცხოვრებაში სხვადასხვაგვარ მდინარეს იწვევს: პირველის ცნობიერებაში იბადება მდინარე მდიდარი შინაარსით, მეო-

---

[1] გამოქვეყნდა უფრო გვიან. ჟურნალი „ნაკადული" — დამატება, 1905 ⁿ.

რეში — ღარიბი, ორივეს მამა მოუკლეს, ამ ფაქტმა ცნობიერებაში გამოიწვია სურვილი შურისძიებისა, გრძნობა ერთი და იგივეა ორივეს ცნობიერებაში, იმ ხანად ამ გრძნობას უპირავს გული, მაგრამ შინაარსით ისინი ძლიერ განსხვავდებიან. მაშინ, როდესაც ჰამლეტის ცნობიერებაში ამ გრძნობასთან გადახლართულია მრავალგვარი აზრები, გრძნობები, სურვილები, ე. ი. ჰამლეტის ცნობიერების მდინარე მდიდარია, ლაერტის ცნობიერებაში შურისძიების გრძნობა მარტივია, არავითარი სხვა გრძნობა, აზრი თუ სურვილი, მას არ ართულებს: მე მომიკლეს მამა, მე უნდა მოვკლა ჰამლეტი — აი, მოკლედ ლაერტის იმ ხანის ცნობიერების მდინარის შინაარსი. ჰამლეტის ცნობიერების მდინარის შინაარსი ასე მოკლედ არ გამოითქმება: — მე მომიკლეს მამა, მე უნდა მოვკლა მკვლელი, მაგრამ რამდენად ზნეობრივი იქნება ჩემი ქაქციელი, ვინ იცის ნამდვილად ბიძამ მოჰკლა მამაჩემი? მაშ ჯერ უნდა დავრწმუნდე, ამიტომ გამოვცდი... გამოცდამ დამარწმუნა, რომ ბიძამ მოჰკლა, შემთხვევაც მაქვს, მაგრამ სასჯელი იქნება მისთვის სიკვდილი ლოცვის დროს?... ასე მრავალფეროვანია ჰამლეტის ცნობიერების მდინარე". ეს ვრცელი ამონაწერი ადასტურებს, რომ შიო ჩიტაძის მსჯელობა ჰამლეტის რთული ბუნების დასახატავად ლოგიკურ გაგრძელებას პოულობს „ფსიქოლოგიურ წერილებში". მას ჰამლეტის შინაგანი წინააღმდეგობა გამოყენებული აქვს ადამიანის რთული ცნობიერების წარმოსადგენად.

სტატია „სულის ცხოვრებას" ორგანული კავშირი აქვს ნარკვევ „უდროობის მსხვერპლთან", სადაც ჩიტაძემ ჰამლეტის შინაგანი სამყაროს გარკვევისათვის ფსიქოლოგიური დაკვირვების გასაოცარი ოსტატობა გამოიჩინა. „ფსიქოლოგიური წერილები" ძირითადად ადამიანის აღზრდის მეთოდებს ეხება, ავტორი ამახვილებს ყურადღებას აღსაზრდელის თვისებათა გაცნობა-შესწავლაზე. ის ამბობს, — „ყველაზე ძნელი ხელოვნება აღზრდის ხელოვნება გახლავთ. აღმზრდელს იმისთანა რთულ არსებასთან აქვს საქმე, რომ საჭიროა ბუნებრივი ნიჭი, შემოქმედება და ცოდნა შეერთდნენ, რომ ცოცხალი არსება (აღსაზრდელი) არ დამახინჯდეს... ბუნებრივი ნიჭი, შემოქმე-

დება არ შეიძინება, იგია უფასო, მაგრამ ძვირფასი საჩუქარი ბუნებისა და ადამიანს თან სდევს. ორივე აუცილებელი პირობაა იმისათვის, ვისაც უკისრია საძნელო საქმე აღზრდისა, მაგრამ საკმაო არ იქნება ბუნებრივ ნიჭს, შემოქმედებას თუ არ დაურთავს ცოდნას, განცალკევებულად მცირე ნაყოფს მოუტანს და აღზრდის საქმე სრულიად არ გაკეთდება. როგორც სამყოფი არ არის შემოქმედება მწერლისათვის, თუ მას ცხოვრების ცოდნა არ აქვს, მხატვრისათვის თუ მან არ იცის ფერების შეზავება, ეგრედ სამყოფი არ არის აღზრდისათვის ნიჭი და შემოქმედება, თუ მასთან ცოდნა არა აქვს აღსაზრდელი ობიექტისა — საგნისა". აღსაზრდელი ობიექტის ცოდნა თანამედროვე ფსიქოლოგიის მიხედვით გულისხმობს მასწავლებელი თვითონ სწავლობდეს აღსაზრდელის ცნობიერების, შეგრძნობის, აღქმის, ყურადღების თავისებურებას. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს ყურადღების გაზრდას, იცნობდეს. მოსწავლე-აღსაზრდელთა მეხსიერების ფორმებს. მასწავლებელი ხელს უნდა უწყობდეს აქტიური მეხსიერების განმტკიცებას აღსაზრდელში და ამზადებდეს ნიადაგს დასწავლის პროცესისათვის, ყოველივე ამისათვის საჭიროა თვითონ მასწავლებელი „მის ბუნებრივ ნიჭს, „შემოქმედებას" უმატებდეს ცოდნას. ეს მძიმე საპასუხისმგებლო შრომაა", ძნელი ხელოვნება. აღზრდის ხელოვნება-წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგს ვერ გამოიღებს". ამ ძირითადი საკითხის გარდა „ფსიქოლოგიურ წერილებში" ყურადღება გამახვილებულია აღზრდის პროცესში ადამიანის ბუნების, მისი განსაკუთრებული თვისებების შესწავლაზე. შიო ჩიტაძეს აღსაზრდელის ცხოვრების შესწავლაც წინა პლანზე აქვს წამოწეული, ყურადღების ცენტრში პედაგოგიური ფსიქოლოგიის ცოდნას აყენებს. სტატიაში ხაზგასმულია აღზრდისა და სწავლის პროცესების ფსიქოლოგიური საფუძვლების ცოდნის აუცილებლობა. ავტორი აღნიშნავს: „აღსაზრდელი ადამიანი ჩვენთვის ყოველთვის ამოცანაა, რადგან მისი ცხადი ცხოვრება არ გვაძლევს საიმედო მასალას, რომ მისი ფარული ცხოვრება ნამდვილად გავიგოთ და თუ

უკანასკნელი არ ვიცით, აღზრდაც შეუძლებელია". აქედან გამომდინარეობს მასწავლებელთათვის სავალდებულო ამოცანა, რომ შეისწავლონ აღსაზრდელის ცნობიერება: „ადამიანის ცნობიერებას ერთი საკვირველი თვისება აქვს, — ამბობს შიო ჩიტაძე,—მას შეუძლია თავისი თავის ცოდნა. მაგ., მე ვფიქრობ ვარდზე, ეს მოვლენა ჩემი ცნობიერებისათვის ყველასათვის დაფარულია, მაგრამ ცხადია ჩემი თავისათვის, რადგანაც ჩემს ცნობიერებას შეუძლია თქვას, მე ვიცი, რომ „მე ვფიქრობ ვარდზედ". ან მეორე მაგალითი: მე ვგრძნობ ტკივილს. ესეც ცნობიერების მოვლენაა, რომელზედაც ჩემს ცნობიერებას შეუძლიან. თქვას: მე ვიცი, რომ მე ვგრძნობ ტკივილს. მაშასადამე, ყოველი ადამიანისათვის მისი ცნობიერება ცხადია. რომ ყოველი ადამიანის ცნობიერება სრულიად განსხვავდებოდეს ერთი ერთმანეთისაგან, მაშინ ცოდნა დაფარული ცხოვრებისა შეუძლებელი გახდებოდა, მაგრამ როგორც ზევითა ვთქვით ცნობიერება ერთი ადამიანისა კანონებით და არსებითი თვისებებით ერთი ერთმანეთს წააგავან, რადგანაც ეს ასეა, ერთის ცნობიერება გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ მეორე ადამიანის ცნობიერებაც ვიცით... ამგვარად, შეგვიძლიან სხვისი დაფარული ცხოვრება ნათელვყოთ და გავიცნოთ. ამგვარად, პირდაპირი გზა არა გვაქვს სხვისი ცნობიერების გაცნობისა. ამისათვის მასწავლებელს სჭირდება ფსიქოლოგიის გამოყენება". აღსანიშნავია ისიც, რომ შიო ჩიტაძეს არ აკმაყოფილებს მაშინდელი ფსიქოლოგიის მიღწევები. ის აცხადებს: „ფსიქოლოგია ჯერაც არ არის ნამდვილი მეცნიერება, ცნობიერების ცხოვრება, მისი თვისებანი და კანონები ჯერაც არ არის მტკიცედ დამკვიდრებულნი". შიო ჩიტაძის სურვილი ის იყო, რომ აღმზრდელს აუცილებლად უნდა გადაელახა ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამორჩენილობა და უზრუნველეყო სხვისი ცნობიერების სრულყოფილი გაცნობა. მისი აზრით, პედაგოგს, რომელიც მოწოდებულია ახალი თაობის რაციონალურად აღზრდისათვის, ფართო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური განათლება უნდა ჰქონდეს, მისთვის არ უნდა იყოს ბუნდოვანი ადამიანის შინაგანი ფსიქოლოგიური ცხოვრების არც ერთი

მხარე. ცოტა ქვემოთ შიო ჩიტაძე აცხადებს: „ჩვენ წერილებში ვეცდებით მკითხველებს გავაცნოთ ცნობიერების ცხოვრება, როგორც იგი გამოკვლეულია ფსიქოლოგიაში და ამით შევავსოთ ის ნაკლი, რომელიც არის ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური წერილების უქონლობის გამო". ის ხაზგასმით აღნიშნავს, — ვისაც სურს აღზარდოს ადამიანი, ფსიქოლოგიის შესწავლის გარეშე, ვერ შესძლებს „აღსაზრდელის ცნობიერების შეგნებას". ფსიქოლოგიური წერილების ამ სერიიდან ყველა არ დაბეჭდილა, გავაანალიზეთ მხოლოდ გამოქვეყნებული წერილები. სხვა დანარჩენი წერილი, რაზედაც ზემოთ აღგვითქვა ჩიტაძემ მხოლოდ დაპირებად დარჩა, მისი მოულოდნელი დაღუპვის გამო. სხვა ამ სერიის წერილების ავტოგრაფები არ ჩანს, ესეც იმავე ტრაგედიის მიზეზით. ბინის აკლების შედეგად დაიკარგა ბევრი მასალა.

შიო ჩიტაძის კიევში მოღვაწეობის პერიოდიდან ყურადღებას შევაჩერებთ კიდევ ერთ მის ნაშრომზე „მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება".

ცნობილია, რომ შიო ჩიტაძეს პირადი ნაცნობობა ჰქონდა მაქსიმ გორკისთან. მოკრძალებული თაყვანისმცემელი იყო მაქსიმ გორკის ბუმბერაზი ბუნებისა და ნიჭის. დასახელებულ შრომაში შიო ჩიტაძე დიდად აფასებს გორკის შემოქმედებას, სწავლობს მის ნაწარმოებებს, გასაოცარი ობიექტურობით ახასიათებს თხზულებების გმირებს. შიო ჩიტაძე მაქსიმ გორკის შემოქმედების პირველი ქართველი კრიტიკოსია.

შრომა „მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება" დაწერილი უნდა იყოს 1903 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც მკითხველთათვის ცნობილი შეიქნა 1898 წელს გამოცემული მაქსიმ გორკის თხზულებათა პირველი კრებული და მის შემდეგ, რაც პიესა „მდაბიონი" 1902 წელს დაიდგა მოსკოვის მხატვრული თეატრის სცენაზე.

ნაშრომის ავტორი მსჯელობას იწყებს ლიტერატურის თეორიული საკითხების გარკვევით. კერძოდ: „რა არის პოეტური თხზულება? — სარკე პოეტის სულისა და გულისა, პოეტის სული და გული კი იქმნება ადამიანის ცხოვრების ფაქტებისაგან, როგორ შეეიგრძნობთ ადამიანის აზრებს, გრძნობებს,

მოქმედებას, თუ არ გვეცოდინება პირობები გარეშე და შინაგანი ცხოვრებისა, როდესაც ვიცით უკანასკნელი, უფრო ადვილია ჩვენთვის გავიკვლიოთ გზა მწერლის ცნობიერი ცხოვრებისა...

მაქსიმ გორკი რატომ არ წააგავს სხვა თანამედროვე მწერლებს? რატომ და იმიტომ, რომ იგი აღიზარდა ისეთ პირობებში, რომელსაც არავითარი მსგავსება არა აქვს სხვა თანამოკალმეთა აღზრდის პირობებთან. გორკის ცხოვრებამ ბეჭედი დაასვა მის პოეზიას, მის გულში შექმნა ერთი სიმღერა, რომელიც მისდაუნებურად ისმის, როდესაც გორკი ცხოვრებას თვალს ადევნებს.

გამოცნობა ამ სიმღერისა, შეგწება იმ საიდუმლო ძალისა, რომელიც ყოველთვის თავისებურად აფერადებს აზრსაც, გრძნობასაც და პოეტის შემოქმედებასაც, ნიშნავს გასაღების პოვნას შესაგნებლად პოეტის ნაწარმოებთა".

შიო ჩიტაძის მსჯელობას მივყევართ ასეთ დასკვნამდე: მწერალი ცხოვრებისაგან უნდა იღებდეს პოეზიის საკვებს. ეს თვალსაზრისი წამყვანი თვალსაზრისია, მაგრამ მკვლევარი გორკის ნაწარმოებთა შეცნობისათვის გასაღების პოვნას თვით მწერლის მიერ განვლილი ცხოვრების გათვალისწინებით ცდილობს. შიო ჩიტაძის კვლევის მეთოდი, მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის დადგენა-გამოკვლევა არის ამჟამად საყოველთაოდ აღიარებული, მიღებული მეთოდი. იგი ძიების სწორ ხაზს პოულობს გორკის ცხოვრებიდან. ამ შრომას იმ პერიოდისათვის ცნობილი ფაქტები უდევს საფუძვლად.

ცნობილია, რომ მაქსიმ გორკიმ მთელი რუსეთი და კავკასიაც ფეხით მოიარა, მრავალი სიმწარე იგემა. ხანგრძლივი ხეტიალი ზრუნვა ლუკმა პურისათვის... სამაგიეროდ „შეიძინა მდიდარი პოეტური მასალა შემოქმედებისათვის" — ამბობს შიო ჩიტაძე. გორკი, როგორც მწერალი, მისი პირველი ნაწარმოებითვე იცნო საზოგადოებამ. როგორია გორკის თვალსაზრისი მწერლის, შემოქმედის დანიშნულების შესახებ იმ დროს, როდესაც გორკის პოეტური ნიჭი იწყებს გა-

ფურჩქვნას? — მივყვეთ შიო ჩიტაძის მსჯელობას გორკის შესახებ:

„მე მაქსიმ გორკი წარმომიდგენია ძალოვან გოლიათად, რომელშიაც დიდი ძალები ღელავენ. მაქსიმ გორკის რომ ეცხოვრა ძველ დროს, უთუოდ დაუძმობილდებოდა ბებერ ყაზახს ილია მურომეცს, და იმასთან ერთად გაილაშქრებდა თათრებზე, შეეჭიდებოდა სოლოვეი-ყაჩაღს, თავის გმირულ ხელს გაუწოდებდა ღვთისნიერ ქვრივებს და პატარა ობლებს.

გორკი ძვირფასი „სამოროდოკია", გიჟმაჟი ნიაღვარი, თავისი ძალღონით მზის გამკვლევი".

შიო ჩიტაძის მიერ გორკის შემოქმედების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას, საშუალება მიუცია მკვლევარისათვის დაეჯგუფებინა ნაწარმოებთა გმირები — ეჩვენებინა ტიპიური სახეები საზოგადოების ყველა ფენიდან.

შიო ჩიტაძე მაქსიმ გორკის თხზულებათა გმირების საქმიანობასა და ხასიათების ფართო ანალიზს გვაძლევს. გორკის ქმნილებების გმირები უკეთესი ცხოვრების გამო იღუპებიან, მათ ბრძოლის უნარი არა აქვთ, მაგრამ ამათ გვერდით მოქმედებენ ისეთი გმირებიც, რომელთაც ამ ცხოვრებასთან ბრძოლა უფრო ამხნევებთ, ინტერესდებიან ამ ცხოვრებით. ასეთები, უკეთესობასთან მებრძოლი ადამიანებია.

შიო ჩიტაძე ამ ნაშრომის დასაწყისში ამბობს: „პირველი გამოჩენისთანავე გორკის ვარსკვლავმა ბრწყინვალედ გააშუქა, რაც უფრო მაღლა მიდის ცაზე, მით უფრო ძლიერდება მისი შუქი... გორკი ასპარეზზე გამოვიდა მოთხრობების პატარა ტომით, მაგრამ ერთბაშად დაიმონავა მკითხველი საზოგადოება, გახდა იმისი ღმერთი. იმის პოეტური მოთხრობების ფურცლებიდან გაისმა მძლავრი მოწოდება ცხოვრებისათვის, რომელიც აღსავსეა მშვენიერებით, ძლიერებით და მოძრაობით. მისი პოეზია მოუწოდებდა პიროვნებას უფლებათა ბრძოლისათვის... უმღერდა სადღესასწაულო ჰიმნს, ძლიერ ძალას, ამ ძლიერ ძალად, მაქსიმ გორკს — ადამიანი მიაჩნდა. „ადამიანი — ეს მშვენიერებაა! პატივს უნდა ვცემდეთ მას".

შიო ჩიტაძე ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ამდენად დიდი თაყვანისმცემელია მაქსიმ გორკისა, მისი

შემოქმედებითი ნაბიჯის მხატვრული ღირსების მაღიარებელი.

კიევში მოღვაწეობის პერიოდს ეკუთვნის შიო ჩიტაძის ნარკვევი სათაურით: — „ნიცშეს იდეალი," რომელიც დაწერილია ზემოთ განხილულ შრომის „მაქსიმ გორკის შემოქმედების" შემდეგ, (1903 წ.) განსახილველ თემაში შიო ჩიტაძე ერთ ადგილას ამბობს: „კაცობრიობა, ვწერდი ერთს ჩვენ წერილში, როგორც მთელი ბუნება კონსერვატულია (ეს წერილია „გორკი და მისი შემოქმედება". — ლ. მ.). ნაბიჯი წინ ისეთი სიძნელით იდგმება, იმდენ მსხვერპლს თხოულობს, რომ კაცობრიობა ძალაუნებურად პატივს სცემს საუკუნეების ტანჯვით შეძენილს".

ამ ზოგადი შესავლით შიო ჩიტაძე ნიცშეს ფილოსოფიურ კონცეპციას იხილავს. შიო ჩიტაძის მსჯელობა არის მკვეთრი, დასაბუთებული. ამ ნარკვევით აშკარა ხდება შიო ჩიტაძის შეხედულება ამ უტოპისტ ფილოსოფოსზე.

„ნიცშეს მოძღვრებაში ძლიერი და აღგზნებული სიტყვა ისმის, ჰაერი და ფართოობა ჩანს, იგი აღადგენს სულით დაცემულთაც კი, უღვიძებს გულში სარწმუნეობას, რომელიც ასე საჭიროა ყოველი ბრძოლისათვის". ასეთ ანალიზს იძლევა შიო ჩიტაძე გერმანელი ფილოსოფოსის ნიცშეს მოძღვრების განხილვისას. აქ მოჩანს შიო ჩიტაძის ამ საკითხზე მსჯელობის ერთი მხარე, რაც იმას როდი ნიშნავს, რომ მას არ ესმოდეს ნიცშეს უტოპიური იდეალების უსუსურობა. შიო ჩიტაძეს კარგად ესმის განსაკუთრებული ზეკაცის—„მე მსურს" ვერ შექმნის კაცობრიობის ნამდვილ, ჭეშმარიტ მომავალს. „შიო ჩიტაძე სრულიად ნათლად ხედავს ნიცშეს იდეალის რეაქციულ ბუნებას, რის შესახებაც იგი ამბობს: „რამდენად მართალია გერმანელი ფილოსოფოსი, როდესაც სამყაროს ცხოვრების გულში ათავსებს განცალკევებულ პიროვნებას და მის სურვილს? ნიცშე არ იძლევა არც ერთ ძლიერ საბუთს თავისი აზრის გასამართლებლად, მართლაც, თუ სურდა ნათელეყო თავისი რწმენა, ნიცშეს უნდა დაემტკიცებინა პირველად, რომ ადამიანის პიროვნება არაფრით არ არის დაკავშირებული გარეშე ქვეყნიერებასთან. უნდა დაემტკიცებინა, რომ ფიზიკური

ქვეყნიერების საიდუმლო ძალებს არავითარი გავლენა არა აქვს ადამიანის პიროვნებაზე. უნდა დაემტკიცებინა, რომ ადამიანის პიროვნება მოშორებულია სხვა პიროვნების ზემოქმედებას, მხოლოდ მაშინ იქნება ცხადი, რომ განცალკევებული პიროვნება არის მეფე ქვეყნიერებისა, მისი არსისა.

ნიცშეს დიდი შეცდომა მოუვიდა, რადგან ფსიქოლოგიური მდგომარეობა მიიღო დედაბოძად, და არ შეამოწმა მისი ლოგიკური ვარგისიანობა". აქ აშკარად არის აღიარებული ნიცშეს შეცდომა, ამ შეცდომებს შიო ჩიტაძე ვერ ხსნის რით არის გამოწვეული. გერმანელი ფილოსოფოსის რეაქციული მსოფლმხედველობის შესახებ ამ პატარა ნაშრომში არაფერია თქმული, მხოლოდ, გზადაგზა ხაზგასმულია ნიცშეს ზოგიერთ შეცდომებზე და ბოლოს შიო ჩიტაძე მისულა ასეთ დასკვნამდე: „რა უშავს, რომ ნიცშე გვიწვევს, გაღვიძებული ძალები მოვახმაროთ .უტოპიას, ოცნებას, ზეკაცს, ვინ გვიშლის სხვა ვარსკვლავს, სხვა ბრწყინვალე იდეალს შევწიროთ ნიცშეს აღგზნებულის სიტყვებით გაღვიძებული ენერგია. ნიცშეს მოძღვრება მძლავრი პროტესტია ერთ ადგილზე დგომის წინააღმდეგ, ნიცშეს მოძღვრება დამსხვრევაა ძველისა, მოწოდებაა წინსვლისა, შეუდრეკელობისა... თუ აზრი დამარცხდა, გულწრფელობამ იდღესასწაულოს, — ასწავლის ნიცშე". შიო ჩიტაძეს სურს გამოიყენოს საბრძოლო განწყობილება უტოპისტი ნიცშეს იდეალისაგან, მოსწონს პროტესტული .განწყობილება. შიო ჩიტაძე ეძებს ფილოსოფიაში საბრძოლველ ძალას, ადამიანთა ადგილიდან დაძვრის ღონისძიებას: უტოპისტის მოძღვრების გამოყენება შეუთავსებელი, უფრო სწორად, მცდარი თვალსაზრისია.

შიო ჩიტაძის ძიება, უტოპიურ ნიადაგზეა დამყარებული ამ შემთხვევაში. უნდა ითქვას, რომ შიო ჩიტაძის მსოფლმხედველობისათვის უტოპიზმი წამყვანი, დამახასიათებელი არ ყოფილა.

შიო ჩიტაძის კიევში მოღვაწეობის პერიოდიდან ცხადად ჩანს, რომ მას ბევრ საინტერესო საკითხებზე უმუშავნია, კვლევა-ძიება უწარმოებია. ნაშრომების გაცნობამ დაგვარწმუნა შიო ჩიტაძის ინტელექტუალურ ძლიერებაში.

უკრაინაში შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ჩვენ გავეცანით მის პედაგოგიურ მუშაობასაც. ამრიგად, შიო ჩიტაძემ საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა კიევის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც მუყაითი პედაგოგიური მუშაობით, ისე შემოქმედებითი შრომით.

თბილისში მუშაობის პერიოდი.

1904 წელს თბილისის მოწინავე ინტელიგენციამ იმდროისათვის უკვე სახელმოხვეჭილ მოღვაწეს, რუსული ენისა და ლიტერატურის ღრმად მცოდნე — შ. ჩიტაძეს სთხოვა გადმოსულიყო თბილისის ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად.

შ. ჩიტაძის სურვილიც სამშობლოში დაბრუნება იყო. მას უნდოდა ქართველ ინტელიგენციას ამოდგომოდა გვერდში და სამსახური გაეწია საერთო ეროვნული საქმისათვის. ამიტომ შ. ჩიტაძემ დიდი სიამოვნებით მიიღო ქართველი ინტელიგენციის მოწვევა, და როგორც ირკვევა, სასწრაფოდ გამოემგზავრა კიდეც თბილისში. კიეველ ნაცნობ-მეგობრებს მეტად საწყენად დარჩენიათ შიოს გადაწყვეტილება. მოგვეპოვება ერთი კოლექტიური წერილი, რომელსაც ხელს აწერენ შ. ჩიტაძის კიეველი მოსწავლეები და მეგობრები. წერილით დასტურდება თუ როგორ უყვარდათ და პატივს სცემდნენ შ. ჩიტაძეს. „ჩვენო ძვირფასო შიო ალექსის-ძევ! არ ვფიქრობდით, რომ ასე უცბად მოხდებოდა ჩვენი დაშორება. საშინლად მძიმეა ამაზე ფიქრიც კი. გვინდა გვჯეროდეს, რომ თქვენ ისევ დაბრუნდებით კიევში, ისევ გვასწავლით და იზრუნებთ ჩვენს განვითარებაზე. გულწრფელად მადლობელი ვართ თქვენი ყველაფრისათვის, მადლობელი ვართ ჩვენდამი კარგი, გულთბილი დამოკიდებულებისა და იმისათვის, რაც თქვენ ჩვენთვის გააკეთეთ.

ჩვენ თქვენში ვხედავდით არა მარტო მასწავლებელს, არამედ მეგობარსაც, რომელთანაც თამამად შეგვეძლო მისვლა კეთილი რჩევა-დარიგების მისაღებად. სულითა და გულით გისურვებთ ყველაფერს, ყველაფერს კარგს, ღმერთმა ქნას, რომ სამშობლოში კარგად წაგსვლოდეთ საქმე, კავკასიას

აღედგინოს თქვენი ჯანმრთელობა, მოგცეს ძალა და ენერგია ახალი საქმეებისათვის. თქვენ მომავალ მოსწავლეებს ისე ყვარებოდეთ, როგორც ჩვენ გვიყვარდით და გაფასებდით. მაგრამ როგორ კარგადაც უნდა მოეწყოს თქვენი საქმე, ძვირფასო შიო ალექსის-ძევ, ნუ დაგავიწყდებით ჩვენ, რომლებსაც მუდამ გვემახსოვრება თქვენთან გატარებული დრო. ის დრო იქნება ჩვენს მახსოვრობაში ნათელი და წმინდა ჩვენი გიმნაზიის ცხოვრებიდან.

ნახვამდის, ძვირფასო შიო ალექსის-ძევ, კიდევ და კიდევ სულ კარგად ყოფნას, ბედნიერებას და მიღწევებს გისურვებთ! გმადლობთ!"

რ. ლევინა, ა. რუსო, ბუკრევა, ოსკანა საულეკი, მ. ხაისი, ი. პრიკოვსკაია, ო. სიმონენკო, ნ. ხლებნიკოვა, ე. კოსტეცკაია, ი. იაცევიჩი, ე. ბერენდი, მ. სუცკოვერი, ე. დავიდოვა, ე. კრავჩენკო, ო. ანტონოვსკაია, მ. ბელოფასტოვა, ლ. ივანოვა, ო. ზეპოლი, კ. ესენი, კ. გეგელი, ვ. ზორნაია, ო. გოლიაროვა, ე. კუზი, ა. ტრიტშელი, შჩელკანოვცევა, ა. დრუგუნი, ვიტვეცკაია, ვ. რომანოვსკაია, მ. კულიკოვსკაია, ო. როშჩინი, ო. სიმონოვიჩი, ბოხტი, ჩერნოვა, ზ. ლევიტსკაია.

წერილი დათარიღებულია 1904 წ. 9 სექტემბრით.

1904 წ. 15 დეკემბერს კიევში თბილისიდან გაგზავნილ საბუთში ვკითხულობთ: „კიევის ფუნდუკლეევის ქალთა გიმნაზიის სკოლის გამგეს!—კომიტეტს აქვს პატივი გთხოვოთ თანხმობა, რათა გადმოუგზავნოთ დოკუმენტები (თქვენი სკოლის) ყოფილ მასწავლებელ შიო ალექსის-ძე ჩიტაძეს, რომელიც ამჟამად თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგედ მუშაობს. თბილისის გუბერნიის ღარიბ მოსწავლეთა შემწე თავადაზნაურთა საზოგადოების გამგე-კომიტეტის თავმჯდომარე თავადის ქალი მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი".

1904 წელს შიო ჩიტაძე ჩამოვიდა თბილისში და დაინიშნა ქართული გიმნაზიის დირექტორად.

შ. ჩიტაძე სასწრაფოდ შეუდგა ქართული გიმნაზიის მუშაობის სისტემის გაუმჯობესებას, რისთვისაც მან მჭიდრო

ურთიერთობა დაამყარა პედაგოგიურ კოლექტივთან და პრესასთან.

იმ დროს კულტურული ინტელიგენციის წინაშე მწვავედ იდგა ქართული სკოლის ბედის საკითხი. ეს დიდი ეროვნული საქმე ფართო მსჯელობისა და ბრძოლის საგანიც გახდა. ქართველი მოღვაწეები სკოლებიდან განდევნილი დედაენის უფლებების აღდგენას მოითხოვდნენ. ქართული სასწავლებლები ითხოვდნენ სახელმწიფო ხარჯზე დაფუძნებას და თავიანთი ავტორიტეტის ამაღლებას. კერძო საზოგადოების ზრუნველობაზე დაფუძნებული სკოლები კი სახელმწიფოსაგან ადმინისტრაციული „სესხის" ნაცვლად საქმიან ხელმძღვანელობას და უფლებების განმტკიცებას მოითხოვდნენ. ეს საკითხები იყო შ. ჩიტაძისა და მისი თანამებრძოლებისათვის თავსატეხი საკითხები, რომელიც მოითხოვდა დიდ ენერგიასა და პატრიოტულ მგზნებარებას. შ. ჩიტაძე განსაკუთრებით გამოირჩევა ამ ფრონტზე, ვინაიდან თბილისში გადმოსვლის დღიდანვე მან უპირველეს ამოცანად დაისახა ქართული სკოლის გამოჯანმრთელება, მისი ავტორიტეტის ამაღლება, უფლებების განმტკიცება.

„სკოლა, რომელსაც ფლობს ცარიზმი, მძლავრი იარაღია, რომელიც ამტკიცებს აქ (საქართველოში) რუსულ ცივილიზაციას". ასეთი იყო რუსეთის მოხელეთა თვალსაზრისი. „რუსულ ცივილიზაციას" უფრო ფართო გასაქანი მისცა კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსმა იანოვსკიმ. იგი ამ თანამდებობაზე დაინიშნა 1878 წელს და „იმოღვაწა 1901 წლამდე". მიწასთან გასწორებული ქართული ენის დამცირებულ უფლებები კიდევ უფრო დაკნინდა. იანოვსკის აზრით, სკოლა უნდა ყოფილიყო რუსული ცივილიზაციის დამნერგავი განაპირა ქვეყნებში და ადგილობრივი ეროვნული კულტურის შემმუსვრელი. ამ მიზნით, იანოვსკის ცნობილი სასწავლო გეგმა ქართულ სკოლებში კრძალავდა ქართულ ენას. სკოლაში პირველ წლიდანვე იწყებოდა რუსულ ენაზე სწავლება მცირეწლოვანთათვის. სრულიად უცნობი ენით ბავშვის გონებრივი აღზრდა, რა თქმა უნდა, თანდათან ასამარებდა მშობლიურ ენას. სკოლა ათასგვარ ბარბაროსულ ხერხს მი-

მართავდა, რომ გარდაექმნა ნორჩი თაობის სული და აზროვნება. სკოლა ბავშვებისათვის საფრთხობელად იქცა. იანოვსკის სასწავლო გეგმით სავალდებულო იყო რუსული სკოლების ქსელის გაფართოება და ამ სკოლებში ბავშვების მოზიდვა, რაც უმთავრესად ძალდატანებით ხდებოდა. გვაქვს უამრავი წინააღმდეგობის ფაქტები ქართველი მოსახლეობის მხრივ: წვავდენ სკოლებს, ამტვრევდნენ ნივთებს, მშობლები არ უშვებდნენ ბავშვებს სკოლებში. იანოვსკის პოლიტიკის წყალობით, ახალგაზრდობის აღზრდის საკითხი საქართველოში ინტელიგენციისათვის საჭირბოროტო საკითხად იქცა და საფუძველი მისცა დაწყებულიყო პრინციპული ბრძოლა სკოლისა და სწავლების გამო. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ საქართველოში გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ, კერძოდ, იანოვსკის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის სურათი, გავეცნოთ ზოგიერთი ქართველი მოაზროვნის აზრს.

გულისწყრომით აღსავსეა ს. მესხის „ღია წერილი ბ. იანოვსკისადმი"[1]. წერილის ბოლოს ავტორი აღნიშნავს: „თქვენ გნებავთ ახლა, რომ სოფლის სკოლების საშუალებით უეცრად მოსპოთ ენა და უცხო ენაზე აგვალაპარაკოთ? და თქვენ გნებავთ, რომ ერთის თვალის დახამხამებაში ხალხმა დაივიწყოს ის, რაც ორი ათასი წლის განმავლობაში სისხლის ღვრითა და ტანჯვა-წვალებით შეუძენია და ძვირფას საუნჯედ გადმოუცია თავის შთამომავლობისათვის? და თქვენ გნებავთ, რომ ამგვარმა ხალხმა ერთის სიტყვით მიატოვოს თავის გვარტომობა?... ქართველების სურვილები იგივეა, რაც ყველა ხალხისა: დაიცვან თავისი სამშობლო ენა, მამული, სჯული და სარწმუნოება. ეს სურვილი მგონია კანონიერია და ყოველი მმართველობა ეხმარება თავის ხალხს ამაში. თქვენი სურვილია კი, რომ ქართველებს ქართული დაავიწყოთ, რომ პირველ დაწყებით სკოლებში შესვლის უმალვე ყმაწვილებმა უცხო ენაზე სწავლა დაიწყონ. ეს სურვილი წინააღმდეგია სახელმწიფო ინტერესებისა".

წერილის ტონი ქართველი საზოგადოებრივი აზრის აშკა-

---

[1] გაზ. „დროება", 1880 წ., № 2543.

რა პროტესტის გამომსახველია იანოვსკის პოლიტიკის წინააღმდეგ.

მხცოვანი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანიც გამოეხმაურა სწავლა-აღზრდის საკითხს. გმობდა რა იანოვსკის მეთოდს, დ. ყიფიანი ამბობდა, რომ ქართველი ხალხი ერთგული იყო და იქნება „ერთმთავრობისა", „მანამდისინ ჩვენი ხალხოსნობა დაცული გვექნება. და ხალხოსნობა ხომ გამქრალია, სადაც იმისი ენა აღარ არის. ბ. იანოვსკის ათასწილად უჯობს ისევ იმ აზრის (ქართული ენის განდევნის აზრის) შეჰუსვრა მოახერხოს... თუ ეს აზრი არ შეიმუსრა, ბ. იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად: ჯერ რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულესთაგანი ხალხის გაორგულება განუზრახავს და მეორე, — მეცნიერების წინაშე, რომ პედაგოგიას ურღვევს დიდი მეცადინეობით შემუშავებულს კანონსა, რომელიც ბრძანებს: „წულს ყრმას ჯერ საშინაო ენას ასწავლიდეთ და მერე საქვეყნოსაო". დ. ყიფიანი აღშფოთებულია იმით, რომ დაწყებით სწავლებაში შეზღუდულია მშობლიური ენა. ენის განდევნა, ენის გაქრობა „მას „ხალხოსნობის" — ეროვნების გაქრობად მიაჩნდა. ეს იყო ამ ბუმბერაზი მოქალაქის ბრძოლის დასაწყისი ამ ფრონტზე, რითაც ეს დიდი პატრიოტი უფრო მძაფრად დაუპირისპირდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას, რომელმაც იგი იმსხვერპლა კიდეც[1]. ამ

---

[1] დიმიტრი ყიფიანი თავისი დროისათვის დიდად განათლებული და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართული ენისა და ლიტერატურის დიდი მოამაგე იყო. მან ქართულისა და რუსული ენების მშვენიერ ცოდნასთან ერთად, კარგად იცოდა ევროპული ენებიც. ის 50 წლის განმავლობაში ეწეოდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული დრამატული საზოგადოების, საჯარო ბიბლიოთეკის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული თეატრის, ქართული პერიოდული პრესის, საადგილმამულო ბანკის და სხვათა შექმნა. 1886 წ. მეფის მთავრობამ თაედადებული ქართველი დიმ. ყიფიანი გადაასახლა ქ. სტავროპოლში. მოსყიდულმა აგენტებმა 1887 წ. 24 ოქტომბერს მოპკლეს მოხუცი პატრიოტი. ილია ჭავჭავაძე 30 ოქტომბერს „ივერიაში" წერდა: „ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმ. ყიფიანს". აკ. წერეთელი მწუხარებით აღსავსე, დიმ. ყიფიანის შესახებ წერდა: „ის ტკივნი,

საერთო საკითხის გამწვავება და საწინააღმდეგო თვალსაზრისის პრინციპულად დასმა ჩანს ილია ჭავჭავაძის გამოსვლებშიც. ილიას მსჯელობა ქართული ენის სწავლების შესახებ ემყარებოდა მოწინავე პედაგოგიური აზროვნების დებულებებს. იგი წმინდა პედაგოგიური თვალსაზრისით ამტკიცებდა იანოვსკის პოლიტიკის ფლიდ ხასიათს. ილიამ მკვეთრი ანალიზის შედეგად გაანადგურა იანოვსკის მოსაზრებები. დაწყებითი სწავლება არამშობლიურ ენაზე საზიანოა მომავლის შემქმნელი თაობის აღსაზრდელად და დაადასტურა რუსული ენის ცოდნის დიდი უპირატესობა. ილიას აზრით, რუსული ენის სწავლება უნდა მტკიცდებოდეს სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე. ილია წერდა, რომ რუსული ენა „ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის. იგი ფარხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდან გარეთ ფეხს გამოვდგამთ“, ამიტომ ილიას აუცილებლად მიაჩნია რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლა. ქართველი ინტელიგენციის ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია. ქართველი ბავშვების აღზრდა რუსული ენით დაიწყო და გაგრძელდა, რამაც შემდეგში უფრო დაუპირისპირა ქართველი ინტელიგენცია რუსეთის ბიუროკრატიულ წესებს და ქართველობის გამარუსებელი პოლიტიკის დამცველ წრეებს. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით გამძაფრდა ცხრაასიან წლებში. იმ დროს მკვეთრად გამოირჩევა შიო ჩიტაძის პრაქტიკული ღონისძიებანი სკოლის გეგმებისა და მუშაობის გარდაქმნის საქმეში.

რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის ძგერდა, ციცი ხვლები დააკრეფინეს“. აკაკი დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას უძღვნა ქართული პოეზიის შესანიშნავი ნიმუში „განთიადი“. ამ ლექსში ყიფიანს უწოდა დიმიტრი თავდადებული, ურჩი რაინდი, რომლის ცხედარი მშობლიურ მიწას შესთხოვდა:

ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“...

...შენს კალთას მიმაბარეო, — აუსრულდა უცხო მხარეში მოკლულ რაინდს ნატვრა. ქართველმა საზოგადოებამ მისი ცხედარი სტავროპოლიდან გადმოასვენა. დიმიტრი ყიფიანი დასაფლავებულია მთაწმინდაზე.

მისი თვალსაზრისი თეორიულად დასაბუთებულია პრესის ფურცლებზე. შიო ჩიტაძემ თბილისში მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ ახალ პედაგოგიურ პრინციპებზე გადაიყვანა ქართულ გიმნაზიაში სწავლა-აღზრდა და გააჩაღა ბრძოლა მმართველობის დემოკრატიული სისტემის შემოღებისათვის. მან შეიმუშავა სათავადაზნაურო სკოლის რეორგანიზაციის პროექტი და პრესაშიც გამოაქვეყნა. შიო ჩიტაძე მთელი სკოლის სამეურნეო-ადმინისტრაციული და სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის გარდაქმნას ასე მოითხოვდა: 1. სათავადაზნაურო გიმნაზია უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და უფლებრივად გათანასწორებული მთავრობის გიმნაზიებთან, 2. სწავლა უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, 3. სასწავლო გეგმაში უნდა შესულიყო ზოგადსაგანმანათლებლო საგნები, 4. ყურადღება უნდა მიქცეოდა მოსწავლეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას, 5. ამაღლებულიყო მასწავლებელთა კვალიფიკაცია, 6. გაზრდილიყო მასწავლებელთა ხელფასი, 7. შეზღუდულიყო გამგე-კომიტეტის უფლებები სასწავლო დარგში და გაფართოებულიყო პედაგოგიური საბჭოს უფლებები, 8. გამგე-კომიტეტს ეზრუნა მხოლოდ სამეურნეო-მატერიალურ დახმარებაზე.

შ. ჩიტაძის პროექტით გათვალისწინებული ეს ახალი თვალსაზრისი გაიზიარა პედაგოგიურმა „რჩევამ“ და ივი ფართო საზოგადოებრივი განხილვის საქმედ იქცა. ჩვენ ქვემოთ შევეხებით იმ სტატიებს, რომლებსაც ბეჭდავდა შ. ჩიტაძე პროექტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გამოწვეული მსჯელობის საპასუხოდ. 1905 წელს „ცნობის ფურცელში“ (№ 2834, 36, 37, 40, 42) შ. ჩიტაძემ დაბეჭდა წერილთა სერია სათაურით: „თბილისის სათავადაზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი“ (სულ 5 წერილი). წერილი ასე იწყება: „დრონი იცვალნენ. დაძინებულმა გამოღვიძა, თავი მაღლა აიღო და ღაღადებს: „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!“ გუშინდელი ყურმოჭრილი ყმა, დღეს თამამად ეუბნება ბატონს: — გეყოფა ბატონო, თვითნებობა. ახლა ადგილი დაუთმე იმას, ვინც თავის კისრით ატარებს უღელს, ვინც თავის ოფლით და სისხლით რწყავს თავის საქმეს.

თავისუფლების სიომ მიაღწია სათავადაზნაურო სკოლამდე და გამოაფხიზლა მისი მოთავე მასწავლებელნი. ამათაც მოისურვეს თავისუფლად სუნთქვა და გულახდილად გამოაცხადეს „ივერიის“ ფურცლებზე, რომ საჭიროა, აუცილებლად საჭიროა, დაუყოვნებლივ, რამდენადაც გარემოებანი საშუალებას აძლევენ, საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს სკოლას და შეიტანოს მის ცხოვრებაში ზოგიერთი ცვლილება“. (შ. ჩიტაძეს დასაბუთებული აქვს ქართულ გიმნაზიაში არსებული ზოგიერთი წესის შეცვლის უზომო საჭიროება:) „ვინც დაჰკვირვებია თბილისის სათავადაზნაურო სკოლას, იმისათვის ცხადია, რომ მას ნამდვილი სკოლის სახელი არ დაეთქმის. იგი უშველებელი პანსიონია, მოსამზადებელი სკოლაა, სადაც მასწავლებელნი იძულებულნი არიან მთელი თავისი ძალ-ღონე მოანდომონ მოსწავლეების გაწვრთნას მარტო იმისათვის, რომ გაუადვილონ მთავრობის გიმნაზიებში შესვლა ან იმავე გიმნაზიიდან კურსის დამთავრების მოწმობის მიღება. სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლები, მასწავლებლები კი არ არიან, არამედ რეპეტიტორები, უფრო მოუხეშავად რომ ვთქვათ „ნატასკივატელნი“, რომელნიც ტყავიდან ძვრებიან და ცდილობენ, რომ მათმა მოსწავლეებმა, როგორმე ბედნიერი ბილეთი ამოიღონ მ თ ა ვ რ ო ბ ი ს გ ი მ ნ ა ზ ი ი ს ლატარიაში. ამ მდგომარეობაში ჩაყენებული სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელი მონაა სხვისი პროგრამისა, სხვისი გემოვნებისა და სხვისი ქეიფისა“ ...შ. ჩიტაძის თვალსაზრისი აშკარად ჩანს მისი სტატიის ამ ამონაწერიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი პროექტით სათავადაზნაურო გიმნაზია დამოუკიდებელი და გათანასწორებული უნდა ყოფილიყო მთავრობის გიმნაზიებთან. სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლეები მოწმობას მაშინ მიიღებდნენ, თუ მთავრობის გიმნაზიაში შეძლებდნენ გამოცდების ჩაბარებას. სკოლისა და მოსწავლეების ბედი დამოკიდებული იყო მთავრობის სკოლების ნება-სურვილზე. ამიტომ საკითხი ისე უნდა დასმულიყო, რომ სათავადაზნაურო სკოლის უფლებები გათანაბრებოდა მთავრობის სკოლების უფლებებს. ამ საკითხთან დაკავშირებით შ. ჩიტაძე ასეთ

დასკვნას აკეთებს: „წარმოიდგინეთ ტანჯვა-წამება იმ მასწავლებლისა, რომელსაც ბუნებამ მისცა ნიჭი მოზარდ თაობის ხელმძღვანელობისა. ერთ-ორ წელიწადს თუ გაუძლებს არასასიამოვნო და უსარგებლო მუშაობის შესრულებას, მერე ან უსულო მანქანა გახდება, რომელიც უგულოდ და მექანიკურად დაიწყებს მოვალეობის ასრულებას და გახდება ყურმოჭრილი ყმა დევიზისა „ჩტო პრიკაჟეტე“ ან თავს დაანებებს სკოლას. რასაკვირველია, რომ სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლების ნაყოფი მცირედია, შეუსაბამო იმ ხარჯთან, რომელსაც საზოგადოება ეწევა სკოლის შესანახად. სანამ სკოლა არ იქნება განთავისუფლებული ძნელსა და უსიამოვნო მოვალეობისაგან, მოამზადოს ბავშვები მთავრობის გიმნაზიებში (გამოცდების ჩასაბარებლად), სანამ სკოლას არ ექნება დამოუკიდებელი პროგრამა სწავლისა, მანამ კეთილნაყოფს ვერ გამოიღებს, დასწვრივ დაეშვება და უსათუოდ დაიღუპება“. საკითხი პრინციპულია იმდენად, რამდენადაც საქართველოში ასეთ მდგომარეობაში იყო ყველა სკოლა, მცირე გამონაკლისის გარდა.

მომდევნო სტატიაში შ. ჩიტაძე არკვევს სათავადაზნაურო გიმნაზიის ჩამორჩენილობისა და სწავლის ხარისხის გაუარესების მიზეზს. იგი აღნიშნავს: „არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ სათავადაზნაურო სკოლა დაარსებულია მოსწავლეების ეროვნულ ნიადაგზე აღსაზრდელად. მგონი დამტკიცება არ სჭირია იმ აზრს, რომ ყოველ ეროვნებას თავისი სკოლა უნდა ჰქონდეს: ქართველს — ქართული, პოლონელს — პოლონური და სხვ. ეს აუცილებელი საჭიროებაა არა მარტო იმიტომ, რომ სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აგებული, დაიცავს ეროვნების ფიზიონომიას, არამედ უმეტესად იმიტომ, რომ სწავლება-განათლების მიღება-განვითარება უფრო ადვილია სამშობლო ენაზე. ვინც ამას უარყოფს, ის ეწინააღმდეგება ბუნებას და მის კანონებს... სათავადაზნაურო სკოლის დამაარსებელთ სურვილი ჰქონდათ, რომ სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე ყოფილიყო, მაგრამ... ყამთავითარების ძალა, ხომ მოგეხსენებათ, სურვილი სურვილად დარჩა“. სკოლის ამგვარ ნიადაგზე დაფუძნების შედეგად ქართულ ენაზე სწავლებამ არ მოიტანა

შედეგი, რადგან მთავრობის გიმნაზიაში საგნების ჩაბარება რუსულ ენაზე ხდებოდა და მოსწავლეები გრძნობდნენ, რომ ქართულ ენაზე შეთვისებულ საგნებს უფლება დაკარგული ჰქონდათ. ბულით აღარ ეტანებოდნენ საგნების ქართულად სწავლას, რუსულიც იმდენად არ იცოდნენ, რამდენ მოთხოვნილებასაც გამოცდებზე უყენებდნენ. ბოლოს ქართული გიმნაზია „ორი კურდღლის მაძებრის“ როლში აღმოჩნდა. ამ ფაქტის ანალიზის შედეგად, პატრიოტი მოღვაწე აცხადებს: „მაშ იტყვით მკითხველო, — ერთი საშველიღა დაგვრჩენია: სწავლა რუსულ ენაზე შემოვიღოთ! არა, რუსული ენა არ უშველის სკოლას. ქართველისათვის რუსული ენა სამშობლო ენა არ არის და მასზე სწავლა საღი პედაგოგიკის წინააღმდეგია, ამიტომ საჭიროა მოვითხოვოთ სათავადაზნაურო სკოლისათვის ქართულ ენაზე ყველა საგნების სწავლა, გარდა რუსულისა. მარტო ეს ძირითადი ცვლილება სხვებთან ერთად დააყენებს სკოლას სწორ გზაზე და პირნათლად შეასრულებინებს მოვალეობას“ — ეს იყო მეორე საკითხი, რომელსაც შიო ჩიტაძის პროექტი შეიცავდა. დასახელებულ სტატიაში შ. ჩიტაძე აყენებს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის უფლების გაზრდის საკითხს. მას მოჰყავს ბიუროკრატიული რეჟიმის ზემოქმედების მაგალითები და ამტკიცებს, რომ სწავლის საქმეს განაგებენ ისინი, ვისაც არავითარი კავშირი არა აქვს სწავლასთან.

„გამათახსირებელი ბიუროკრატიული რეჟიმი არ ასცდა სათავადაზნაურო სკოლასაც, თუმცა იგი საზოგადო დაწესებულებაა.

ბიუროკრატიული პრინციპები ყველას ძვალსა და რბილში აქვს გამდგარი და საზოგადოებრივი ორგანიზაციაც მის ელფერს იღებს. მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ბიუროკრატის მძლავრი მკლავი შესუსტდებოდა სასწავლებლის საქმეში საზოგადოების მონაწილეობით, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე არ მოხდა“. ჩიტაძე ასაბუთებს, რომ მთავრობასა და საზოგადოების მუხრუჭში მოქცეული პედაგოგთა კოლექტივი მოკვდა, მანქანად იქცა. გამგე-კომიტეტი აწარმოებს სკოლის საქმეებს, ერევა და ცვლის სკოლის საქმიანობას

როგორც მას სურს. გამგე-კომიტეტი ერევა იმ საქმეში, რომ-ლისაც არაფერი გაეგება, წყვეტს მასწავლებლებისა და მოსწავლეთა საქმეებს, რომლებიც არც კი უნახავს. ეს ზიანს აყენებს საქმეს.

შ. ჩიტაძე მოითხოვს გამგე-კომიტეტის საზოგადოების უფლებების შეკვეცას და პედაგოგთა უფლებების გაზრდას, იმას, რომ სკოლის გამგე და პედაგოგები ზრუნავდნენ სას-წავლო საქმისათვის. იგი კატეგორიულად აყენებს საკითხს: „უფლება იმას უნდა მიეცეს, ვინც თვის ოფლს ღვრის. სისხლით რწყავს საქმეს“.

ყველაზე თავსამტვრევი საკითხი სწავლების დარგში იყო პროგრამისა და სასწავლო დისციპლინის საკითხი. მასწავლე-ბელი ასწავლიდა იმას, რაც თვით არა სწამდა. მოსწავლე იზეპირებდა იმას, რაც არაფერს ეუბნებოდა არც მის გულსა და არც მის ჭკუას. ამიტომ დაიკარგა სწავლის ინტერესიც. მოსწავლე-მასწავლებელი ერთიმეორის მტრად იქცა.

შ. ჩიტაძე ამ ვითარებას შემდეგნაირად განმარტავს: „რამ შექმნა ეს უფსკრული, რომელიც სუფევს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, რამ გახადა ერთიმეორის მტერი თუ არა იმან, რომ მასწავლებელი აწოდებს ცნობისმოყვარე ბავშვის გონებას პურის მაგივრად ქვას. რამ შექმნა ცოდნის საზომავი ნიშნები, ეგზამენები, ათასნაირი სასჯელი, თუ არა იმან, რომ მასწავლებელი იძულებულია როგორმე მიაღებინოს მოსწავლეს მწარე წამალი, რომელიც არავითარ სარგებლობას არ მოუტანს მშიერს. ბავშვი მშიერია ცნობისმოყვარეობით, ჩვენ კი ისეთ წამალს ვაძლევთ, რომელიც შიმშილს არ უკლავს.

ცხადია, ჩვენი სკოლის პროგრამას ძირითადი შეცვლა სჭირია. შეცვლა უნდა მოხდეს იმ აზრით, რომ სკოლა დაუახ-ლოვდეს ცხოვრებას და მის ჭირ-ვარამს ემსახუროს“...

ამრიგად, შ. ჩიტაძე ასაბუთებს, რომ საჭიროა შეიცვა-ლოს სასკოლო პროგრამა ზოგად საგანმანათლებლო დისციპ-ლინების შეტანის გზით და მოითხოვს: „შევიტანოთ სკოლის პროგრამაში ელემენტალური ცნობები: პოლიტიკური ეკო-ნომიისა, კულტურის ისტორიისა, კანონმდებლობისა, ფსი-

ქოლოგიისა და ფილოსოფიიდან და მრავალდარგოვან ბუნ-ების მეტყველებიდან"-ო.

ჩვენ წარმოვადგინეთ შ. ჩიტაძისა და სკოლის საბჭოს პროექტის ძირითადი საკითხები. უფრო ვრცელი სურათი წარმოგვიდგება ამ პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნე-ბული სტატიების ანალიზის დროს. ამჯერად საკმარისია ჩამოვაყალიბოთ შ. ჩიტაძის საპასუხო წერილი იაკობ ღულა-ძის გამოქვეყნებულ სტატიაზე, სადაც იაკობ ღულაძე წარმოგვიდგება სათავადაზნაურო სკოლის რეფორმის მოწი-ნააღმდეგეთა შორის. შ. ჩიტაძის პასუხი ახალი პროექტის დამცველთა მოსაზრებების ნათელ სურათს გვაწვდის. „დიდი რიხი და სუსტი ღონე" ასე ასათაურებს შ. ჩიტაძე „ცნობის ფურცელში" (2846, 2848) 1905 წელს, საპასუხო სტატიას. მას მწვავე ტონი აქვს თავიდან ბოლომდე. უარყოფილია ი. ღუ-ლაძის ყველა ბრალდება, რაც მას პროექტის საწინააღმდეგოდ წამოუყენებია. მოვიყვანთ რამოდენიმე ადგილს. ასე, მაგალი-თად, ღულაძე ბრალს სდებდა პედაგოგიურ საბჭოს და შ. ჩიტა-ძეს, „თქვენი პროექტის ზოგიერთი მუხლი აქეთ-იქიდან ამოკრე-ფილი პედაგოგიური და დიდაქტიკური თეზისებია და ეს ღონის-ძიებები კარგა ხანია მიღებულია ჩვენს სკოლებში, მაგრამ იგი თავისთავად სკოლის ნაკლოვანებას მაინც ვერ სპობს"-ო. შ. ჩიტაძე მწარე დაცინვით იწყებს თავის პასუხს: „როცა კაცს გაუჭირდება, სიცრუეს მიმართავს ხოლმე, რომელ სკოლაში (იქნებ იქ, სადაც თქვენ ბრძანდებით მასწავლებლად) ასწავლი-ან პედაგოგიური პრინციპების მიხედვით რუსული ენის გრამა-ტიკას, რომელ სკოლაში ადევნებენ სისტემატურად მოსწავ-ლეების კლასის გარეშე წიგნების კითხვას, რომელ სკოლაში კითხულობენ რეფერატებს მასწავლებლები და ესწრებიან ამხა-ნაგების სამაგალითო გაკვეთილებს? ვერ დამისახელებთ ასეთ სკოლებს და თუ ამას ვერ შეესძლებთ, რა უფლება გაქვთ ბრძანოთ: „ეს ღონისძიებანი კარგა ხანია მიღებულია ჩვენს სკოლებშიო".

პასუხში კარგად მოსჩანს პროექტის მართებული პედაგო-გიური ღონისძიებანი, რომლებსაც აქვეყნებს შ. ჩიტაძე და იცავს ხელმყოფელ კრიტიკისაგან. მოვიყვანთ კიდევ ერთ მა-

გალითს, რომ ნათელი იყოს შ. ჩიტაძის თვალსაზრისი ღუ-
ლაძესთან კამათის დროს: „შეისმინეთ ბ-ნო ღულაძეე, რომ
ჩვენა გვსურს უბრალო რამ, რაც დაგმობილია, წინააღმდეგ
თქვენი მტკიცებისა, ახლანდელ სკოლაში: ჯერ განმარტები-
თის კითხვით ენის შესწავლა და აზრების გაფართოება და
მერე მათი გრამატიკული ანალიზი... ჩვენ ვამბობთ, რომ
გრამატიკა დაბალ კლასებში არ ასწავლის ენას და ხელსაც
უშლის, ამიტომ საჭიროა გრამატიკის მაგივრად ადგილი და-
უთმოთ განმარტებით კითხვას, რომელიც ენასაც უკეთესად
შეასწავლის, აზრებსაც შესძენს მოსწავლეს და იმ ტანჯვა-
წვალებასაც ააცილებს, რომელიც თან სდევს გრამატიკის
სწავლებასაც. ბ-ნ ღულაძეს უკვირს, რატომ პატივი ვეცით
რუსულ გრამატიკას და მისი ცვლილება მოვიხსენიეთ პრო-
ექტში. პასუხი ადვილია: იმიტომ, რომ რუსული ენა მთავარი
საგანია, მასზედ არის აგებული სხვა საგნების სწავლება და
მისი ცოდნა უნდა შეადგენდეს ეხლა მაინც ჩვენს პირველ
მოვალეობას". საყურადღებოა შ. ჩიტაძის შემდეგი გამო-
ნათქვამი: „ბ-ნტ ღულაძე დარწმუნებულია, რომ ძირითადი
ნაკლი ახლანდელი სკოლისა არის მრავალსაგნოვანება... რის
გამოც ჩლუნგდება (გონება) და სწავლა წამებად იქცევა.
იმის აზრით, ეს არის უკანასკნელი სიტყვა პედაგოგიისა და
მისი უარყოფა შეუძლიანთ „მხოლოდ უმეცართ, როგორნიც
არიან სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელნიო". ჩიტაძე
ამაზე უპასუხებს: — „კაბინეტში გამოგონილი აზრი სჯობს
ისევ კაბინეტში დარჩეს. ცხოვრება საუკეთესო მასწავლებე-
ლია. ეს ეშმარიტება მთელმა კაცობრიობამ სთქვა და საფუ-
ძველი ჰქონდა. წიგნური ცოდნა არ არის ისეთი მტკიცე
და შეურყეველი, როგორც ცოდნა, რომელიც ცხოვრებამ
შეასწავლა კაცს. მაქსიმ გორკის არ ჰქონია ბედნიერება
შეესწავლა ჩვენი სკოლის სიბრძნე, მაგრამ შეედაროს ვინმე
ცხოვრების ცოდნაში და ეს ხომ მთავარი საგანია სკოლისა.
ცხოვრება კი მრავალსაგნოვანია, ცხოვრების სკოლაში იმდე-
ნი საგანია, რამდენიც არ არის მთელი დედამიწის ზურგზე
არსებულ სკოლებში. მაგრამ ვინ იტყვის, რომ ცხოვრების
სკოლის მრავალსაგნიანობა უჩლუნგებს ადამიანს გონებას,

ცოდნის შეძენას წამებად უხდის, — არავინ. რატომ? იმიტომ, რომ ცხოვრება არ ჰგავს ჩვენი სკოლის მასწავლებლებს... ცხოვრებას აქვს ერთი ხერხი სწავლებისა: ფ ა ქ ტ ე ბ ი ს ლ ო გ ი კ ა, მ ა თ ი ს ი ნ ა თ ლ ე. მ ა რ ტ ი ვ ი ა ე ს ხ ე რ ხ ი, მ ა გ რ ა მ ძ ლ ი ე რ ი დ ა ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი". შ. ჩიტაძე ამით ადასტურებს, რომ მრავალსაგნიანობა სკოლის ნაკლი კი არ არის, არამედ ღირსებაა, თუ კი იცი რა ა ს წ ა ვ ლ ო, დ ა რ ო გ ო რ.

შ. ჩიტაძის მოთხოვნილებაა, რომ სწავლების პროცესი ახალ ნიადაგზე დადგეს, და ეს სრულიად სამართლიანიცაა.

შ. ჩიტაძის თბილისში მოღვაწეობის პერიოდიდან ჩვენ შევეხეთ მხოლოდ ერთ საკითხს: შ. ჩიტაძის პრაქტიკულ და თეორიულ საქმიანობას სკოლების მუშაობის ახალ პრინციპებზე გადაყვანისათვის.

1903 წლიდან საქართველოს ესტუმრა, — ივანე ფრანკოს სიტყვებით რომ ვთქვათ: „ძლიერ ვაჟკაცური, პოეტური სიტყვის ოსტატი ქალი", — ლესია უკრაინკა, მთელი უკრაინის ძლიერი პოეტური ძალა, უკრაინის ხალხთა გულის მესაიდუმლე, მაგრამ ფიზიკურად სუსტი, დაავადებული პოეტი. საქართველოს ბუნებამ, სამკურნალო ადგილებმა მისცა ძალა ძვლების ჭლექით შეპყრობილ მწერალს, რომ მისი სიცოცხლე ოდნავ გახანგრძლივებულიყო. ლესია უკრაინკა მჭიდრო კავშირში იყო ქართველ სტუდენტებთან ჯერ კიდევ უკრაინაში. საქართველოში მისი ჩამოსვლის შემდეგ ეს კავშირი უფრო გაღრმავდა, განმტკიცდა. მან გულწრფელად შეიყვარა საქართველო... „მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი"-ო, უთქვამს მგოსანს. ლესია უკრაინკა ადრე დაეწაფა მარქსისტულ იდეებს და მის პროპაგანდას ეწეოდა პუბლიცისტურ წერილებში და ზეპირ გამოსვლებში.

შ. ჩიტაძის მეგობარი ლესია უკრაინკა ამ მოღვაწის საქმიანობის კურსში ყოფილა. 1905 წლის 22 მარტს პოეტი ქალი თავის დედას სწერს თბილისიდან: «В грузинской дворянской школе, где Читадзе, разработали новый устáв с правом сходок в присутствии учителей и с ученическим советом, который имеет право вносить свои заяв-

ления в педагогический совет; это было достигнуто без битья окон и других безчинств, благодаря такту директора... Только 12 учеников вышли было из школы, заявив, что и наиболее приличное начальство всетаки начальство, а они не хотят иметь над собой никого. Половина этих протестантов вернулась однако уже назад по собственной воле и их приняли без всяких наказаний и штрафов»[1].

შ. ჩიტაძის ამავე პერიოდის სტატიების ერთი წყება ისევ სკოლის საკითხებს უკავშირდება, მაგ: 1905 წელს დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში" სტატია: „საქართველოსათვის ქართული სკოლა". ამ წერილშიც ავტორი ეხება სკოლის დანიშნულების საკითხს. იგი ამბობს: „სკოლა ხელოვანის საშუშაო ოთახია, სადაც ადამიანის სულმა უნდა მიიღოს თავის შესაფერი ფორმა და შინაარსი..." საკითხები ეხება ხელისუფლების პოლიტიკას, რომელსაც სურს სკოლას წაართვას თავისუფლება, შეზღუდოს ახალგაზრდის სულიერი აღზრდა. ავტორი აყენებს ქართული სკოლის დამოუკიდებლობის საკითხს. საქართველოს სჭირია ქართული სკოლა და თბილისს კიდეც ასეთ სკოლას-ო, — წერს ავტორი. მომდევნო წერილში სათაურით, „საშური საქმე", რომელიც აგრეთვე 1905 წელს დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში", შ. ჩიტაძე სრულიად მართებულ თვალსაზრისს ანვითარებს პრესისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ. აკრიტიკებს ცენზურის ვერაგულ მეთოდს „ღვიძლი შვილის" — აზრის დამახინჯებასთან დაკავშირებით. სტატიის ავტორის აზრით, „დამახინჯებული შვილი", პრესის საშუალებით გვიან მიაღწევს მკითხველამდე. ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველი ადამიანები ცდილობენ რა ხალხის გათვითცნობიერებას, აწყდებიან ცენზურის წინააღმდეგობას და გვიანდება, ფერხდება შეცნობა ნამდვილი პროგრამისა, რომლის საშუალებითაც უნდა შეიცვალოს დახავსებული და დამპალი ცხოვრება. შ. ჩიტაძე სტატიას ასე ამთავრებს: „მაშ, თუ გვსურს ახალმა

---

1 წერილის ასლი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში.

ცხოვრებამ ნამდვილი ნაყოფი მოიტანოს, მას წინ უნდა უძღოდეს თავისუფლება სიტყვისა და წერისა“, ამის შემდეგ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება (№ 2860 1905 წელი) სტატია სათაურით „უცნაური შეღავათი“. სტატია იწყება მტკიცე, შეუვალი თვალსაზრისის გამოვლინებით: „დიახ! ბორკილი შეუძლიან დასდოს აზრსა და მოჰკლას სიტყვა მარტო მან, ვისაც შეუძლიან შეაჩეროს მინდორში გრიგალი და ცაში ქუხილი“. ეს უტყუარი დებულება შიო ჩიტაძისათვის სახელმძღვანელო ჭეშმარიტება იყო სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

იგი მკვეთრად ხედავდა სინამდვილეს და ამ მწარე სინამდვილეს უპირისპირებდა მომავლის გარდაუვალ კანონს. ჩიტაძე ხედავს, რომ მტკიცე სიტყვით გამოხატულ საღ, ნათელ აზრს ებრძვიან, დევნიან, ბორკავენ, ცდილობენ მის სიკვდილს. „აზრი ორგანიულად თავისუფალია, — ამბობს შ. ჩიტაძე, — იგი იკვლევს კაცობრიობისათვის ახალ გზებს, ცდილობს ფარდა ახადოს ბუნების საიდუმლოებას, სურს დაიმონოს, და დაიმორჩილოს უხილავი ძალები, რომელნიც ცხოვრების ბორბალს ატრიალებენ. აზრს არ უყვარს ქურდული მუშაობა, ფარული მოღვაწეობა, იგი წვავს, ღრღნის ადამიანის სულს, მანამ სპეტაკი და ელვარე არ მიიღებს ფორმას სიტყვაში, აზრი და სიტყვა შეუღლებულნი არიან გაუწყვეტელის უღლით. და აი, როდესაც ტანჯვით და მასთან სიამით ნაშობი აზრი ხორციელდება ცეცხლისმფრქვევ სიტყვაში, თავზარი ეცემა ადამიანთ. ყოველ დროს სიტყვა იყო საშიში მტერი და მედგრად ებრძოდნენ მას, ვისაც ძალა ჰქონდა ხელში“. ჩიტაძე ამ მართებულ მოსაზრებას იხილავს მაშინ, როცა 1905 წლის რევოლუცია ხალხის აზრს ათავისუფლებდა ბორკილებისაგან, მაგრამ თავისუფალ, ნათელ აზრს მაინც „ოაზისებიდან“ უხდებოდა ამოსვლა, კიდევ სჭირდებოდა ბრძოლა გზის გასაკაფავად. აქვე ახსნილია აზრის შეფერხების ფაქტიური მიზეზები: პრესა, ცენზურის წესდების მიხედვით დაექვემდებარა შინაგან საქმეთა მინისტრს და სიცოცხლე მოუსპო ისეთ გამოცემებს, როგორიც იყო: „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, „ნოვოე სლოვო“, „ნაჩალო“, „კურიე-

რი“ და სხვა. ეს წერილი ეხება მეტად საინტერესო საკითხს— ცენზურისა და პრესის საკითხს. მაგალითად, „აზრს არ უყვარს ქურდული მუშაობა... იგი სწვავს და ღრღნის ადამიანის სულს, ლამობს გადმოხეთქოს საზღვრები აზრის მკვლელთა ჩასანთქმელად“. აქ ჩვენ ვხედავთ იმ ბრწყინვალე იდეათა სათავეს, რომელნიც სახალხო-საკაცობრიო მიზნებს ემსახურება. შიო ჩიტაძე სტუდენტობიდანვე იბრძოდა სიტყვისა და პრესის თავისუფლებისათვის და იმ წყობილების წინააღმდეგ, რომელიც ბორკავდა ხალხთა თავისუფლებას. „ბიუროკრატია მარტო უმეცართა ხელმწიფეა“ — წერდა იგი წერილში „სამარცხვინო ბორკილში“ (დაიბეჭდა 1905 წ. „ცნობის ფურცელი“ № 2867). შ. ჩიტაძე დამაჯერებლად ასურათებს რუსეთის ბიუროკრატიის საქმიანობას ხალხის გონების დაჩლუნგებისა და დაბნეულობისათვის. ის აღნიშნავს: „პირველდაწყებითი სკოლა არაფერს აძლევს ხალხს. არის კიდევ სხვა გზები, რომლითაც შეუძლიან სინათლეს ხალხამდე მიაღწიოს, ეს გზები გახლავთ ბიბლიოთეკა, წიგნების დუქნები, სახალხო კითხვები, ლექციები, საკვირაო სკოლები და სხვა...

ყოველივე ამის გამართვა ისეთის სიძნელით არის მოცული, ისე უმახინჯებს ბიუროკრატია ათასგვარის კანონებით მუშაობას, რომ პირნათლად შესრულება მოვალეობისა შეუძლებელი ხდება. ვინ არ იცის, რომ სახალხო ბიბლიოთეკაში მარტო ის წიგნები შეიძლება იქონიოთ, რომელსაც სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო. ჩაიხედეთ კატალოგში და განცვიფრებით დაინახავთ, რომ წიგნების სიაში გამოტოვებულია რუსეთის საუკეთესო მწერლები და მათ მაგიერ თვალებში გეჩრებათ ხალხისათვის გაუგებარი ფილოსოფიური წიგნები... უმოწყალოდ შეზღუდულია სახალხო წიგნების დუქნების გახსნა... საკვირაო სკოლაში წერა-კითხვის მეტის არაფრის სწავლება არ შეიძლება. სახალხო ლექციებისათვის ნებართვა საჭიროა ჯერ ოლქის მზრუნველისა და მერე ადმინისტრაციისა. ეხლა სხვა დროა, სხვა სიო ჰბერავს. საჭიროა, აუცილებლად საჭიროა, მოშორდეს ხალხის გონების განვითარებას განათლების სამარცხვინო ბორკილი, საჭიროა სრული თავისუფლება მიეცეს სინათლეს, რათა ადვილად მოჰფინოს თავისი მადლიანი შუქი ბნელში მყოფ ხალხს!“.

შ. ჩიტაძის საბრძოლო ამოცანა იყო ხალხის გონების გახსნა. განათლების შეტანა ხალხში, ეს მიაჩნდა მას ერთ-ერთ ძალად თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

შ. ჩიტაძის აზრით, „წიგნი და ადამიანის მასთან დამოკიდებულება, წიგნის სიყვარული დააძლევინებს სიბნელესა და უვიცობას. წიგნი ჯაჭვის რგოლია, რომელიც ადამიანს უერთებს მთელს სამყაროს. წიგნი დაუშრეტავი წყაროა ცოდნისა, რომელიც ტანჯვით შეიძინა კაცობრიობამ აუარებელ საუკუნეების განმავლობაში, წიგნი სარკეა თანამედროვე და წარსულში ჩამარხულის კაცობრიობისა, წიგნი უმდიდრესი სალარო, საიდანაც ყველას შეუძლიან ისარგებლოს. წიგნი მაგივრობას უწევს კაცის პირად დაკვირვებას, რომელიც შეზღუდულია და ცალმხრივი. ადამიანი განსაზღვრულ ადგილას და დროს ცხოვრობს, განსაზღვრულ ფიზიკურ და სხვაგვარ პირობებში, და ამიტომ არ ძალუძს იცოდეს და გრძნობდეს, რაც სასურველია და სავალდებულო თანამედროვე ადამიანისათვის. მაგრამ წიგნი, როგორც ცხოვრება, მრავალაზროვანია, მრავალფეროვანი გრძნობის, მრავალგვარ მისწრაფების გამომსახველი. განა ყველა სასურველია ადამიანისათვის? მაშასადამე, ამორჩევა გვჭირია: სალაროში შეიძლება ყალბი ფულიც იყოს. ამორჩევა ადვილი არ არის. პირველი ხელის შემშლელი დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ კაცობრიობას გარკვევით ჯერაც არ გაუკვლევია, რა არის ავი და რა არის კარგი. მეორე დაბრკოლება ის გახლავთ, რომ ძნელია განვსაზღვროთ, რას უნდა დავუთმოთ პირველი ადგილი და რას მეორე. ამიტომაც არის ეგრე ძნელი მოზარდ თაობისათვის წასაკითხ მასალის არჩევა. წასაკითხი მასალა შეიძლება ორგვარი იყვეს. პირველს აქვს აზრად მისცეს ადამიანს რეალური ცოდნა ბუნების შესახებ, მეორეს — გამოარკვიოს ადამიანის დამოკიდებულება ადამიანისავე ცხოვრებასთან, მოკლედ რომ ვსთქვათ, გამოურკვიოს ზნეობრივი მოძღვრებანი.

რომელ მასალას მივცეთ უპირატესობა? პირველის შეხედვით, იმ მასალას უნდა მივცეთ უპირატესობა, რომელიც სძენს ადამიანს რეალურ ცოდნას, რადგან უამისოდ ადამიანი ბრმაა

და ბნელში დაიარება. გარდა ამისა, რეალურ ცოდნას აქვს ერთი თვისება, რომელსაც მოკლებულია მეორე, — დანამდვილება. მაგრამ, წიგნი, მხოლოდ წიგნი ვერ მისცემს ამ დანამდვილებითს ცოდნას: საჭიროა კიდევ სხვა პირობები, რომელნიც შეუსრულებელია ბავშვისათვის. ამიტომაც მოზარდი თაობისათვის უპირატესობა უნდა მიეცეს მეორე მასალას, რომელიც გააცნობს ადამიანთა ცხოვრებას. მართალია, ის მოკლებულია უეჭველობას, მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე რეალურ ცოდნისა. ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოველია, როგორც ამბობდა საბერძნეთის ფილოსოფოსი. მისთვის გაცილებით უფრო მეტად საჭიროა ცოდნა ადამიანთა შორის დამოკიდებულებათა ვითარებისა, ვიდრე დედამიწის მიზიდვისა, ან საათის ენის ქანაობის კანონებისა.

ადამიანი ცხოვრებისათვის არის გაჩენილი. „სული ტკბილია“ ამბობს ხალხის სიბრძნე და მართალსაც ამბობს. ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც ცხოვრება ინსტინქტურად არ უყვარდეს. მარტო იმ მოძღვრებას უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელიც ქადაგებს და ასწავლის ცხოვრებისადმი სიყვარულს. ნათელი, მხიარული მოძღვრება უნდა იყოს აღიარებული ერთადერთ სასურველ მოძღვრებად. წიგნმა უნდა შეაყვაროს ცხოვრება მისი ცუდი მხარეებითაც კი, მაგრამ იმოდენი ძალა უნდა ჰქონდეს, რომ მშვენიერით დაჰფაროს ბნელი მხარეები. წიგნმა უნდა შესძლოს აგრძნობინოს სიმშვენიერე სამყაროსი და მაშინ ბავშვის გულში ჩადგმული იქნება მკვიდრი საძირკველი ადამიანის საუკეთესო გრძნობების და მისწრაფებათათვის. ცხოვრების ბნელი მხარეები ვერ შეაშინებს მოზარდს მომავალში, არ დააშვებინებენ ხელებს, არ შეაკვეცენ ფრთებს, რომ ცხოვრება შეჰქმნას უფრო მშვენიერი არა მარტო თავისთვის, არამედ მთელ კაცობრიობისათვის“.

ჩვენ განვიხილეთ სტატიები, სადაც წარმოვადგინეთ შ. ჩიტაძის მოღვაწეობა თბილისში გადმოსვლის პირველი დღიდან. მაგრამ განხილული საკითხები საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთ უბანს ეხება, — სკოლასა და განათ-

ლებას. ამავე წლებში შ. ჩიტაძე პრესის საშუალებით აცნობდა ხალხს თავის თვალსაზრისს პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. ამის ნათელსაყოფად საჭიროა განვიხილოთ მისი სტატიების სერია, საიდანაც ნათელი ხდება მისი პოლიტიკური თვალსაზრისი.

სტატიათა ეს ჯგუფი იბეჭდებოდა პოლიტიკური ფელეტონის სახით, ან ესკიზის ფორმით. პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე სტატიები დავალაგეთ ქრონოლოგიური აღმავლობით, რათა უფრო აშკარა გახდეს შ. ჩიტაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესი.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში შ. ჩიტაძე მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს გამოსთქვამს პრესის ფურცლებზე. ეს ის დრო იყო, როდესაც მუშათა კლასი სათავეში ჩაუდგა ხალხთა მასების ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და შეშინებული მეფე იძულებული გახდა გამოეცა მანიფესტი. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი ხალხს პირდებოდა სამოქალაქო თავისუფლების ურყევ საფუძვლებს: პიროვნების ნამდვილ ხელშეუხებლობას, სინდისის, სიტყვის, კრებისა და კავშირების თავისუფლებას. აგრეთვე პირდებოდა საკანონმდებლო სათათბიროს მოწვევას, ყველა ხალხისათვის არჩევნების უფლების მინიჭებას. ამ ისტორიულ მოვლენას შიო ჩიტაძე გამოეხმაურა სტატიებში: „ერთი ნაკლთაგანი", (დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში" 1905 წ. 2884), „ხალხის ხმის გადამცემი" („ცნობის ფურცელი" 1905 წ. 2885), „თავისუფლების ღირსი არ ვართ" („ცნობის ფურცელი" 1905 წ. 2938), „გუშინდელი წარსული" („ცნობის ფურცელი" 1906 წ. 2971) და „მომავალი ტაქტიკა" („ცნობის ფურცელი" 1906 წ. 2972).

პირველ წერილში ავტორი ხაზს უსვამს შემდეგს: „ისინი, ვინც ნიადაგი მოუმზადა ახალ წესწყობილებას რუსეთში და ხელი შეუწყო იმის დამყარებას, ერთ ახირებულ აზრს ამტკიცებენ, ისინი ამბობენ, რომ წარმომადგენლობა უნდა იყოს გამომხატველი არა ინტერესების, არამედ ხალხის აზრისა". სწორედ საკვირველია და გაუგებარი მეოცე საუკუნეში ამგვარი რწმენა. ვინ არ იცის ეხლა, რომ საზოგადოება დაყოფი-

ლია კლასებად და ამ დაყოფის მიზეზი ერთადერთია: ინტერესების სხვადასხვაობა, წინააღმდეგობა. თუ ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაშინ როგორ შეიძლება ხალხისაგან ამორჩეულმა წარმომადგენლებმა გადასცენ აზრი და მათი ინტერესები არ დაიცვან... ეს შეთხზულია განსაზღვრულის მიზნით: სიტყვებით თვალი აუხვიონ ხალხს და არ დაანახვონ ნამდვილი მათი მისწრაფებანი. ეს მისწრაფებანი კი დღესავით ნათელია: ხელში შეარჩინონ ძალა პრივილეგიის პატრონ კლასებს". — ამ დამაჯერებელ მსჯელობას ავტორი ანვითარებს იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომდა ხალხის მოსარჩლენი, სინამდვილეში თვალთმაქცური სული ლიბერალური ბურჟუაზიისა, რომლებიც მასების მოტყუებას ცდილობენ და, რომელთაც სურთ დაუახლოონ მეფეს ხალხი სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლების საშუალებით, ატყუებენ ხალხს. შ. ჩიტაძე მიუთითებს, რომ იმ წესით, რომლითაც ხალხის წარმომადგენლების არჩევას ფიქრობენ, უფრო სასტიკ კედელს აგებენ ხალხსა და მეფეს შორის, ხალხის ტანჯვა-გმინვას მეფე ასეთი ხერხით ვერ მიხვდებაო.

შ. ჩიტაძეს სასაცილოდ მიაჩნია იმის მტკიცება, რომ წარმომადგენლობა უნდა იყოს გამომხატველი არა ინტერესისა, არამედ აზრის. იგი წერს: „წარმომადგენელნი ხალხის ინტერესს იცავენ აზრით და, მაშასადამე, ინტერესი და აზრი განუცალკევებელია. აზრია — ფორმა, ინტერესი კი — შინაარსი". ჩიტაძეს სურს გამოააშკარაოს ამ არჩევნების ყალბი ხასიათი. იგი აღნიშნავს: „განათლებულმა ხალხმა ერთი საშუალება იცის ამ აზრის მისაღწევად: საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევანი", სათათბიროს პროექტის შემდგენელთა აზრით კი „ყველა მოქალაქეს არ შეიძლება მივანიჭოთ პოლიტიკურ არჩევნებში მიღების თანასწორი უფლება... ხალხის წარმომადგენლები უნდა ირჩეოდნენ ადგილობრივ საუკეთესო პირთა და შეძლებისდაგვარად მცხოვრებთა ბუნებრივ წინამძღოლთა შორის".

შ. ჩიტაძეს მოჰყავს სათათბიროს პროექტის ეს ადგილი და შემდეგ მთლიანად ანადგურებს ამ ყალბ, თვალთმაქცურ მეთოდს. იგი აყალიბებს თავის ნათელ პოლიტიკურ თვალ-

საზრისს. იგი სწერს: „საუკეთესო პირნი ვეძიოთ მსხვილ მიწათმფლობელებში და სხვათა დიდი ქონების მქონეთა წრეში? განა ხალხი, ნამდვილი ხალხი მოკლებულია საუკეთესო პირთა და არაფერი ესმის თავისი ავკარგისა, მათ არ შეუძლიათ გამოხატონ ხალხის აზრი?“ „ხალხის ბატონებს ავალებენ ხალხის მაგივრად ლაპარაკს“, — ჩიტაძეს ეს მიაჩნია ფარისეველობად, ხალხის მოტყუებად. იმ მტკიცების შესახებ, რომ „ხალხის ინტერესი მოითხოვს წარმომადგენლობა ისე მოეწყოს, რომ ორიგინალური პირნი მოხვდნენ წარმომადგენელთა საკრებულოში და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელოვნურ გადარჩევას მოვახდენთ ამომრჩეველთა შორისო“, შ. ჩიტაძე წერს: „მართალი მსჯელობაა, მაგრამ დამყარებული იმ შემცდარ მცნებაზე, რომ პიროვნება ჰქმნის ისტორიას. დიდია მნიშვნელობა პიროვნებისა, ძლიერი გავლენა აქვს ცხოვრების მიმდინარეობაზე, მაგრამ შექმნა ისტორიისა, მას არ ძალუძს, ეჭვს გარეშეა, რომ გენიოსი, ამორჩეული წარმომადგენლად, შორსმჭვრეტელის თვალით უკეთესად შეიგნებს ხალხის ინტერესს, მაგრამ მის შორსმჭვრეტელობას მარტო თეორიული მნიშვნელობა ექნება და არა პრაქტიკული. ცხოვრება ექვემდებარება რეალურ ძალებს, რომელნიც აწმყოს ქმნიან მომავლისათვის. მომავლის წინათ შეგნება შეიძლება, მაგრამ აწმყოდ გადაქცევა შეუძლებელია, თუ თვით ცხოვრებას არ მოუმზადებია ხელსაშემწყობი პირობები. აი, ამიტომ ხალხის ცხოვრებაში უახლოესი მნიშვნელობა აქვს არა გენიოსებს, ბრწყინვალე აზრებით აღფრთოვანებულ, არამედ უბრალო მუშაკებს, რომლებიც დედამიწაზე დგანან და მის წვადაგვის მოსპობას ცდილობენ“. თანმიმდევრული თეორიული და იდეური პრინციპული თვალსაზრისია ჩამოყალიბებული ამ მოკლე სტატიაში სათათბიროს წარმომადგენლობის არჩევნებთან დაკავშირებით. შ. ჩიტაძე მოითხოვს პირდაპირ, საყოველთაო და ფარულ არჩევნებს. იგი მოითხოვს, რომ წარმომადგენლობაში აირჩიონ ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც სათათბიროში მიიტანენ ხალხის აზრსა და დაიცავენ ხალხის ინტერესებს. ასეთი ადამიანები შეიძლება შერჩეულ იქნენ დაბალი ხალხის წრიდან. ესენი იქნებიან ხალხის საუ-

კეთესო შვილები. ასეთია სტატია „ერთ ნაკლთაგანი“-ის იდეურ-პრინციპული შინაარსი. ნაკლად ავტორს მიაჩნია „არისტოკრატიზმის პრინციპი, ისიც არა გონებისა, არამედ ქონებისა“. მეფის საარჩევნო კანონი ანტიდემოკრატიული იყო, არჩევნები იყო არასაყოველთაო. მოსახლეობის ნახევარზე მეტს წართმეული ჰქონდა ხმის უფლება. არჩევნები იყო არათანასწორი, ამომრჩეველები დაყოფილი იყვნენ 4 კურიად, არჩევნები იყო არაპირდაპირი. იგივე თვალსაზრისია გაღრმავებული შემდეგ სტატიაში „ხალხის ხმის გადამცემი“, სადაც შიო ჩიტაძე ამტკიცებს, რომ სათათბიროში ხალხის წარმომადგენლად მყოფი სხვა კლასის წარმომადგენელი ხალხის აზრს ისე გადასცემს მეფეს, რომ გამარჯვებას მოუპოვებს იმ აზრს, რომელსაც თვითონ ემხრობა. აქედან სრულიად გამორიცხულია ხალხის ინტერესების დაცვა და ხალხის აზრის პირდაპირი გადაცემის საშუალებაც. საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიაში ვკითხულობთ: „...17 ოქტომბრის მანიფესტი იყო ხალხის მოტყუება, მეფის ხრიკი, თავისებური შესვენება, რომელიც მეფეს ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ მიეძინებინა გულუბრყვილონი, მოეგო დრო და შემდეგ შეეტია რევოლუციისათვის.

მეფის მთავრობა სიტყვით დაპირდა თავისუფლებას, მაგრამ საქმით არაფერი არსებითი არ მიუცია... რევოლუციასთან ანგარიშის გასასწორებლად მოაწყო ბანდიტური პოლიტიკური ორგანიზაციები. შავრაზმელები პოლიციის დახმარებით აშკარად ხოცავდნენ მოწინავე მუშებს, ინტელიგენციიდან გამოსულ რევოლუციონერებს, სტუდენტებს, ცეცხლს უკიდებდნენ და ხვრეტდნენ მოქალაქეთა მიტინგებსა და კრებებს...“ შ. ჩიტაძე აღშფოთებულია ამ ფაქტით. იგი წერს: „აი სურათი რუსეთის „თავისუფალი მოქალაქის“ ცხოვრებისა“.

შემდეგი სტატია „თავისუფლების ღირსნი არა ვართ“ თავიდან ბოლომდე დაწერილია აღშფოთებული ტონით და ეხება მეფის რუსეთის ვერაგულ პოლიტიკას, აპახავს 17 ოქტომბრის მანიფესტის შედეგებს. სტატიის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს: „ჩვენ ღირსნი ვართ მხოლოდ იმ მთავრობისა,

რომელიც ტიკინასავით გვათამაშებს, დღეს გვილაქუცებს, ხვალ კი მათრახებითა გვცემს, დღეს წითელ დროშას გვატარებინებს და სარევოლუციო სიმღერების ნებას გვაძლევს, ხვალ კი, ტყვიით გვხვრეტავს და ბინებს გვიკლებს, დღეს საომარი წესების მუხრუჭს გვიჭერს, ხვალ კი მუხრუჭს ინახავს სხვა დროისათვის".

„მთავრობა მოუწოდებს ყველა გონიერ მოქალაქეს თავის დროშის ქვეშ და არწმუნებს, რომ 17 ოქტომბრიდან დადგა ახალი ხანა ხალხისათვის და ყოველი მოქალაქე მოვალეა შეიგნოს მისი სიდიადე და გაუადვილოს მთავრობას ტახტიდან გამოცხადებული თავისუფლების განხორციელება", დამცინავი კილოთი გადმოგვცემს ავტორი შავრაზმელების საქმიანობის ნამდვილ ამბავს. კერძოდ, 1905 წლის ოქტომბერში თბილისში მომხდარ ამბავს. ამ დღეს შავრაზმელებმა დაარბიეს სათავადაზნაურო გიმნაზია. იყო უამრავი მსხვერპლი. სტატიის ავტორი დიდი ოსტატობით აღწერს ამ მძიმე სურათს: „22 ოქტომბერს კვლავ გაშალა არწივმა ფრთები და დაეცა თავს „ბუნტოვშჩიკებს" — გიმნაზიელებს, გოლოვინის პროსპექტის უწყვინარ მოსეირნეთ და სისხლით შეღება ვნებამოკლებული დედამიწა. ნუ გგონიათ, რომ 22 ოქტომბრის დანაშაულობა იყო დანაშაულობა ჩადენილი არა წინასწარი გათვალისწინებულის მიზნით, არა, 22 ოქტომბერი პატარა ეპიზოდია იმ უზარმაზარი დანაშაულობისა, რომელიც ჩაიდინა რუსების მთავრობამ მთელი რუსეთის სივრცეზე: ტომსკი, ოდესა, პეტერბურგი, კიევი, მოსკოვი, ბაქო და ასი სხვა ქალაქი გახდა მოწმე ბიუროკრატიის შურისძიებისა. სისხლისმსმელმა ვეშაპმა იმდენი შემოქმედებაც ვერ გამოიჩინა, რომ შურისძიებისათვის სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა სახე მიეცა. ყველგან ერთგვარ ყალიბში ჩამოასხა, ერთგვარ გზას მიმართა: დაუმეგობრდა საზოგადოების ნაძირალს, რომელიც მზად არის ერთი „ტრიკატკა" არაყისათვის ყელი გამოჭრის, ვისაც უბრძანებენ, დარაზმა ხულიგნები". მათ „შავი რაზმი" უწოდა ხალხმა, ამას ადასტურებს პარტიის ისტორიაც.

შ. ჩიტაძის აღშფოთება უსაზღვროა. სტატიის შემდეგ ნაწილში ვკითხულობთ: „ჯოჯოხეთური გეგმა მთავრობამ ჩინე-

ბულად შეასრულა: გაიმარჯვა უიარაღო მოქალაქეებზე. ნეტა სად იყვნენ გმირნი მამაცნი მაშინ, როცა იაპონელები ცხვრებივით ერეკებოდნენ მანჯურიის მინდორ-ველიდან? რატომ იქ არ აჩვენეს ქვეყანას ერთგულება მეფისა და სამშობლოსადმი? მაგრამ მე ჯალათებს არ ვამტყუნებ. განა ჯალათს შეუძლია თავისი ხელობა დაივიწყოს? განა შეუძლია სვავმა სისხლის სმას თავი დაანებოს? — შეუძლებელია, ჩვენი რისხვა იმას არ ეკუთვნის. ჩვენ გვინდა შევრისხოთ ჩვენი თავი, ჩვენი საკუთარი „თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ მ ო ქ ა ლ ა ქ ი ს თ ა ვ ი“. შიო ჩიტაძე ძლიერ მხატვრულ სურათს გვიხატავს იმ საშინელებისას, რაც 22 ოქტომბერს მოხდა თბილისში. ამ პოეტურ აღწერაში ნათლად იხატება უდანაშაულო მსხვერპლთა დიდი ტრაგედია. ეს ხომ ერთადერთი მაგალითი არ ყოფილა. 17 ოქტომბრის მანიფესტს, 22 ოქტომბრის მსგავსი „საკაცობრიო სიკეთე“ მოჰყვა მთელი რუსეთის მასშტაბით.

შ. ჩიტაძე განრისხებული აცხადებს: „არა, ღირსი არა ვართ თავისუფლებისა! რამდენმა კეთილშობილურმა გულმა შესწყვიტა მისთვის (თავისუფლებისათვის — ლ. მ.) ცემა, რამდენმა შეალპო თავისი წმინდა ძვლები რუსეთის აუარებელ ციხეებს, რამდენმა გმირმა გააუქა თავისი გვამით ციმბირის ცივი დედამიწა. რამდენი თავგანწირული სიცოცხლე გმინავს ეხლაც ბნელ სატუსაღოებში! ვინ მოსთვლის რამდენმა შესწირა თავი თავისუფლების მოსაპოებლად და ვისთვის? ლაჩრებისათვის, მხდლებისათვის, მონებისათვის, რომელნიც მარტო მთავრობის ბრძანებით, მისი ტყვია-წამლის შიშით სცხოვრობენ. არა, ღირსი არა ვართ თავისუფლებისა! თავისუფალი ადამიანი ძვირად აფასებს თავისუფლებას, მერე იმ თავისუფლებას, რომელიც სისხლის მორევით არის მოპოებული... ჩვენ კი რას ვშვრებით? მოისურვეს თავისუფლების წართმევა, სასაცილოდ აგვიგდეს, ჩვენ კი მეორე დღეს გავკივით: „დამშვიდდით, დაწყნარდით“. ჩვენ თავისუფლების ღირსი რომ ვიყოთ, ლაჩრის მოწოდებით არ მივმართავდით მოქალაქეებს. ჩვენ დავიყვირებდით მედგრად, საზარელის ხმით — ძ ი რ ს ს ი ს ხ ლ ი ს მ ს მ ე ლ ნ ი დ ა ჯ ო ჯ ო ხ ე თ უ რ ი გ ე გ მ ე ბ ი ს შ ე მ დ გ ე ნ ე ლ ნ ი“. ამ სტრიქონებიდან ჩანს

მტკიცე რევოლუციონერის ნებისყოფა, მისი ძლიერი მოწოდება, მხნეობისა და ძალის გამოვლინების აუცილებლობა თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში.

1905 წლის თემატიკა მომდევნო სტატიებშიც მეორდება. გადმოცემის ფორმა თავისებური აქვს შიო ჩიტაძეს. ამ თვალსაზრისითაც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. მაგალითისათვის განვიხილოთ „გუშინდელი წარსული“ (1905 წ. „ცნობის ფურცელი“ № 2973).

სტატია იწყება ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ცნობილი სტრიქონებით:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!“.

ამ ოპტიმისტურ ეპიგრაფს მოსდევს 9 იანვრის საზარელი სურათის აღწერა. „ასი ათასი მუშა მშვიდად გაემგზავრა, დარწმუნებული, რომ იმის გმინვას მოისმენენ, იმის ჭრილობას მალამოს დასდებენ. თოფების გრიალმა პირი შეუკრა, ენა მოსჭრა მშვიდობიან ხალხს, რომელსაც მხოლოდ ერთი დანაშაული ჰქონდა, მშიერ-მწყურვალი იყო და სურდა ხმამაღლა ეთქვა ვისთვისაც ჯერ არს. მაგრამ ეს დანაშაული მძიმე დანაშაულად ჩაუთვალეს ტანჯულ ხალხს და ფასტიკად დასაჯეს. სისხლით შეღებილმა თოვლმა თავში ჩაქუჩი ჩაჰკრა რუსეთის მცხოვრებთ და ნათლად დაანახა ფასი მთავრობისაგან გამოცხადებული ნდობისა საზოგადოებისადმი... 9 იანვარი მკაცრი გაკვეთილი იყო რუსეთის საზოგადოებისათვის. იმან გაიგო, რომ მგელი მგლობას არ დაიშლის, სანამ სული უდგას. 9 იანვარს გამოირკვა, რომ ხალხის თავისუფლება — თვით ხალხის საქმეა და სხვა არავისი.

9 იანვარს გამოიჭედა პირველი ხმალი ხალხის თავისუფლების მოპოვებისათვის, რუსეთის რევოლუცია დაიწყო“. არას ვიტყვით სინამდვილის აღწერის სიზუსტეზე, ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ მოვლენის სხარტი, დახვეწილი ფორმით გადმოცემას. შ. ჩიტაძე მსატვრული ესკიზის ავტორია, მახვილი პოლიტიკური მხედველი. მას შეუნიშნავი არ რჩება მეფის ხელისუფლების არც ერთი ავაზაკური ნაბიჯი. იგი მიმართავს მკაცრ ირონიას და ადვილად აგებინებს მკითხველს ხელისუფ-

ლების ოინბაზობას. ავტორს მკითხველის ყურადღება გადაა-ქვს იქით, რომ გააგებინოს საკუთარი თვალსაზრისი: „კვლავ-ცხადზე უცხადესი გახდა, რომ ხალხს მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს, თუ სურს ნამდვილი თავისუფლება მოიპოვოს. ლიბერალებმა თავისი მისია შეასრულეს: საზოგადოების ხმას ძალა მოუპოვეს და ცხოვრებამ უკან ჩამოაყენა (ლიბერალები ლ. მ.). ისტორიულ სცენაზე გამოდის მშრომელი ხალხი, ერთადერთი ნამდვილი მებრძოლი თავისუფლებისათვის. მშრომელი ხალხი ვერ დასთანხმდებოდა ლიბერალებისათვის საკმაო თავისუფლებას, მისი (მშრომელი ხალხის — ლ. მ.). მისწრაფება შეიძლებოდა ერთადერთი ყოფილიყო: ბოლო მოეღო იმ საშინელი რეჟიმისათვის, რომელიც სულს უხუ-თავდა მთელ რუსეთს".

„ამის განხორციელებისათვის ერთადერთი იარაღი იყო ჯერჯერობით მშრომელი ხალხის გაფიცვა. გაფიცვას უნდა გამოეთხარა ძირი თვითმპყრობელური რეჟიმისათვის, რომ მის ნანგრევებზე აშენებულიყო თავისუფლების ტაძარი".

ამას მოჰყვა 17 ოქტომბრის მანიფესტი, მაგრამ ხალხი ამან ვერ დააკმაყოფილა და დაიწყო დეკემბრის აჯანყებები. ეს უტეხი რევოლუციონერი, ფაქტიური სისწორითა და მბატვრული ძალით სულ პატარა მონაკვეთში სახავს დიდი მოძრაობის მთელ ისტორიას. იგი ასე ამთავრებს თავის წე-რილს:

„მთავრობამ ძალა მოიკრიბა და მედგრად შეება ხალხს, მეორე ომი[1] მოიგო მთავრობამ, მაგრამ მისი გამარჯვება არის

---

1 მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, გადასწყვიტა ჩაეტარებინა დაუყოვნებლივი მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. 5/18 დეკემბერს მოსკოვის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: „წინადადება მიეცეს საბჭოს გამოაცხადოს საერთო პოლიტიკური გაფიცვა იმ ანგარიშით, რომ ბრძოლის მსვლელობაში ივი გადააქციოს აჯანყებად" (პარტიის ისტორია). ამრიგად, 9/22 დეკემბერს მოსკოვში გაჩნდა პირველი ბარიკადები. მეფის მთავრობამ ამოქმედა არტილერია. ბრძოლის ცეცხლი მოედო მთელ რუსეთს, უკრაინას, ლატვიას, ფინეთს, საქართველოს და მთელ ამიერკავკასიას. არაადამიანური სისასტი-კით ჩაქრობილი იქნა აჯანყება, დამსჯელი ექსპედიციებით, სასტიკ რეპრე-სიებით მეფის მთავრობამ მიაღწია პირველ წარმატებებს... რევოლუცია შეწყდა.

მეფე პიროსის გამარჯვება, დიდხანს ვერ მოიხმარებს მთავრობა გამარჯვებას. ხიშტებზე მხოლოდ ხორცის აგება შეიძლება, აზრისა კი არასდროს. ცხოველი აზრი კვლავ შეუდრეკლად და სწრაფად დაფრინავს ვრცელ რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში. არ არის ძალა, რომელსაც ძალუძს გადაეღობოს ძლევამოსილს სვლას, მის მუშაობას. ხვალ კვლავ გააღვიძებს დამარცხებულ ხალხს და გამარჯვებას მოუპოვებს".

შ. ჩიტაძის ყოველ მოქმედებას, მის ყოველ სიტყვას პოლიტიკურ სარბიელზე ეს ძირითადი თვალსაზრისი ასაზრდოებდა. „აზრის ხიშტებზე აგება არ შეიძლება", „აზრის ძლევამოსილ სვლას" ვერაფერი შეაჩერებს და 1905 წლის რევოლუციის ნაცეცხლარზე რომ კვლავ კოცონი აღმოცენდებოდა, ეს რწმენა შ. ჩიტაძეს ყოველთვის ჰქონდა. იგი გულით, გრძნობით, კალმით იბრძოდა დამარცხებული ხალხის გაღვიძებისათვის.

დეკემბრის საშინელი დღეების დეტალს ეხება აგრეთვე სტატია „მომავალი ტაქტიკა" („ცნობის ფურცელი", 1906 წ. № 2972). სტატიის დასაწყისში ავტორი აკეთებს დეკემბრის ბრძოლის შედეგების მიმოხილვას. იგი წერს: „დეკემბრის საშინელ დღეებში მთავრობამ ნიღაბი აიხადა, რევოლუციონური მოძრაობის მოსალოდნელი შედეგებით შეშინებულმა. სასტიკი ომი გამოუცხადა ხალხს, ხელში აიღო კარგად ნაცადი იარაღი და სასიკვდილოდ შეება თავის მტერს. რევოლუცია, ძლიერი უფრო ზნეობრივის, ვიდრე ფიზიკურის ძალის, ვერ გაუმკლავდა მთავრობას და დაუთმო ბრძოლის ველი..." (ავტორის ძირითად საკითხს ამ სტატიაში წარმოადგენს განსაზღვრა, როგორ მოხერხდეს ოპოზიციური ძალების გამოყენება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში). იგი წერს: „ეხლა, როდესაც გამოირკვა, რომ ირაღით ხელში ძნელია დღესდღეობით მიზნის მიღწევა, გვმართებს გავითვალისწინოთ, რამდენადაც შეიძლება გამოვიყენოთ ოპოზიციური ელემენტების ძალა". მეფის მთავრობა ცდილობს მოსპოს

ანარქია და ახალი წესწყობილება განახორციელოს. გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ დღევანდელი ასობით და ათასობით დაპატიმრებას „რევოლუციონერებისა", აზრად აქვს, მისცეს მთავრობას შეძლება სასურველი შემადგენლობის საბჭო იქონიოს. მართლაც, შეუძლებელია ყველა რევოლუციონერის დაჭერა. აპატიმრებენ უმეტესად იმათ, ვისაც რევოლუციის მეთაურად სთვლიან, მაგრამ რევოლუცია ხომ მეთაურების საქმე არ არის, რევოლუციას ღრმა ფესვები აქვს, ორიოდ მეთაურის დაჭერა რევოლუციას ვერ ჩააქრობს, მართალია, შეიძლება რევოლუცია დაცხრეს, მაგრამ რევოლუციური აზრები ისევ ცხოველი იქნება და თავს იჩენს ყოველ ხელსაყრელ პირობებში. მაშ მთავრობის საგანგებო ზომებს მიზანი აქვს: რევოლუციის ქარიშხალი გაანელოს და შეუდგეს „მშვიდობიან მეშაობას" 17 ოქტომბრის მანიფესტის განსახორციელებლად". შიო ჩიტაძე თავისებურ განმარტებას აძლევს შექმნილ მდგომარეობას. მოწოდებებში იგი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სათათბიროში დემოკრატიული ელემენტების გამარჯვება შესაძლებელია მაშინ, თუ უკიდურესი პარტიები და კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიები შეერთდებიან არჩევნების დროს. მაშინ ეჭვი არ არის, რომ სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა ხელსაყრელი იქნება არჩევნების საკითხის გადაწყვეტისათვის.

არჩევნებში ხალხის მონაწილეობა, დემოკრატიული პარტიების აქტიური ჩაბმა ამ საქმეში, შიო ჩიტაძეს მიაჩნდა ერთგვარ სამზადისად. მას სწამდა, რომ აგიტაცია შეამჭიდროვებს უკიდურესი პარტიების რაზმებს, რაც ფრიად საჭიროა მწყობრი ბრძოლისათვის.

შიო ჩიტაძე ნათლად ხედავდა, თუ როგორ იმარაგებდა ნიადაგს მძიმე რეაქცია, მაგრამ მტკიცე დარაზმულობის, მწყობრი ბრძოლების შედეგად ის მომავალში მაინც ხალხის გამარჯვებაში იყო დარწმუნებული. გამარჯვების რწმენა მას არასოდეს არ ღალატობდა.

განსახილველი სტატიების შემდეგი სერია განსაკუთრებული ფორმისაა და ქართულ პუბლიცისტიკის იშვიათ სახეობას წარმოადგენს. შიო ჩიტაძის წერილების ეს სერია პოლი-

ტიკური სატირის საუკეთესო ნიმუშია. სატირული ფელეტონებით, პოლიტიკურად მახვილი პამფლეტებით, შიო ჩიტაძე ამათრახებდა მეფესა და მის ბიუროკრატიულ აპარატს. ნიღაბს ხდიდა და მიწასთან აასწორებდა თვითმპყრობელობის მესვეურთა რეაქციულ პოლიტიკას.

სატირულ სტატიებში იმდროინდელი ცხოვრების ყოველი მოვლენა შ. ჩიტაძის მიერ გარკვეული თვალსაზრისით არის შეფასებული, რაც გამომდინარეობს მისი მოწინავე მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპებიდან.

შ. ჩიტაძეს პოლიტიკური სატირა გამოყენებული აქვს კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად.

სატირულ სტატიებში გვიჩვენებს საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეს, ხელისუფლების ზნეობრივ სიდამბლეს. მისი სატირული სტატიები ეხებიან ადამიანებს და აშუქებენ ცხოვრების მძიმე მოვლენებს, ავტორი დასცინის და კიცხავს მათ იმგვარად, რომ იწვევს მკითხველის დაცინვასაც.

მისი აღშფოთებული ტონი მოუწესრიგებელი ცხოვრების ზოგიერთი დეტალის ჩვენების დროს მკითხველს აღიზიანებს საბრძოლოდ განაწყობს. აღსანიშნავია ის, რომ რევოლუციური გარდატეხის ეპოქაში საერთოდ, განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი სატირისა და იუმორის ჟანრმა. 1905—1908 წლების სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთები დიდ ბრძოლას აწარმოებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ. პოლიტიკური სატირა მკვიდრდება შიო ჩიტაძის შემოქმედებაშიც.

შ. ჩიტაძის სატირას გადაჭარბებულად მებრძოლი ხასიათი აქვს და ხშირად მოწოდებაშიც გადადის. ირკვევა, რომ შიო ჩიტაძეს 1906 წლის მანძილზე (ჩიტაძის მკვლელობამდე) „ცნობის ფურცელში“ შეუქმნია სპეციალური განყოფილება „პატარა ამბების მაგიერი“. (მისი წერილები ზოგჯერ „ყვავის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა „ცნობის ფურცლის“ 2975, 2979, 9991, 3001, 3013, 3019, 3025, 3031 ნომრებში). ჩიტაძის სატირის დანიშნულებაა: ეკონომიკური, დამცინავი საშუალებით, მწვავედ მიიტანოს მკითხველამდე სათქმელი, მტრულად განაწყოს დასაცინი ობიექტისა და მოვლენისადმი საზოგა-

დოება, საზოგადოებრივი მნიშვნელობა მოუპოვოს მის კლასობრივ თვალსაზრისს, უჩვეულო სიმკაცრით დაესხას თავს, გაიცხოს, დასცინოს და გაანადგუროს, აბუჩად აიგდოს ხალხის დამაბეჩავებელი პიროვნება, რომელსაც დამდაბლებული ზნეობრივი საშუალებებით შემოუნახავს თავი დამბეჩავებლის პოსტზე.

პოლიტიკური სატირის პირველი ნიმუშია წერილი სათაურით: „პატარა ამბების მაგიერ“ („ცნობის ფურცელი“ № 2975, 1906 წ.). იგი იწყება ასე: მკითხველო, დღეს სიტყვას „პატარა ამბებს“ ელოდი. მაგრამ... სიტყვადამასთან ერთად სხვანი მრავალნი, მთავრობის განკარგულებით სხედან, უკაცრავად შენთან, მკითხველო, ვირის აბანოში, რაო? რისთვის? იკითხავ, მაგისი ნამდვილი პასუხი არც მე ვიცი, არც თვითონ დაპატიმრებულებმა. მგონია კი, რომ- მთავრობას აზრადა აქვს მომავალ ისტორიკოსს თავსამტვრევი ამოცანა მისცეს, ისეთი, რომ ვერც თავი გაუგოს და ვერც ბოლო. ჩვიდმეტი ოქტომბრის თავისუფლებას ვფიცავ, რომ მე დამნაშავე არა ვარ: ჩემდაუნებურად ვხდები მეფელეტონედ. დამნაშავე ხომ იცი ვინ არის. არ დავასახელებ, ისე მიხვდი, თორემ იქნება მეც ხიფათში გავება და თავი ამოვყო იქ, სადაც დღეს მრავალნი განისვენებენ.

რა არის მთავრობა? მთავრობა არის ძალა (იგულისხმება ძალმომრეობა). სად არის საზღვარი ამ ძალის? — ძალასა მისსა საზღვარი არა აქვს. რითი იცნობის ძალა მთავრობის? — იცნობის ერთი სიტყვით — „შეგვამ!“. აქ დასაცინი, გასაკილავი მიზეზების წარმოსახვის ნათელი სურათია მოცემული. წარმოსახვის ხერხი კომიკურია, მაგრამ სევდანარევი, რამდენადაც დღიური ვარამი, ფაქტიური სინამდვილე სევდის მომგვრელია უფლებააყრილი საზოგადოებრივი ცხოვრების მოსარჩლე ავტორისათვის. წერილის შემდეგი ნაწილი კი აპიროვნებს გასაკიცხ ობიექტს. შ. ჩიტაძე მკაცრ დამოკიდებულებაში არის გასაკიცხ ობიექტთან და ესწრაფვის გაანადგუროს იგი, აბუჩად აიგდოს. ავტორს აქ სურს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ადამიანთა შეურაცხმყოფელ ჯალათებს ბოლო მოეღებათ ახლო მომავალში.

გარდა ამისა, შ. ჩიტაძე ქადაგებს იმას, რომ ჯალათებისაგან შეურაცხყოფილ დამცირებულ ხალხში „ძირს საფეხურზე“ ღვივის კეთილშობილური გრძნობები, და ავტორს ამ გრძნობების გამარჯვების რწმენა აქვს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სატირული სტატია მრავალ საკითს აშუქებს და ამავე დროს მრავალ ხერხს მიმართავს სხვადასხვა საკითხის განსახილველად. შემდეგ სტატიაშიც ასეთ შეუზღუდავ ხერხებთან გვაქვს საქმე. ავტორს სურს აქვე გაკვრით ასახოს 9 იანვრის საშინელი შედეგიც. მაგრამ ამ შეჭთხვევაში აღარ მიმართავს ჩვეულებრივ ხერხს. განხილულ სტატიაში, „გუშინდელი წარსული“ ავტორი ფართოდ შეეხო 9 იანვრის ტრაგედიის აღწერას და აქედან გამომდინარე შედეგებს, ხოლო ამჯერად ეპიზოდურად შეაქვს 9 იანვრის ტრაგედიის სურათი. ამ მონაკვეთით ჩიტაძე გვევლინება, როგორც ესკიზის ნიჭიერი ავტორი, აქ იგი მხატვარია ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. რომ დავრწმუნდეთ ამაში, განსახილველ სტატიიდან მოვიყვანოთ მთლიანად ბოლო ნაწილი, რომელიც ორგანულად უკავშირდება პიროვნების გაქელვის, დამცირების დასურათებას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

„ერთ დღეს მათ შორის ღვთისნიერი ადამიანი გაჩნდა. ქრისტეს მოძღვრება მიუტანა მაშვრალთ. მგრძნობიარე სიტყვა გულამდის სწვდებოდა. შეიყვარეს მშიერ-მწყურვალი ღვთისნიერი ადამიანი. ის გახდა იმათი ნუგეში, იმათი მცველი, იმათი შუამავალი.

— „არა, არა! შეუძლებელია ამდენი ტანჯვის ატანა. უნდა მოისპოს საშინელი უსამართლობა“, — ამბობდა ის, მაგრამ როგორ? რა გზით? მორჩილება მიჩვეულს, მოთმინებაში აღზრდილს განა აამხედრებ უსამართლობის მოსასპობად! ერთი გზა არის. წავალთ თავმოხრილი, წავიმძღვარებთ ჩვენ ზეციერი მამის ხატს, მოვიდრეკთ მუხლს და შევჩივლებთ ჩვენს ვარამს, ჩვენს უბედურებას, ჩვენს სიღარიბეს. მოგვისმენენ და გვეტყვიან: „აღსდექით მაშვრალნო, არ ვიცოდით თქვენი ტანჯვა, არ გვესმოდა თქვენი კვნესა.

გული აუდუღდა ტანჯულ ხალხს. იმედი გაეღვიძა: ხვალ

ხსნა მოგველის... გათენდა 9 იანვარი. დაიძრა მშიერ-მწყურვალთა ჯარი. მიდის წინ მხიარულად, აღფრთოვანებული...

თოფებმა იგრიალეს... მზემ პირი დამალა ღრუბლებში". ეს ხომ დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია, პატარა ზომის, მაგრამ დიდი ამბის გადმომცემი. მწერალი მიზანს აღწევს ამ ხერხითაც. ამ სტატიის თავიდან ბოლომდე წამკითხველი ძალდაუტანებლად წვდება იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს და ავტორის მსოფლმხედველობის თანაზიარი ხდება.

გაზეთ „ცნობის ფურცლის" შემდეგ ნომერში დაიბეჭდა წინა წერილის გაგრძელება. აქ შ. ჩიტაძე სხვა ხერხს მიმართავს. მას ჩამოთვლილი აქვს ხუთი საკითხი რომლებზედაც. სურს ისაუბროს ამ მორიგ წერილში. მაგალითად:

1.„მთავრობის გულკეთილობა", 2. „არ იჯერებენ", 3. „ვიტე ღარიბებისათვის ზრუნავს", 4. „სამხედრო წესი", „როდის შეიკრიბება სახელმწიფო სათათბირო"?

ამ წერილში ოსტატურად არის გამოყენებული ირონია. მაგალითად, ავტორი წერს: „აკი გითხარი, მკითხველო, რომ თუ გაჯავრდები და ბუზღუნს დაიწყებ, მთავრობა შავ ასოსაც არ დაგანახვებს-მეთქი. ჩემი წინასწარმეტყველება ასრულდა... მზრუნველმა ბიუროკრატიამ შეაჩერა... გაზეთი „სხივი". რათა?.. ი მ ი ტ ო მ, რ ო მ სხივი შუქს ჰფენს ბნელ საქმეებს. ეს ხომ დიდი დანაშაულია და ყოველივე დანაშაული, როგორც შეჰფერის კეთილგანწყობილ სახელმწიფოს უნდა სასტიკად დაისაჯოს. აბა მითხარი, შესაწყნარებელია, რომ სხივმა აშუქოს მაშინ, როდესაც ირგვლივ სასურველია უკუნეთი სუფევდეს. არა და არა! აი ამისათვის, სრულიად სამართლიანად, უბრძანეს „სხივს" და იმის ამხანაგებს „ნუ აშუქებო".

აქ დადასტურების, დამოწმების ფორმაა გამოყენებული ირონიის მისაღებად, „კეთილგანწყობილი სახელმწიფოს საქმიანობა" აბუჩად არის აგდებული, ასეთი ირონიის გზით არის დამცირებული ყველას მოქმედება და თვით სახელმწიფოებრივი მოვლენებიც. ამის შემდეგ ავტორი შიშს გამოსთქვამს „ცნობის ფურცლის" მომავალი ბედის გამო და კიც-

ხავს ქუჩაში გაკრულ ლიტერატურას, მთავრობის განცხადებებს და დადგენილებებს. ავტორი ამბობს: „ამ ლიტერატურას (ქუჩაში გაკრულს) ან განცხადება ჰქვიან, ან სავალდებულო დადგენილება, როგორც პირველის შინაარსი, ისე მეორისა მკაფიოდ გვეუბნება, რომ თუ აქ აღნიშნული საზრდო იუკადრისე და არ მიირთვი, ცუდი დღე მოგელის. სიკვდილსაც კი გიქადის. წადი და ნუ გადაუხდი მადლობას მზრუნველობისათვის. ხუმრობაა, გაფრთხილებენ და არა გაუფრთხილებლად გართმევენ სულს“. აქ შ. ჩიტაძე გაბედულად ილაშქრებს ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ. აბუჩად იგდებს არა მარტო გრაფ ვიტეს კონსტიტუციას, არამედ საზოგადოებასაც, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს მახვილი ხედვა სინამდვილის შესაცნობად. სტატიის ავტორმა გული ვერ იჯერა გრაფ ვიტეს პოლიტიკის განქიქებით. ის კვლავ შეტევაზე გადადის, როდესაც ვიტეს „ღირსშესანიშნავი მოწოდების“ გესლიან ინტერპრეტაციას იძლევა.

ავტორი გვიხატავს სამხედრო წესის მავნე დანიშნულებას: „აღვირი მოუკიროს ხალხს, როგორც მხედნელმა, როგორც გასახედნ კვიცს“. ეს არის „აღზრდის წესი“. გულქვაობის“, „საქმის გაურჩევობის“, დახვრეტის მეთოდებით შეიარაღებული „აღზრდის წესი“. შ. ჩიტაძე ზემოთ თქმულს ადასტურებს სატირული ხერხის ოსტატური გამოყენებით. სტატიის ბოლოს ავტორი სვამს კითხვას, თუ როდის დამთავრდება რუსეთის ხალხის წვრთნა. კითხვას შემდეგი პასუხი მოუმზადა თვით ავტორმა: „ყოველივე წვრთნა თავდება მაშინ, როდესაც მთავრობა უბრძანებს გაწვრთნილს ან სიმწიფის ატესტატს, თუ გაწვრთნა საშუალო ხარისხისაა, — ან დიპლომს, თუ გაწვრთნა, უმაღლესი ხარისხისაა...“ ბოლოს კი თავის თვალსაზრისის ნათელსაყოფად შ. ჩიტაძე ასკვნის: „მე... სხვაზედ ვწუხვარ. ყოვლის მხრიდან მესმის და მეც თვითონ ვხედავ, რომ რუსეთის ხალხი ისეა გაწვრთნილი, იმდენად არის მომზადებული, რომ ადვილად შეუძლიან არა მომწიფების ატესტატი, არამედ პირველი ხარისხის დიპლომიც მიიღოს. საკვირველია, რატომ მთავრობა არა ხედავს ამას. ბრმაა თუ ყრუ?

მთავრობა არც ბრმაა, არც ყრუ. იმან მშვენივრად იცის, რუსეთის ხალხის მომზადება და სწორედ ამისა ეშინიან". ცოტა არ იყოს ავტორს თვითონაც ეშინია და ისიც აფრთხობს, რომ „ცნობის ფურცლის" ბედი არ შეატრიალოს ამ სტატიით, რომ ისიც არ განასვენონ, „ნოვოე ობოზრენიეს" ბედი არ არგუნონ ამ სტატიას. ამ საჭირბოროტო შეკავლის შემდეგ, ავტორი განიხილავს ჩამოთვლილ საკითხებს. აქედან პირველია „მავნებელი და უვნებელი ჭეშმარიტება". ავტორი წერს: „ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში დანიის პრინცი ჰამლეტი ამბობდა: „თავისთავად არარა არც კარგია და არც ცუდი, აზრი ხდის ერთად და მეორედაც". მდაბიოდ გამოვთქვამ: ჭეშმარიტება არც კარგია და არც ცუდი, ე. ი. არც მავნებელია და არც უვნებელი, ჩვენი აზრი ჰხდის ან მავნებლად ან უვნებლად. ვთქვათ: „რეაქცია გამარჯვებასა დღესასწაულობს თავის ხელით დანგრეულ ქალაქ-სოფლებში" — ეს ჭეშმარიტებაა. არც მავნე, არც უვნებელი. ახლა ადამიანის აზრის მიხედვით გავსინჯოთ, გამოვა, რომ ჭეშმარიტება იგი მავნებელია, რადგან ხალხში რეაქციის სიძულვილს აღვიძებს, რაც აკრძალულია კანონით. დღევანდელი მწერალი დიდ გაჭირვებაშია: ცდილობს გაიგოს ის დაფარული აზრი ძალთა მქონისა, მხოლოდ მათ ეკუთვნით უფლება ჭეშმარიტების მავნებლად ან უვნებლად ცნობისა, რომელიც ჭეშმარიტებას მოწმობას აძლევს: შენ ხარ მავნებელი და შენ-კი უვნებელიო. დღეს ხედავ ჭეშმარიტება უვნებლად ცნობილია, ხვალ, უყურებ, იგივე ჭეშმარიტება გამოცხადებულია ფრიად მავნებლად. მოდი და გაიგე. მოდი და სწერე ისე, რომ მახეში არ გაება". ამ ამონაწერით ნათელი ხდება შიო ჩიტაძის პოლიტიკური თვალსაზრისი. პუბლიცისტის აუცილებელი ვალია წეროს ჭეშმარიტებაზე, არ მოერიდოს ჭეშმარიტების მხილებას, რომელიც უნდა იცოდეს ხალხმა, ამხილოს სიმართლე, მიუხედავად იმისა, ეს ჭეშმარიტების მხილება თვით მწერლისათვის სახიფათო შედეგის მომტანია თუ არა.

აქ ჭეშმარიტება მავნებელია თუ უვნებელი, ეს ისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისზე დგას ხელისუფლება. საილუსტრაციოდ ჩიტაძეს მოჰყავს ასეთი მაგალითი:

„რამდენიმე დღის წინათ გული ვიჯერეთ თვითმპყრობელობის რეჟიმის ბნელი ზრახვების ლანძღვა-გინებით და დღეს კი ხმის ამოღების უფლება წაგვერთო. ყოველ ნათელ აზრს ხიფათში გახვევა შეუძლია“.

შიო ჩიტაძემ წერილის ამ ბოლო ნაწილით დაარწმუნა მკითხველი რუსეთის ხალხის მომზადებაში, ამასთანავე მოგვცა იმის რწმენა, რომ რუსეთის მთავრობა ვერ შესძლებს რუსი ხალხის გზიდან აცდენას, მოტყუებას. საამისო გამოცდილება რუსეთის ხალხმა მიიღო პირველი რევოლუციის წლებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის შ. ჩიტაძის მომავლის, ხვალინდელი დღის, მუშათა კლასის გამარჯვების რწმენა.

„ცნობის ფურცლის“ 1906 წლის № 2991-ში დაიბეჭდა ამ სერიის სტატიების გაგრძელება. ჩამოთვლილია საკითხები, რომელთა განმარტებაც მიზნად დაუსახავს შ. ჩიტაძეს ამ წერილებში. საკითხები შემდეგია: 1. „მავნებელი და უვნებელი ჭეშმარიტება“. 2. „სიწმინდის მონოპოლია“, 3. „წმინდანები გვყვანან“, 4. „გაჭირვების აპოთეოზი“ და 5. „სამშობლო მხარეს გაჭირვება ეწვია“. საკითხების ჩამოთვლის შემდეგ იწყება ტექსტი და იგი ვითარდება ისე, რომ საკითხებს ერთმანეთთან ორგანული კავშირი აქვთ. სტატიის განხილვისას ჩვენ შეეხებით შ. ჩიტაძის მხატვრული აზროვნების ზოგიერთ მხარეს, რომელთაც საფუძვლად უდევთ იდეურ-პოლიტიკური სარჩული. ასეთ თვალთახედვის სტატიებს ბეჭდავდა „ცნობის ფურცელში“ შ. ჩიტაძე რეაქციის ზეიმის პერიოდში. ეს იყო გაბედული ნაბიჯი, რომელიც რევოლუციონერმა მწერალმა გადადგა ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ყოველი გაბედული აზრი რეაქციის ტყვე იყო. შემდეგ მონაკვეთში იგი წერს: „ხალხის წმინდანები არა გვანან უდაბნოში გახიზნულებს, რათა ლოცვითა და მარხვით სასუფეველი დაიმსახურონ საიქიოს, რომელთაც ესმით მხოლოდ თავიანთი სხეულის ვნებანი და სხვა არაფერი.

ისინი არ წააგვანან თქვენს წმინდანებს! ისინი არ მირბიან ქვეყნიდან, ისინი არ იხშობენ ყურებს, არ იხუჭავენ თვალებს, რომ არ გაიგონ საზარელი კვნესა ხალხისა და არ დაინახონ გულსაკლავი ტანჯვა ბედისაგან დაჩაგრულისა. დიახ! ისინი

არ მირბიან ქვეყნიდან! ქვეყნის შვილნი, მისი ტანჯვით ტანჯულნი, მისი სიხარულით გახარებულნი გვერდში უდგანან ხალხს და იმასთან ერთად სწევენ ცხოვრების მძიმე უღელს. ისინი არ ეძებენ სულის ცხონებას საიქიოს. იმათი საცხოვრებელი მიწაა. იმათ გულში ჩაუჭედიათ ოქროს სიტყვები: „უფროსი ამისა სიყვარულისა არავის აქვს, რათა სული დასდვას მეგობრობისათვის“.

„ჰკითხეთ დედამიწას, რამდენი წმინდანის სისხლი შეუსვამს, რამდენი წმინდანის ძვლები ჩაუმარხავს თავის შავ გულში? ჰკითხეთ ჰაერს, რამდენი წმინდანის მამაცური ხმა გაუგონია და სიხარულით შეძრულა? ჰკითხეთ ხალხის გულს, რამდენ წმინდანს ჩაუხედნია შიგ და მალამო მოუცხია ჭრილობისათვის?

დედამიწა, ჰაერი, ხალხის გული წაგიკითხავთ გრძელ სიას ხალხის წმინდანებისას, რომელთა ხსენებაც საუკუნო იქნება ქვეყნიერებისათვის... ხალხის მსახური, ბოროტების დაუძინებელი მტერი, მშრომელთა ინტერესების დამცველი, მებრძოლი და იდეური ხელმძღვანელი სახალხო მიწერაფების, — არის წმინდანი.

ხალხის სიყვარულით გამსჭვალული, ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირული ადამიანია ხალხის წმინდანი“. როგორც ვხედავთ, უსაზღვროა ავტორის რწმენა და სიყვარული ასეთი წმინდანისადმი. იგი არც უარყოფს ამას, თუმცა ყოველი გაბედული თქმა სახიფათოა, როგორც დასაწყისში თვითონვე აღნიშნავს და არც ეს იყო საფუძველს მოკლებული სიფრთხილე. აქ განხილულ სტატიებში მისი რევოლუციური განწყობილების დაუფარავი სურათი იყო მოცემული, საკუთარი მსოფლმხედველობის ასეთი აშკარა მხილება თანდათან მატულობს ამ სერიის წერილებში, რაც მართლაც სახიფათო და საბედისწერო გახდა კიდეც ავტორისათვის.

წერილის ანალიზის დაწყებისას ჩვენ ვაღიარეთ, რომ ზოგიერთ მონაკვეთს სტატიებიდან შევეფასებთ არა როგორც პოლიტიკური სატირის ნიმუშს, არამედ განვიხილავთ როგორც პოეტურ, მხატვრულ ნაწარმოებს. საინტერესოა ამ თვალსაზრისით დასახელებული წერილიდან მეოთხე საკითხი:

„გაპირვების აპოთეოზი“. ვკითხულობთ ამ მონაკვეთს და ჩვენს წინაშე იშლება დიდი ოსტატობით გადმოცემული ლეგენდა (ლეგენდის შინაარსი უშუალოდ ადამიანის გრძნობებს ეხება), კითხულობთ ტექსტს და გიპყრობთ გასაოცარი ძალა. თანდათან იზრდება მკითხველის ემოცია.

ტექსტი უნებლიედ გვაგონებს მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატის მაქსიმ გორკის ნაწარმოებს. ავტორს მიზნობრივად აქვს გამოყენებული გორკის ლეგენდა დანკოზე, რათა გვაჩვენოს ხალხისათვის თავგანწირული გმირის სახე. ლეგენდის გამოყენების ეს ხერხი, მემკვიდრეობით უნდა იყოს მიღებული გორკისაგან. ჩვენ ვიცით თუ როგორი ინტერესით ადევნებდა თვალს შ. ჩიტაძე გორკის ნაწარმოების ყოველ-გვარ ახალ გმირს და მისი შემოქმედების ყოველ ახალ ხერხს. შ. ჩიტაძე მოხერხებულად იყენებს „სხვისაგან მონათხრობ“ ლეგენდას. „აი, დაიწყო თხრობა დედაბერმა“ — წერს გორკი.

შ. ჩიტაძის ლეგენდის მიხედვით: „დაიძრა ხალხი ყოველი კუთხიდან და გაკეთდა ხალხის ხიდი — მდინარე. თმათეთრი, გამხდარი, შავებში ჩაცმული დედაბერი გაუძღვა წინ. უკარ გაჰყვნენ ტირილით, ლანძღვით... მიჰყავდათ ხალხი უცნობ, შორეულ მხარეში... მრავალნი იმსხვერპლა ძნელმა გზამ“. გორკი ლეგენდის მიხედვით ასეთ ცნობას გვაწვდის: „დალილმა და გაბოროტებულმა ხალხმა დაუწყო ლანძღვა-გინება დანკოს. დანკოს უნდოდა ეს ხალხი საამშვიდობოს გაეყვანა. ხალხი კი სიკვდილით ემუქრებოდა. შავბნელი ტყის ბოლო არ ჩანდა. რამდენის სიცოცხლე იმსხვერპლა ტყის სიბნელემ, ჭაობმა. განვლილმა ძნელმა გზამ ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა, მოკვლა დაუპირეს დანკოს. ამის პასუხად დანკო თავისი ხელით წვდა საკუთარ გულს, ამოგლიჯა, ასწია მაღლა. გულმა გაანათა უკუნეთით მოცული გზა. ხალხი გაქვავდა. გამომყევით! — დასძახა დანკომ და მაღლა ასწია ხალხის სიყვარულით ანთებული გული. ამ ნათელ გზას გაჰყვა ხალხი და ტყეც დამთავრდა. ხალხი გაიყვანა გაშლილ ველზე, სუფთა ჰაერზე. დანკომ გადახედა თავისუფალ მიწაზე გამოსულ ხალხს, ამაყად გაიცინა, დაეცა და მოკვდა“.

შ. ჩიტაძის ლეგენდის ფაბულა გავს გორკის ლეგენდის

ფაბულას. მსგავსია ადგილი, სადაც მოთხრობილია: „ძლივს მიაღწიეს მწვერვალს, საითკენაც მიჰყავდა დედაბერს. ვარსკვლავებით მოქედილი ცა გადაშლილიყო ქალწულივით წმინდა თოვლით შემოსილ დედამიწაზე. ერთადერთი ნაძვი ამართულიყო ლაჟვარდ ცისკენ. იმის ძირქვეშ შედგა დედაბერი, ასწია მაღლა თავისი კვერთხი, კვერთხი ჩირაღდანივით აინთო... დედაბერი კვერთხით შეეხო ნაძვის ტოტებს და ნაძვი აენთო ბრწყინვალე ცეცხლით... ჭაღარა თმა ბრწყინვალე გვირგვინად გადაიქცა“. ძნელი გზისა და სინათლის მოტივი საერთოა, ხოლო შ. ჩიტაძე ლეგენდას კონკრეტული ამოცანისათვის იყენებს. „სალამი შენდა! შენ, ჩვენ გზის მაჩვენებელს. დედავ, გაჭირვება, გიძღვნი სალამს“.

ამ მხატვრულ ნაწილში დახატული აპოთეოზით ავტორმა გარკვევით გამოთქვა თავისი თვალსაზრისი: გაჭირვება არის გზის მაჩვენებელი თავისუფლებისაკენ, ძნელად გასასვლელი გზისა: „შორს, შორს დაიკარგა ადამიანთა მდინარე, იქ, სადაც უკვე იბადებოდა ბრწყინვალე დღე!“

ასეთი სიმბოლური ხერხით ავტორმა მკითხველს შთააგონა თავისი ჩანაფიქრი. ამისათვის მან მოიმარჯვა მხატვრული, ლამაზი ფანტაზია. მ. გორკიმ უთუოდ ბიძგი მისცა შალ ჩიტაძეს, ამ შემთხვევაში „ლეგენდა დანკოზე“ ზეგავლენას ახდენს ჩიტაძეზე. მაგრამ ამ საერთო შინაარსს მკვეთრ მხატვრულ ფერებს მატებს შალ ჩიტაძის პოეტური აზროვნების უნარიც.

მომდევნო წერილი, რომელიც 1906 წელს დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ (№ 3001), ასევე დასრულებული მხატვრული თხზულებაა. განხილული საკითხებიდან პირველი; „შიშის მეფობა“, ძლიერი ფსიქოლოგიური ესკიზია. აქ შესანიშნავად არის გადმოცემული შიშის გრძნობის განცდა. ძლიერი მხატვრული ხერხებით არის წარმოდგენილი შიში, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა და მისი კავშირი პოლიტიკურ ვითარებასთან. წერილის ავტორი დასაწყისში მიმართავს მკითხველს: „რას გრძნობ, მკითხველო, როცა ქუჩაში დადიხარ?

— შიშს...

რასა გრძნობ, როცა სახლში მშვიდობით ბრუნდები? — შიშსა. რასა გრძნობ, როცა ლოგინში წვები დღიურ ვარამისაგან მოქანცული?

— შიშსა, შიშსა და შიშსა.

შენი დღევანდელი ცხოვრება — შიშია, შიშია დაუსრულებელი. ცხოვრება მოიწამლა შიშის შხამით, ცხოვრება წამებად, ნელ წამებად გადაიქცა. ვერავის გადაუწევია მომავლის ფარდა, ვერავის გამოუცვნია, რას უქადის გათენებული დღე ან დაღამებული ღამე და თრთის, კანკალებს.

...შიში გამეფდა ცხოვრებაში, შიშმა დაიმორჩილა დიდი და პატარა, მხდალი, გულადი, ყურმოჭრილი მონა და ბატონი. შ ი შ ი ცხოვრების შინაარსად გადაიქცა.

გაჰქრა, ვითა ტკბილი სიზმარი ნეტარი ქამი, როცა ცხოვრების ბრწყინვალე ტახტზე იჯდა გულადობა.

გაჰქრა ნეტარი ქამი, როცა გული კანკალებდა გმირულ საქმის წყურვილისაკენ.

როცა კაცი დაუძლეველ გოლიათად თვლიდა თავის თავს. გაჰქრა და შავბნელის უკუნით დაიფარა“.

მწერლის ეს შიშიან-ტკივილიანი გოდება ცხოვრების შინაარსად აქცია ხალხის სოციალურმა უკეთურმართობამ. ყოველ-დღიური რისხვა, მთავრობის ახალ-ახალი ბრძანებები სიმართლის ჩასაქოლავად აბატონებს „შიშს“, რომელიც ადამბლავებს სიმბნეველს, სპობს უშიშრობის გრძნობას.

ამ ტექსტის განხილვისას ავტორს კვლავ სიფრთხილის ტონი აქვს აღებული და ცინიკურად აცხადებს: „ვინ გაამეფა შიში! ვინ არის იმისი გულმოდგინე ქვეშევრდომი? ძველი ნაცნობი, მკითხველო, კარგი ნაცნობი: რუსეთის ბიუროკრატია, რუსეთის კეთილისმყოფელი ბიუროკრატია... „შიში შეიქმს სიყვარულსაო“ — ღაღადებს მამა-პაპათა სიბრძნე. მთელი საუკუნეები ხელმძღვანელობდნენ მამა-პაპანი ამ სიბრძნით და ერთხელაც არ უნანიათ.

ბიუროკრატია გაბრიყვდა, ნაცად გზას აუხვია და კიდეც დაისაჯა. არა და არა: „შიში შეიქმს სიყვარულსა“, მხოლოდ შიში. დაიწყო ბიუროკრატიამ სიყვარულის თესვა, ღრმად მოხნა რუსეთის გული, ძირიანად ამოგლიჯა ღვარძლი, უხვად

მორწყო წითელი სისხლით ხნული და მშვენიერი შიშის ყანა დააბიბინა, ყანა თვალუწვდენელი.

დანტეს კალამი უნდა გქონდეს, რომ შესაფერად აღწერო ახალი ჯოჯოხეთი, ბიუროკრატიის მზრუნველი ხელით გაშენებული...“ საგანგებოდ მიგნებული ხერხი აქვს გამოყენებული შიო ჩიტაძეს „შიშის ყანის“ წარმოსასახავად. ეპითეტების სიუხვე აქვს მომარჯვებული და მიზანსაც აღწევს „ახალი ჯოჯოხეთის“ დახატვით. შემდეგ მოყვანილია ფაქტები, აღწერილია მძიმე, ტრაგიკული შემთხვევები. სტატიის დასაწყისში გაშუქებული „ფაქტები“ სიძულვილს იწვევს მეფის მოხელეთა საქმიანობისადმი.

შიში და შედეგი — აი ამ ფაქტების აზრი. განსახილველი წერილის ერთ ადგილას ვკითხულობთ: „როცა რუსეთში შიშის სამეფო შეირყა, შუამავალი უფრო დიდ კაცად გადაიქცა. მან მიითვისა უფლება სიკვდილისა და სიცოცხლისა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატიას მხატვრული ოსტატობის განსაკუთრებული ელფერი აქვს. ეს მხატვრული ოსტატობაა ამ შემთხვევაში ხერხი, რომ გააცნოს მკითხველს თავისი პოლიტიკური თვალსაზრისი.

„მაინც... ღმერთო ჩემო, მე არ ვჩივი, არა ვტირი, თუმცა ვხედავ, რომ ქარიშხალი გულსაკლავის კვნესით მიაქანებს ღრუბლებს, ცრემლებით სავსეს.

არა ვჩივი, თუმც ბრწყინვალე დღის სინათლე კრთება და ხანგრძლივი ღამის სიბნელედ იქცევა. არ ვჩივი, თუმცა ყვავილი, ძლივს გაფურჩქვნილი, ჭკნება, სიცოცხლეს ესალმება; თუმცა წმინდა სიმართლის ნათელ ლაჟვარდს და სხივს ვხედავ მხოლოდ ჭექა-ქუხილის შემდეგ.

მე არა ვჩივი, თუმცა მომაკვდავთა გმინვა ცას შეჰღაღადებს და გამოძახილს ვერ ჰპოვებს, იკარგება ვითა უდაბნოში...

მე არა ვჩივი, თუმცა ადამიანის გული შენ შეჰქმენ სუსტი, უღონო მისწრაფებისაგან, შეუსრულებელ ოცნებისაგან მაშინ, როცა იგი უნდა გამოგეჭედა ფოლადისაგან...

მე არა ვჩივი, თუმცა იდეალი დამსხვრეულია, როგორც მიწაზედ ჩამოგდებული კერპი და აღარ ანათებს ადამიანის გულს...

მე არა ვჩივი, თუმცა მზის მხიარულ სხივს არ უყვარს ლატაკის ქოხში, დაპატიმრებულის საპყრობილეში შეშუქება, თუმცა სევდის დემონმა შეიპყრო ჩვენი თაობა, თუმცა მწარე ცრემლებს აღვრევინებს, მწვავე მწუხარებასა და საშინელ უბედურებას თავზე ატეხავს მიწიერი ცხოვრება, თუმცა ნელა მიდის დრო ტანჯულ ხალხის გვერდით.

არა, მე არა ვჩივი. რას უშველის ჩემი ჩივილი, გინდა მთელი ქვეყანა შევძრა, როგორც ქარიშხალმა. მხოლოდ კი ვწუხვარ, რომ, ღმერთო ჩემო, შენა ხარ ამდენ ტანჯვის მეუფე!". ამონაწერი თავისთავად მეტყველებს მის შინაგან ძლიერ ხასიათზე და ადასტურებს ზემოთ მოტანილ ჩვენს მოსაზრებას. „ცნობის ფურცლის" ოთხ ნომერში (№ 3013, 3019, 3025 და 3031) 1906 წელს დაიბეჭდა წერილთა სერია საერთო სათაურით „გამოძახილი". ბოლო ნომერი (3031) მოწერილია შიო ჩიტაძის ცნობილი ფსევდონიმით — „ყვავი". ჩვენი აზრით, ეს არის „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილი შიო ჩიტაძის უკანასკნელი სტატია. ამის შემდეგ ქართველ საზოგადოებას აღარ წაუკითხავს უსამართლობის გამკიცხველი, მახვილი იუმორით სავსე, მწვავე სატირული ხერხით დაწერილი და გულში ჩამწვდომი, ლირიკული სტატიები. ტექსტის წინ ჩამოთვლილია საკითხები, საიდანაც ირკვევა, რომ წერილების ეს სერია ეხება 1906 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ამბებს. აქვე მწერალი კიცხავს ვიტესა და დურნოვის კაბინეტის მიერ შექმნილ კანონებს. ავტორი წერს:

„თუ იფიქრე — სჯიან, თუ ხმა ამოიღე, — სჯიან, თუ ფეხი გადაადგი — სჯიან, თუ ხელი გაანძრიე — სჯიან. ვერ დაასახელებ ადამიანის ისეთ მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელსაც მსგავსება ჰქონდეს ცოცხალი არსების ცხოვრებასთან და სასჯელი კი გამზადებული არა ჰქონდეს" ხელისუფლებას. ნებაც არა გაქვს იკითხო: „რათა? რის გულისთვის? რა დავაშავე?" — ის დააშავე, რომ ცხოვრობ — ასეთია პასუხი მთავრობისა" „კანონითა და სასჯელით" დაბეჩავებულ ადამიანთა მიმართ: ავტორი აქვე დასძენს: „ვინ იცის, იქნებ მალე დადგეს ის საუკუნე, რომლებმაც ადამიანის მთელი ცხოვრება დანაშაულობათ აღიაროს და მოითხოვოს მისთვის

შესაფერი სასჯელი". აქ ხაზგასმულია დასჯის ღონისძიებათა შეუწყნარებელ ხასიათზე ბიუროკრატიულ რუსეთში და მის შემდეგ აღწერილია ლეიტენანტ შმიდტისა და მატროსთა დასჯის სასტიკი სცენა.

ლეიტენანტი პეტრე პეტრეს ძე შმიდტი ოდესელი იყო, მან პეტერბურგის საზღვაო კორპუსში მიიღო განათლება და ჯემის კაპიტნობამდე მიაღწია. ის იყო გაბედული, მშრომელთა განთავისუფლების საქმისათვის თავდადებული ადამიანი.

1905 წლის 14 ნოემბერს შმიდტი ავიდა ჯავშნოსან „ოჩაკოვოზე", და იქ შეუდგა რევოლუციური ფლოტის სარეკლობას. „ოჩაკოვოზე" წითელი დროშა აფრიალდა და მან მოჰყვა სიგნალი „ფლოტს ვსარდლობ მე. — შმიდტი". თითქმის მთელმა ფლოტმა უპასუხა — „კარგად ვხედავთ" და 600-ზე მეტი მატროსი აჯანყებულ „ოჩაკოვოს" შეუერთდა.

მეფის მთავრობამ სევასტოპოლის მატროსთა აჯანყებას ცეცხლით უპასუხა, იწვოდა „ოჩაკოვო", აჯანყების მონაწილენი ზოგი ხიშტზე ააგეს, შმიდტი შეიპყრეს და მასთან ერთად 300-ზე მეტი მეზღვაური და ჯარისკაცი სასამართლოს გადასცეს. ჩიტაძე წერდა: „ლეიტენანტი შმიდტი უკუნეთში დაიბადა. იგი ადამიანი იყო და ადამიანობა სურდა თავის მოძმეთათვის. იგი არ შეუშინდა მექარას, რომელიც რისხვით ეუბნებოდა: „ადამიანობა აკრძალულია, იყავ პირუტყვი. თორემ სასჯელი მზად არის დებულებაში! ლეიტენანტმა სასჯელი არჩია ადამიანობის დაკარგვას და ეს ხმამაღლა აღიარა. დაჩაგრულთ, ტანჯულთ გულში მოხვდათ მისი მბურვალე სიტყვა. ისინიც გრძნობდნენ თავის ადამიანობას, მაგრამ ვერა ჰბედავდნენ საჯაროდ ემცნოთ, რომ ისინი ადამიანები არიან და ადამიანური ცხოვრება სწყურიათ. ლეიტენანტმა შმიდტმა განუცხოველა გრძნობა, განაძლიერა წყურვილი და ხმამაღლა ათქმევინა: „გესმით, მტარვალნო, ადამიანური ცხოვრება გვწყურია!" დებულების სასტიკმა მცველმა წარმოთქვა თავისი საზარელი მსჯავრი: — „სიკვდილი"! კანონით მოითხოვა სიკვდილით დასჯა".

შიო ჩიტაძის მრისხანება საზღვარს სცილდება, იწვის მოაზროვნე ავტორი, ის დაურიდებლად აღიარებს:

„აქ დიდი ისტორიული შეცდომა ხდება. ორი წელიწადია რუსეთი სისხლის მორევში სცურავს. კმარა, დროა ნაპირზე გავიდეთ. ნუღარ დავანთხევთ ნურც ერთ წვეთს სისხლს, თორემ დავიხრჩობით. თქვენ წინ დგანან უბრალო დამნაშავენი. არა შმიდტი და მატროსები — თქვენ წინ თქვენი საკუთარი, იმას ასამართლებთ!

ისტორია და ხალხი გაამართლებენ ლეიტენანტ შმიდტს.

ისტორია და ხალხი გაამართლებენ რუსეთის ხალხს!" მეფის ჯალათებს ასე მიმართა უკანასკნელად შმიდტმა: „თქვენს წინაშე ფიცის დამრღვევი რამდენიმე მატროსი და მოქალაქე შმიდტი როდია, აქ საბრალმდებლო სკამზე არის მთელი ასმილიონიანი რუსეთი. თქვენ მას უნდა გამოუტანოთ განაჩენი. იგი უცდის თქვენს გადაწყვეტილებას... მე ვიცი, რომ ბოძი, რომელზედაც ჩამომახრჩობენ, აღმართული იქნება ორი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის მიჯნაზე. ამის შეგნება მე ძალას მმატებს და სახრჩობელა არ მაშინებს. წარსულს ჩაბარდა ხალხის ტანჯვა-წამება და მძიმე წლების ქარტეხილი. წინ კი მე დავინახავ ახალგაზრდა გარდაქმნილ ბედნიერ რუსეთს, უდიდესი სიხარულით აღივსება ჩემი გული და ასე შევეგებები სიკვდილს". „დროშა", 1955 წ. № 22, გვ. 12.

ლეიტენანტი შმიდტი 1906 წლის 7 მარტს დახვრიტეს მეფის ჯალათებმა. „არ შედრკა გმირი, არ გაფითრდა — ჩემისთანა ბევრია, უფრო მეტი იქნება, უბრძანეთ დამიმიზნონ პირდაპირ გულში"! გულმა შეწყვიტა ცემა... არა, ათასჯერ არა! გმირის გული მისი საკუთრება როდია, რომ მასთან ერთად მოკვდეს. გმირის გული ხალხის გულია. არ შედრკება მისი ცემა, სანამ სუნთქავს ხალხი. არ შესდგება! ხალხის გული აღელვებული იმის გმირის გულის განგმირვით, სცემს უფრო ძლიერად, უფრო მრისხანედ. სცემს კიდევ გმირის გული..."

ასეთია მწერლის დასკვნა, ასეთია ყოვლისშემძლე ოპტიმიზმი, რაც ამშვიდებს ავტორის ცეცხლმოკიდებულ ნერვებს, აიძულებს დინჯად იაზროვნოს. მწერალს ეჭვი არ ეპარება,

რომ ბნელეთის მოციქულნი დამარცხდებიან, რომ უდანაშაულოთა მკვლელობა და წამება ნათელი მომავლის საწინდარია. იგი წერს: „სინათლე ბნელეთში აშუქებს! რაგინდ შავბნელი იყოს ირგვლივ უკუნეთი, მაინც ვერ დაჩრდილავს, ვერ ჩააქრობს ელვარე სხივს. სხივი მტერია უკუნეთისა, მასზე მძლავრია და იმიტომ გამარჯვებულიც“.

შ. ჩიტაძეს ამოქმედებდა, ძალას მატებდა, ხალხის მომავალისა და სხივის გამარჯვების რწმენა. მას სჯეროდა, რომ რუსეთში ბატონობის ხანა დამთავრდებოდა.

შიო ჩიტაძის გულისწყრომა ბიუროკრატიული მმართველობის მიმართ გამოწვეული იყო იმითაც, რომ იგი ხელს უწყობდა შუღლსა და გადამტერებას ერთა შორის, ამზადებდა პირობებს მოძმე ერების ხოცვა-ყლეტისათვის.

შიო ჩიტაძეს მთელი სიღრმით აქვს შეგნებული მეფის მთავრობის პოლიტიკა. სკკპ პარტიის ისტორიაში ვკითხულობთ: „მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის... ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათდამი. მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ. აწყობდა ებრაელთა დარბევებს, თათარ-სომეხთა ხოცვა-ყლეტას ამიერკავკასიაში“.

შიო ჩიტაძეს მიაჩნია, რომ სოციალური და პოლიტიკური პირობების ძირითადი ცვლილებები შექმნის ნიადაგს ერთა შორის შუღლის მოსასპობად. უნდა ვიფიქროთ, რომ შ. ჩიტაძეს სწამს: სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის გზით. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შ. ჩიტაძე არსად არ ამახვილებს ყურადღებას სოციალისტურ რევოლუციაზე. კაცობრიობის მომავლის მარქსისტული განჭვრეტა მის ნაწარმოებებში არ მოჩანს გამოკვეთილად.

ამ წერილის შემდეგი მონაკვეთი გვაცნობს გურიის დარბევა-აწიოკების ამბავს. მოთხრობილია კრილოვის ვერაგული განკარგულებების შესახებ. მაგალითად, ავტორი წერს: „მაშ

რა არის, თუ არა ადამიანის პიროვნების თავისივე ხელით შებღალვა ბ-ნ კრილოვის, ოზურგეთის (ახლანდელი მახარაძე — ლ. მ.) დამამშვიდებელის განკარგულების შესრულება: ყოველმა მცხოვრებმა იქონიოს რუსული ნაციონალური დროშა, საჭიროა აგრეთვე ჩირაღდანი!

შეშინებული ოზურგეთელი ბრძანებას წამსვე ასრულებს, როგორ გაბედავს წინააღმდეგობას?

რათ მოუნდა ბ-ნ კრილოვს დროშები და ჩირაღდნები? დროშები და ჩირაღდნები ხომ დღესასწაულის ნიშანია? რას დღესასწაულობენ ოზურგეთელები? თითქოს სამგლოვიაროს მეტი არაფერი აქვთ.

დიაღ, ოზურგეთელები ცრემლსა ღვრიან, მაგრამ ეს არ მოსწონს ბ-ნ კრილოვს. ამის ბრძანების ქვეშ მყოფი მხიარული უნდა იყოს. რათა ბედნიერია!

ასე უნდა. ბატონმა კრილოვმა, ერთ დღეს გადამწვარი ოზურგეთი სადღესასწაულოდ მოკაზმა. ააფრიალა ბაირაღები და გააჩაღა ჩირაღდნები. ბ-მა კრილოვმა რეპეტიცია გააკეთა სანიმუშო დღესასწაული გამართა. ბატონს ელოდა ქუთაისიდან. კრილოვმა ხალხი რომაული ცირკის გლადიატორებად გახადა! გამოიყვანა არენაზე და გლადიატორების სიმღერას ამღერებს: „გაუმარჯოს ცეზარს"! სალამი ახლად მოვლინებულ ქვეყნიერების მეუფეს... აი, ჩვენ გლადიატორები, მუხლს ვიდრეკთ ძლიერის წინაშე და ვღაღადებთ: ვაშა ცეზარს! რა სიამეს ვგრძნობთ, როცა შევცქერით შენს გაბრწყინებულ სახეს!

ღვთაებრივო ცეზარო! შენს გზაზედ მკრთალდება მზე! შენს გზაზე მიმდინარეობს წითელი მდინარე. მაინც სიკვდილისათვის გამზადებულნი სალამს გიძღვნიან!".

აი გადამწვარი გურიის, მიწასთან გასწორებული მოსახლეობის შხამნარევი დემონსტრაცია, „საზეიმო" შეძახილები, დაჩოქილი გურიის შვილთა გულის წყრომა. გადამწვარი სახლ-კარისა და ჩამქრალი ოჯახების შეძახილები. ავტორი ახერხებს ერთი კალმის მოსმით მოხატოს სიმწარისაგან გაქვა-

ვებული გულის ბობოქარი ხმაური. შიო ჩიტაძე ამ სურათს ჰქმნის იმიტომ, რომ გაამახვილოს ურყევი რევოლუციური მოწოდება: „წვეთი კლდეს ანგრევს! ყველა გადავიქცეთ წვეთებად, დავანგრიოთ კლდე, რომელიც ლოდივით აწევს ჩვენს გულს და სულს გვიხუთავს. სადაც შეგვიძლიან, როგორც შეგვიძლიან, ვებრძოლოთ შავბნელ რეჟიმს! ყველანი წვეთებად გადავიქცეთ!“.

მოწოდების ფორმა ძლიერია, შინაარსი კი მტკიცე გაერთიანებისაკენ მოუწოდებს უფლებადაკარგულ, გათელილ ხალხს, რათა ებრძოლონ შავბნელ რეჟიმს! მტკიცედ გაისმის შიო ჩიტაძის ხმა, მისი გაბედული კალამი ეშსახურება იმას, რომ შეკავშირდეს ხალხი თვითმპყრობელობის სისტემის დასამხობად.

ამავე წერილში მოთხრობილია ადმირალ დუბაროვის არაადამიანური საქმეების შესახებ, „საქმენი საგმირონი“ ასეთი ქვესათაურით. ვიდრე ფაქტიურ მასალას მოგვაწოდებდეს, ავტორი წინასწარ მსჯელობს ხელისუფლების მოწინააღმდეგე მსაჯულებზე. მათი შიშით შეძრწუნებული მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს და განუკითხავად ებრძვის „საშიშ მსაჯულებს“. ივსება საპყრობილეები, ივსება შორეული და ახლოს მდებარე ადგილები ბიუროკრატიის საშიშ მსაჯულებით, მაგრამ ცნობილია, შიშს დიდი თვალები აქვსო, შიშმა ბიუროკრატიასაც გაუდიდა თვალები, ვინც გინდა და ვინც არა, საშიშ მსაჯულად ეჩვენება და უმალ ხელს სტაცებს, — ეპატიმრებს, ხვრეტს. ძალა აღმართსა ხნავს, ის კი არ არის ნათქვამი, რა ითესება დახნულ აღმართში და რა აღმოცენდება ხოლმე“.

დახნულ აღმართში ღვარძლი მოჩანს. მაგრამ შიო ჩიტაძე პოეტური ოსტატობით აქვე ადევნებს მშვიდ და ზომიერ სტრიქონებსაც, თითქოს სურს მხოლოდ განაგრძოს ზემოთ დაწყებული ამბავი, გვერდით ამოუყენოს დასჯილ მსაჯულებს დამნაშავე, „მთავრობისათვის საშიში“ ელემენტი. „მსაჯულების (რევოლუციონერებზეა ლაპარაკი — ლ. მ.) გვერდით არის კიდევ ერთი დამნაშავე. საწყალი, ღობე დაბალია და ბიუროკრატია ადვილად გადააბიჯებს ხოლმე. ამ დამნაშავეს

„მეისრე“ ეწოდება. ნუ გგონიათ, რომ „მეისრე“ ყოველთვის რკინიგზის ლიანდაგის ისარს ყარაულობს. არა, „მეისრე“ ყველგან არის. „მეისრე“ ის ადამიანია, რომელზედაც რუსები ამბობენ: „на бедного Макара все шишки валяется: „მეისრე“: განტევების თხაა. ვინც მოისურვებს, ყელს გამოლადრავს თავის ცოდვების განტევებისათვის. სწორედ თ ხ ა ა საწყალი მ ე ე ტ ლ ე ადმირალი დუბაროვისა. დუბაროვის პოლიტიკას რომ ფარდა ახადოს, გაანადგუროს და მიწასთან გაასწოროს, ავტორმა მისი ვერაგობის ისტორიიდან ერთი ყოვლად უმნიშვნელო დეტალი ამოიღო. დუბაროვი და მისი მეეტლე, „მეისრე“ — განტევების „თხა“ გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზე. აი, როგორი შემპარავი გზებით უთხრის ძირს „მოსკოვის გამანადგურებელ გმირს“. მივყვეთ ტექსტს: „ამ დღეებში ეს თხა (მეეტლე) დააჯარიმეს ერთის თუმნით. იცით რათა? იმიტომ, რომ ეტლს მიაქანებდა! ეტლს მიაქანებდა და შეეძლო ვინმე გაეტანა. გესმით, რა მხრუნველობას იჩენს მოსკოვის მთავრობა? როგორ უფრთხილდება მოსკოველთა ძვირფას სიცოცხლეს? ეს, რასაკვირველია, საქებარია: გონიერი მთავრობა უფრთხილდება თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლეს, მაგრამ პატარა კითხვა: ვინ იჯდა იმ ეტლში, რომელსაც მიაქანებდა ადმირალ დუბაროვის მეეტლე? უნდა ვიფიქროთ, რომ თვითონ ადმირალი.

მეორე კითხვა: მეეტლეს უყვარს ჩქარა ტარება, თუ ადმირალ დუბაროვს? ეჭვს გარეშეა, რომ ადმირალ დუბაროვს, როგორც ყოველ ადმინისტრატორს. ხუმრობა საქმეა, ვეებერთელა ქალაქის დათვალიერება, იქნება „შფოთი“ მიიმალა სადმე. სიჩქარე საჭიროა.

ეტლში ადმირალი იჯდა, იმას უყვარს ჩქარა ტარება. მაშ ვინ არის დამნაშავე? განა, რომ ადმირალი. მაგრამ რუსეთში დამნაშავე „მეისრეა“. დუბაროვის მეეტლის დაჯარიმებამ გამახსენა, რომ რუსეთში ქართული ანდაზა „ნემსის ქურდი თუ აქლემის ქურდი — მაინც ქურდიაო“ — თავისებურად ესმით. „ნემსის ქურდი — ქურდია: აქლემის ქურდი კი გმირია“. მართლაც, დუბაროვის მეეტლემ ბატონის ბრძანებით ეტლი გააქანა და ღვთის წყალობით არავინ გასჭყლიტა.

მეეტლე მაინც უნდა დაისაჯოს ჯარიმით, რათა ქალაქში ჩქარა ტარება აკრძალულია. ადმირალმა დუბაროვმა ათი დღის განმავლობაში სჭყლიტა გამვლელი და გამომვლელი, ბრალიანი და უბრალო, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, — დამნაშავე მაინც არ არის, რადგან იგი „აქლემის ქურდია“.

სატირის ოსტატურად გამოყენებით, ავტორმა აბუჩად აიგდო, გაამასხარავა ადმირალი დუბაროვი. იგი სიტყვა „მტარვალის“ ხმარებას გვერდს უვლის, და „გმირს“ უწოდებს დუბაროვს დაცინვით. სატირა ამ შემთხვევაში კლასობრივი ბრძოლის გარკვეულ იარაღად არის გამოყენებული.

განსახილველ წერილში კიდევ ერთ საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. შიო ჩიტაძე არ ერიდება და პირდაპირ ამხელს შინაგან საქმეთა მინისტრ დურნოვოს საგმირო საქმეებს. 1906 წლის რეაქციის მძვინვარების პერიოდში ეს გაბედულება საბედისწერო გახდა შიო ჩიტაძისათვის. ავტორს კალამი ბასრი ხმალივით აქვს მომარჯვებული და პირდაპირ უტევს ხალხის მტერს. იგი წერს: „მინისტრ დურნოვოს ზეპირად აქვს დასწავლილი უკვდავი პოეტის სიტყვები: „ისარგებლე ცხოვრებით, ცოცხალო! მშვიდად გეძინოს კუბოში, მკვდარო“. მხოლოდ ერთი პატარა განსხვავებაა შილერსა და დურნოვოს შორის. როცა შილერი იწვევდა ცოცხალს დამტკბარიყო, ისარგებლა ცხოვრებით, არ ეუბნებოდა ცოცხალს: „შენი სიტკბობა, შენი მეჯლისი სხვის საფლავებზე გამართე. — დურნოვო კი სწორედ ამას ურჩევს რუსეთის ყველა კეთილსაიმედო ქვეშევრდომს და პირველს მაგალითს თვით აძლევს. მაშინ, როდესაც დურნოვოს ბრძანებით საფლავებით გაივსო მთელი რუსეთის მიდამოები, მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი გმინავს და კვნესის დურნოვოს ზომებისაგან, მაშინ, როდესაც ირგვლივ ტირილი ისმის, დურნოვო მართავს ბრწყინვალე ბალს და მღერის: — „სანამ ცოცხალ ვარ აქ ვიქ, ვახარებ ჩემს ინსა“. ეჰ, მართალს ამბობს პოეტი: ორგიის ყვირილი, მხიარულების ჰიმნები ბრწყინვალე ცეცხლით მოფენილ დარბაზებში, გვერდით კი გულდამწვავი კვნესა მღელვარე მწუხარებისა... თავაშვებული გარყვნილება, ყვავილებით შემკული შრომა კი ტალახში ამოსვრილი... მომცინარე სუ-

ლელი და ჩუმად მტირალი უჩინარის ცრემლებით, ხალხში დაკარგული, არავისგან მიჩნეული ბრძენი, დიახ, ცხოვრება კონტრასტებისაგან შედგება. დურნოვოსათვის ხელსაყრელია რომ ცხოვრება კვლავაც ასე დარჩეს, მაგრამ „მღელვარე მწუხარება“ ფრთას ისხამს, აღარა სურს, რომ ცხოვრება ერთისათვის მეჯლისი იყოს, მეორისათვის კი — სატანჯველი...“

ამ ნათელ სურათს მხოლოდ დიდი გაბედული ფუნჯის მქონე მხატვარი დახატავდა, მხოლოდ თავისი საკუთარი სიცოცხლის დაუნანებლად, განსაკუთრებით რეაქციის იმ მძიმე პერიოდში. შ. ჩიტაძე არ შეაკრთო აშკარა მამხილებლის როლმა. მწერალმა დაახასიათა რეაქციული რუსეთის „გმირთა“ საქმიანობა, სტატიაში წინ წამოსწია ჯალათ ხელმძღვანელთა მისწრაფება იქითკენ, რომ მათ მიერ გაცემული ბრძანებებით მთელი რუსეთის მიწები საფლავებით ამოვსებულიყო. აქ შეცდა სიმართლის მაძიებელი მოაზროვნე, რას იფიქრებდა, რომ „საზარელი ბრძანება“ „კანონის მფლობელთა“ შეურაცხყოფისათვის მასაც ანგარიშს გაუწევრებდა. „ახალი დროების“ კამათზედ არაფერს ვიტყვით. მკითხველი თვით დააფასებდა იმის ღირსებას და დღევანდელი დღისათვის მის მნიშვნელობას. მე მინდა, რომ „ივერიასა“ და „ელვაზე“ ვილაპარაკო...“ და აქვე მოთხრობილია მათი კამათის შესახებ.

შ. ჩიტაძე მთელი ენერგიით, ცოდნითა და რწმენით ებრძოდა მეფის ხელისუფლებას, უყვარდა მშრომელი ხალხი. იცავდა მათ შრომას, ეტრფოდა და იღვწოდა სამშობლოს მომავლისათვის, ამათრახებდა ხალხის შემავიწროებელ ძალებს. მტკიცედ სწამდა, რომ გაერთიანებული ძალით ბრძოლა ბრწყინვალე მომავალს მოუტანდა მშრომელ ხალხს.

თავის თვალსაზრისს შ. ჩიტაძე მკითხველს აცნობდა ოსტატურად, აზრის მკაფიოდ გადმოცემისათვის იყენებდა სხვადასხვა პოეტურ ხერხებს, ბრძნულ გამოთქმებს, ანდაზებს, მიმართავდა დამცინავ ტონს, ირონიას, სატირას. სატირა იყო საუკეთესო საშუალება მტრის, დასამცირებელი ობიექტის, თუ მოვლენის წინააღმდეგ მიმართული. შეო ჩიტაძე თავისი მოსაზრების ფართოდ წარმოსადგენად ხშირად იყენებდა

ლეგენდებს, სწავლობდა სინამდვილეს, ერკვეოდა სახელმწიფოს პოლიტიკის ყოველ დეტალში, ნიღაბს ხდიდა ქვეყნის მტარვალთ, გამოდიოდა მშრომელისა და დამცირებულის მოსარჩლედ.

შ. ჩიტაძის ბასრი სიტყვა მიზანს აღწევდა, მისი სტატიები შკითხველში ნაყოფიერ ნიადაგს პოულობდა. ხალხს უყვარდა შიო, იგი პირუთვნელ, პატიოსან მოქალაქედ, ნიჭიერ კალმოსნად მიაჩნდათ, აფასებდნენ საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებულ ინტელიგენტს. ჩვენ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილეთ შ. ჩიტაძის, საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში, შექმნილი ნაშრომები. ამ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით „ანტონ ჩეხოვის ხსოვნა" არის შიო ჩიტაძის ლიტერატურულ საკითხზე დაწერილი უკანასკნელი ნარკვევი.

ეს პატარა ნარკვევი დაწერილია ჩეხოვის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით და დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელში" (№ 2857, 1905 წ.).

ნარკვევი პატარა მოცულობისაა, მაგრამ ზუსტად გადმოცემულია ჩეხოვის პოეტური ძლიერების სურათი, მწერლის შემოქმედებითი გზა, წამყვან გმირთა სულისკვეთება და თვით მწერლის იდეური თვალსაზრისი.

შიო ჩიტაძე აღნიშნავდა: „სრული ერთი წელიწადი შესრულდა. რაც შეწყდა მაჯისცემა იმ ადამიანისა, რომელიც ყმაწვილობაში უზრუნველად იცინოდა რუსეთის ცხოვრების უკმეხობასა და უთავგასობაზედ, ხოლო ვაჟკაცობაში ნაღვლიან ცრემლსა ღვრიდა და სწუხდა, რომ შელახული და შეგინებულია ადამიანის წმინდა იდეალი". შიო ჩიტაძე, ამის შემდეგ ეხებოდა ანტონ ჩეხოვის პროზის ზოგადი ხასიათის ახსნას. კომიკური ხერხებით აშკარად ჩვენება რუსეთის ძველი შავბნელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა მთავარი, წამყვანი ჩეხოვისეული სტილია.

შიო ჩიტაძე ამბობდა: „ჩეხოვს გულს უმღვრევდა რუსეთის გათახსირებული საზოგადო ცხოვრება. საღაც გამეფებულია პატარა კაცი, პატარა გრძნობებით, პატარა აზრებით და პატარა საქმეებით. ჩეხოვი პოეტი იყო პატარა კაცისა, იმ პატარა

სიხარულისა და მწუხარებისა...". 1954 წლის გამოცემის პირველი ტომის წინასიტყვაობაში ვ. ერმოლოვი ასეთ მოსაზრებას გვაწვდის: «Уже в ранних рассказах Чехов выступает как художественный представитель маленьких людей, их друг и защитник». „როგორც დედას თავის საყვარელ შვილისათვის შესტკივა გული, თუნდაც ეს შვილი სავსე იყოს ნაკლულევანებით, ისე ჩეხოვს ეწოდა გული პატარა კაცისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩეხოვი მომღერალი იყო პატარა კაცობისა, რომ მას არ ესმოდა მიმზიდველი, აღმაფრთოვანებელი ზარი დიად აზრისა, გმირულ გრძნობისა და მოქმედებისა.

არა, ჩეხოვის შუბლი დანაოჭდა, სახეზედ ღიმილი გაუქრა, გულზედ ლოდი დაედო იმიტომ, რომ ჰგრძნობდა „დაღვრემილ ადამიანების ცხოვრებისათვის გამოუსადეგრობას, კარგად ესმოდა, რომ გამუდმებული წუწუნი რუსი ინტელიგენტისა წინ არ სწევს ცხოვრებას, რომ იგი ცუდი იარაღია აღთქმულ ქვეყნის მოსაპოვებლად.

რად უყვარდა ჩეხოვს თავისი „დაღვრემილი ადამიანები". „კაცი ფუტლიარში" რად დასტიროდა სიყვარულის ცრემლებით ამათ პატარა ტანჯვას? იმიტომ, რომ მათ გარშემო ერტყათ ჭაობი, სადაც გამეფებული იყო უხამსობა, სადაც თავის თავისადმი უკმაყოფილება ითრევდა დამპალ ჯურღმულში ყველას, ვისაც შერჩენოდა ცოცხალი ადამიანის ნიშანი. „დაღვრემილი ადამიანები" ფართხალობდნენ ჭაობში, ცდილობდნენ სიცოცხლის ნიშნები არ დაეკარგათ სამუდამოდ და ოხრავდნენ მშვენიერს ცხოვრებაზე, რომელსაც ანათებს გმირული გრძნობები, მოქმედებანი და ელვარე აზრები. ეს ოხვრა შხამს ართმევდა ჩეხოვის კალამს, ეს ოხვრა არიგებდა ჩეხოვს თავის მწუხარე გმირებთან. ეს ოხვრა იყო მისთვის ერთად-ერთი იმედი, რომ რუსეთის საზოგადოება არ მოკვდა, გაიღვიძებს და დაჰგმობს თავის ლაჩრობას".

შიო ჩიტაძის მოსაზრება — ჩეხოვის მიერ მომავალი საზოგადოების გამოფხიზლების შესახებ, რომ „რუსეთის საზოგადოება არ მოკვდა, გაიღვიძებს და დაჰგმობს თავის ლაჩრობას" თავისთავად გულისხმობს კრიტიკოსის სწორედ ჩაწვდომას

ჩეხოვის შემოქმედებით აღმავლობაში, სწორად გაგებას იმისას, რაზედაც ჩვენი თანამედროვე კრიტიკოსი ვ. ერმოლოვი მიგვითითებს, «Чехову самому казалось вместе с его героями, что все давно уже состарилось, отжило, и все ждет «начала чего-то молодого, свежего и он с молодой радостью прощался с прошлым».

შიო ჩიტაძის მსჯელობა ჩეხოვის შემოქმედებითი ძიების შესახებ ისევ ჩეხოვის მოსაზრებით მთავრდება: „ალბათ ბედნიერი იმიტომ ჰგრძნობს თავის თავს კარგად, რომ უბედურნი ხმაამოუღებლივ ატარებენ თავიანთ მძიმე ტვირთს. ეს სიჩუმე საძირკველია ბედნიერებისა, ეს საერთო ჰიპნოზია. საჭიროა, რომ ყოველი ბედნიერის, კმაყოფილის კარებთან იდგეს ვინმე ჩაქუჩით და შეუწყვეტლივ აგონებდეს კაკუნით, რომ არიან უბედურებიც, რომ ცხოვრება, თუნდაც ბედნიერზედ ბედნიერი იყოს კაცი, ადრე თუ გვიან აჩვენებს თავის ბრჭყალებს, მეხს დაატეხს...“ ეს ჩეხოვის სიტყვები შიო ჩიტაძეს მოყვანილი აქვს დასკვნის მისაღებად და საჩვენებლად იმისა, თუ რა სიმაღლეზე ავიდა ჩეხოვის მსოფლმხედველობა. „ასრულდა პოეტის სიტყვები. ჩაქუჩის კაკუნმა თავისი გაიტანა. საზოგადოებამ ველარ შესძლო მოყრუება. ცხოვრების ჩაქუჩმა გააგონა, რომ ირგვლივ არ არის ყველაფერი წესრიგზე, რომ დადგა დრო ანგარიშის გაწევისა. გუშინდელი კაცნი ფუტლიარში თითქოს ჯადოქარის კვერთხით გამოძვრნენ თავიანთი ფუტლიარებიდან და ერთხმად ჰყვირიან. „დავიხრჩეთ, დავიტანჯეთ, აღარ შეგვიძლიან ბნელ ფუტლიარებში ცხოვრება. თქვენ გგონიათ, რომ საუკუნოდ დავიძინეთ, სრულიად დავკარგეთ ადამიანური სახე? — შეცდით! შეხედეთ ჩვენს რაზმს, არც ერთს უძლიერეს მფლობელს არა ჰყავს ამდენი ჯარი. მედგარის იერიშით მივალთ მათზედ. ვინც ფუტლიარებში ჩაგვყეტა. სული შეგვიხუთა და გვწამს, გამარჯვება ჩვენია“. ეს-მის ჩეხოვს თავისი გმირების ძახილი“ — მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩეხოვს „არ დასცალდა თავის თვალით ენახა მისგან დასურათებული ჭაობის ძირიანად შერხევა, იმისმა ყურებმა ვერ გაიგონის ზარივით ძახილი „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, მაგრამ მისი აჩრდი-

ლი გაბრწყინებულის სახით დასცქერის ტანჯულ სამშობლოს და აღელვებულის ხმით შესძახის მისთვის საყვარელ „დაღვრემილ ადამიანებს“: — გამარჯვება მამაცებს! გამარჯვება ტალღას, რომელმაც აამღვრია ჩემგან შემკული ჭაობი. წინ, წინ მედგრად: მზე ამოდის“. ასე ამთავრებს შიო ჩიტაძე თავის სტატიას. ის ჩეხოვის აჩრდილს გაბრწყინვებულის სახით წარმოგვიდგენს 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში და ჩეხოვის ოპტიმისტურ განწყობილებაში მწერლის შემოქმედებითი აღმავლობის მწვერვალს ხედავს: „წინ მედგრად,... მზე ამოდის“. «А. П. Чехов утверждал всем своим творчеством право на счастье простых русских людей, тружеников и созидателей, тосковавших о свободном труде, о великой общей идее, предпочитавших о правду, красоту, справедливость всем благам мира». ამთავრებს აზრს ჩეხოვის შესახებ ვ. ერმილოვი.

დიდი რუსი ხალხის ღვიძლი შვილის ჩეხოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ გამოთქმული აზრი ვრცლად მოვიყვანეთ. ამით ერთხელ კიდევ გვინდოდა ხაზი გაგვესვა შიო ჩიტაძის მაღალ ჰუმანურობაზე, რომელსაც შემოქმედი ადამიანის უკვდავყოფა თავის მორალურ ვალდებულებად მიაჩნია. ერთხელ კიდევ ჩავკვირვებოდით მის ლიტერატურულ გემოვნებას და ობიექტურ ხედვას, შემოქმედის პროგრესული საკაცობრიო იდეალების შეცნობას, რომ ყოველივე ამის შემდეგ ადვილად წარმოგვედგინა შ. ჩიტაძის მეცნიერულ-კრიტიკული ალღო.

შიო ჩიტაძის კრიტიკული სტატიებიდან ლიტერატურის სფეროში ერთ ფრიად მნიშვნელოვან წერილს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩვენ არ შევხებივართ შიო ჩიტაძის არც ერთ ნაშრომს ქართული ლიტერატურის შესახებ. სანიმუშოდ გვინდა მოვიყვანოთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილები: „მწუხრის მგოსანი“ (1905 წ. № 2928) და „სამწეხარო მოვლენა“ (1905 წ. № 2930) ერთიც და მეორეც ნიკოლოზ ბარათაშვილს შეეხება. პირველში ვიცნობით შ. ჩიტაძის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისადმი დამოკიდებულებას, ხოლო მეორეში გაკრიტიკებულია „ვოზროჟდე-

ნიეში“ დაბეჭდილი წერილი, ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ორივე წერილი, რადგანაც ფრიად საგულისხმოა შიო ჩიტაძის შეხედულება ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ქართული ლიტერატურის ამ შესანიშნავ წარმომადგენელზე.

სტატიაში „მწუხრის მგოსანი“ ძალაუნებურად ყურადღებას იპყრობს შესავალი წერილი: შ. ჩიტაძე სწერს: „ჯერ კიდევ თვრამეტი წლის არ იყო, რომ ბარათაშვილმა შეიგნო წუთისოფლის მუხთლობა, ბულბულსავით ელოდა ვარდის გაშლას ცხოვრებისაგან, მაგრამ უწყალო ცხოვრებამ მოატყუა, პოეტის გულს დაასვა ლახვარი“. სრულიად სამართლიანია ის მოსაზრება, რომ პოეტის სულში დასადგურებული სევდა პირადი სევდა არ არის. მას საზოგადოების, კაცობრიობის ბედი აწუხებს. — პოეტი ეძებს გზას ამ სევდის დასაძლევად, ეძებს გზას ჭეშმარიტებისაკენ და წინ მიუძღვის მომავალ თაობას. ეს არის მისი პოეტური ღირსებაც. ამიტომ მოგვწონს ბარათაშვილის ნაღველიც, რომელიც მისი მებრძოლი განწყობილების საწინადარია.

წერილის შემდეგ ნაწილში სწორად არის შეფასებული ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობა, პოეტის მიზანსწრაფვა. ეს ადგილი ჩვენ მოგვყავს ვრცლად: „სად არის მიზეზი ნაადრევ მწუხარებისა? მარტოოდენ პოეტის ბუნებაში. ბარათაშვილი ერთი იმ ადამიანთაგანია, რომელთაც ზეცისაგან მინიჭებული აქვს მწუხარე სახე, სევდით სავსე გული. ისინი რაღაც საიდუმლო ძალით გრძნობენ ამა სოფლის არარაობას, მუხანათობას და სიმშვენიერეს შორის, ბინდით შებურვილს ცხოვრებას. მათ ვერ გამოურკვევიათ ნათლად, რა გვარია ის მშვენიერი ცხოვრება, რომელიც იმათ სულის სიღრმეში აშუქებს, მაგრამ პირბადეს არ იხსნის. ერთის მხრით, გულს აწყლულებს სინამდვილე, გარეშემო გამეფებული ცხოვრება, მეორეს მხრივ ოდნავ მბჟუტავი ვარსკვლავი მოციქული მშვენიერის ცხოვრებისა. მაგრამ ცხოვრებასთან არიჭებდა პოეტს ღრმა რწმენა: „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“. ეს რწმენა ძალოვანი სტიმული იყო პოეტისათვის. იგი აიძულებდა პოეტს სრულიად არ დაეგმო ადამიანის ცხოვრება, მიეჩნია

მისთვის რაიმე მნიშვნელობა და არ ექადაგნა ცხოვრებიდან გაქცევა. წუთისოფელი მუხთალია, მსჯელობს პოეტი, ადამიანი გაუმაძღარია, იჭვიანი.

„მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“.

ბარათაშვილის მწუხარება არ არის პასიური წუწუნი ცხოვრების ნაკლებთათვის. იგი მოიწვევს ადამიანს დაჰგმოს უმნიშვნელო ცხოვრება და შექმნას ნაყოფიერი არა თავისთვის, არამედ სოფლისთვის. ბევრი ეკალი, ბევრი კლდე შეხვდება ადამიანს სოფლის სამსახურის აღსრულების გზაზე, მაგრამ ერთი იმედი უნდა ამხნევებდეს ადამიანს:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, მისგან თელილი... მაინც დარჩება.
და მისსა შემდგომ მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“.

შიო ჩიტაძის აზრი ბარათაშვილის ტანჯვისა და სევდის მიზეზების შესახებ სრულიად მართებულია. პოეტის მაღალი ბუნების დახასიათება უფრო ზუსტად შეუძლებელიც არის.

შ. ჩიტაძე სწორად ხედავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ძიების გზას. ის ამბობს, რომ მწერალი მოუწოდებს ადამიანს შექმნას ნაყოფიერი ცხოვრება ქვეყნის სასარგებლოდ. ასეთია შ. ჩიტაძის მსჯელობა. სწორია ნაწარმოებების („შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრი მტკვრის პირას“ და „მერანი“) განმარტება. ნაწარმოებებში ხაზგასმულია სწორედ ის ადგილები, რომლებშიც ნათლად ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის პროგრესული თვალსაზრისი. ადამიანის დანიშნულება ამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შრომა-გარჯაა. მსხვერპლის გაღება საჭიროა, რომ მომავალ საზოგადოებას ნათელი გზა დაუსახო. განსაკუთრებით საყურადღებოა ბარათაშვილის შთამაგონებელი სიტყვები: „გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის

განანათლებს". ოპტიმიზმი არის მიზეზი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა დამსახურებული მაღალი ადგილი დაიკავა მისი ეპოქის მხატვარ-ოსტატთა სამყაროში. პოეტის ეს წინახედვა, მომავლის პოეტური განჭვრეტა კარგად აქვს მიკვლეული შიო ჩიტაძეს.

„იბრძოლე მედგრად და გამარჯვება შენია!" — ჩიტაძე მიმართავს ბარათაშვილს: „პოეტო, მოვისმენთ შენს გმირულ მოწოდებას და შენს მწუხარე აჩრდილს წავიმძღვარებთ წინ ბედნიერების მოსაპოვებლად. შენ ეძებდი ბედნიერებას, სტიროდი მისთვის, ვერ გეპოვნა, სამარიდან დაგვილოცე შენი შვილები, რომლებიც უკვე გამზადებულან ბედნიერების მოსაპოვებლად!" შიო ჩიტაძეს პირველი რევოლუციის დროს საბრძოლო განწყობილების შესაქმნელ ლოზუნგად გამოუყენებია ნიკოლოზ ბარათაშვილის ტაეპი, იგი პოეტისაგან დალოცვას ითხოვს, რომ შვილებმა გამარჯვება მოიპოვონ ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში. შიო ჩიტაძეს სურს, რომ 1905 წლის რევოლუციურმა თაობამ იგდოს ხელთ ბარათაშვილის მიერ დანახული შორით მბრწყინავი ბედნიერება. მას სწამს, რომ თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოწოდებას—(„ნუ შეეფარვი, ადამიანო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა") საქმედ აქცევს ახალი თაობა, მაშინ გამარჯვება მებრძოლი ადამიანებისაა.

ზემოდასახელებული მეორე წერილი „სამწუხარო მოვლენა", რომელიც დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში" (1905 წ. № 2930) ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის უხამს კრიტიკოსებს და წარმოადგენს მათ განქიქებას, კრიტიკის გაბედულ კრიტიკას.

შ. ჩიტაძის აღშფოთების მიზეზი გამხდარა „ვოზროჟდენიეში" დაბეჭდილი ფელეტონი ნ. ბარათაშვილის შესახებ. შ. ჩიტაძე სასტიკად კიცხავს ფელეტონის ავტორს, ბარათაშვილის უდიერად მოხსენებისათვის. მითუმეტეს, რომ ფელეტონი რუსულ ენაზეა დაწერილი და მას შეცდომაში შეუძლია შეიყვანოს რუსი მკითხველი საზოგადოება, არასწორი შეხედულება შეუქმნას ქართული პოეზიის ამ ღირსეულ წარმომადგენელზე.

ფელეტონის საპასუხო წერილის დასაწყისში შ. ჩიტაძე

ეხება კრიტიკოს-ლიტერატორის მიზანს, მის პასუხისმგებლობას. შ. ჩიტაძე წერს: „ვისაც ქართული ლიტერატურისათვის თვალყური უდევნებია, ის უეჭველად შეხვდებოდა ერთ საკვირველ მოვლენას. ქართულ ლიტერატურაში მოღვაწე ხშირად, ძალიან ხშირად, არა სთვლის მოვალეობად ჩაეკითხოს თავისთავს, რა უფლებით გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე და ჩემობს ხალხის მასწავლებლობას, მომეტებული ნაწილისთვის ეს კითხვა არ არსებობს, ისინი გულუბრყვილობით ფიქრობენ, რომ „უკაცობის დროს თომაც აზნაურიაო“ და თამამად ღაღადებენ ბეჭდვითი სიტყვით, რაც კი თავში მოუვათ.

რასაკვირველია, არამკითხე მწერლები ყველგან მოიძებნებიან, მაგრამ სხვაგან, უფრო განათლებულ ქვეყნებში, იმათ „თხზულებებს ბაზარი არა აქვთ. მათი გავლენა ქარწყლდება, ჯერ ერთი, პატიოსან მწერალთა ნაწარმოებით, მეორე, თვით მკითხველების განვითარებით.

ვაი ჩვენს ხალხს! სად არიან პატიოსანი მწერალნი, რომელთათვისაც სიტყვა–საქმეა, რომელთაც ეშინიათ სიტყვასთან ხუმრობისა. ცოტა, ძალიან ცოტაა. უფრო ცოტა მოიძებნება განვითარებული მკითხველი. ჩვენი ხალხი ამ მხრივ ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე დგას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ხალხი ცნობიერებას არის მოკლებული. არა, იგი შეგნებულია იმდენად, რომ კარგად ინელებს მოწოდებულ მასალას, ითვისებს, მაგრამ უკრიტიკოდ, უფრო რწმუნებით, ვიდრე გონებით. ამიტომ ხალხში გასავალი აქვს საღ საქმელთან დამპალსაც. და სწორედ ეს უკანასკნელია სავალალო. არამკითხე მწერლები სწორედ ის მუშაკნი არიან, რომელნიც ასაღებენ ხალხში დამპალ საქმელს. ვისაც გული შეესტკივა ხალხისა და იმის ჭეშმარიტ განვითარებისათვის, მოვალეა გააფრთხილოს გულუბრყვილო მკითხველი და მოარიდოს დამპალ საქმელს“. შიო ჩიტაძე მკითხველს აწვდის თავის შეხედულებას „მერანზე“, რომ ქართული პოეზიის ეს „მარგალიტი“ (როგორც შიო ჩიტაძე უწოდებს „მერანს“) თავისი ღირსების მიხედვით შეფასდეს ქართული ლიტერატურის კრიტიკაში. ეჭვი არ არის, რომ „მერანი“ ამასთან პოეტის სულის მდგო-

მარეობას ხატავს და ამ მხრივადაც ტექსტში არ მოიპოვება არავითარი ნაკლი. „პოეტი აღფრთოვანდა. იგრძნო გოლიათის ძალა და სურს გადაიაროს „ბედის საზღვარი". არასოდეს არ ყოფილა პოეტი მისი მონა და არც ახლა ეშინიან იმის ბასრისა. ფრთებშესხმულ მერანზე პოეტი მიფრინავს წინ, იქ, სადაც ვერ ნახავს მეხთალს, დაუნდობელ სოფელს, რომელიც დასჩხავის ყორანივით და უკან მისდევს. პოეტმა იცის, რა მოელის „განწირულ სულისკვეთებას", იცის, რომ შორეული ვარსკვლავი მოითხოვს მისგან დიდ მსხვერპლს, მის თავს, დათმობას მისგან ყოველივე იმისა, რაც მისთვის საყვარელი იყო დედამიწაზე. პოეტმა იცის ეს, სევდით ევსება გული, მაგრამ მისწრაფება უფრო ძლიერია. პოეტი სთმობს ყველაფერს! ერთი იმედი ანუგეშებს პოეტს და ძალას აძლევს მის ფრთებს: „...ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა, სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს".

6. ბარათაშვილის კრიტიკოსისადმი საპასუხო წერილს ასე ამთავრებს შიო ჩიტაძე: „საბრალო ბარათაშვილო, რა ტლანქი ხელი ეხება შენს უკვდავ პოეზიას!".

ბარათაშვილის შესახებ დაწერილი სტატიებით შ. ჩიტაძემ სავსებით ნათლად დაგვანახვა მისი ლიტერატურული გემოვნება, გვიჩვენა ლიტერატურის კრიტიკოსის ღირსეული სახე, მისი მგრძნობიარე გული, მბატვრული სახის სწორად აღქმის უნარი, „ვაი კრიტიკოსების" წინააღმდეგ გაბედული და სამართლიანი ბრძოლის მეთოდი.

„წვეთი კლდეს ანგრევსო" — სთქვა შ. ჩიტაძემ და მართლაც, რამდენი შხამიანი წვეთი ასხურა მან თავისი სტატიებით ბიუროკრატიულ წყობილებას. ამ წვეთების შეერთების შედეგად მეფის ჟანდარმერიამ თავზარდამცემი ნიაღვარი დაახეთქა თავს ქართველ საზოგადოებას. 1906 წლის 4 ივლისს საღამოს 8 საათზე გამხეცებულმა კაზაკებმა მოკლეს უდანაშაულო, ძალღონით სავსე ახალგაზრდა მწერალი შიო ჩიტაძე. ავაზაკურმა მკვლელობამ მთელი საქართველო შეაძრწუნა. ეს აღმაშფოთებელი აქტი აცნობეს სახელმწიფო სათათბიროს.

563 ქართველი ქალი პეტერბურგში სახელმწიფო სათათ-

ბიროსადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „ჩვენ ტფილისელი ქალები, ეროვნების განურჩევლად, მწარე ცრემლებს ვაფრქვევთ მხეცურად მოკლულ საუკეთესო ადამიანის და საზოგადო მოღვაწის შიო ჩიტაძის გვამზე და ვაცხადებთ ჩვენს ღრმა ზიზღს უდანაშაულო ადამიანის მოკვლისა და გიმნაზიის მასწავლებელთა დაჭრის გამო, იმ მასწავლებელთა, რომელნიც შეიკრიბნენ მშვიდობიან საქმისათვის თავიანთ საჭიროებათა განსახილველად. მოვითხოვთ დაუყოვნებლად სასტიკ გამოძიებას, მკვლელთა და ამწიოკებელთა აღმოჩენას და სამართალში მიცემას. ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ სახელმწიფო სათათბიროს ჩვენი შვილების, ჩვენი ძმების, მამებისა და დედების დაცვა ისეთი ბოროტმოქმედებისაგან, რომელსაც სჩადიან შურისმაძიებელი და გაბოროტებული მთავრობის აგენტები, იმ მთავრობისა, რომელიც მზად არის თავისუფლების დასახშობად მთელი ქვეყანა სისხლით მორწყოს“[1].

ვერაგული მკვლელობის ამბავი დაწვრილებით ეცნობა გაზეთ „მისლის“ რედაქციას, რომ ეს საზარელი შემთხვევა გაეგოთ დიდი რუსეთის ხალხებს, გაეგოთ მეფის ჯალათების მიერ ჩადენილი ეს ავაზაკური აქტი. აი ეს ცნობაც: „...4 ივლისს ვიღაცეები მორგებულის გასაღებით შევიდნენ სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთ ცარიელ დარბაზში და იქედან ყუმბარა ესროლეს ქუჩაში მომავალ პოლიცმეისტერს. იმავე წუთს გიმნაზიას გარს შემოერტყნენ ყაზახები, სტრაჟნიკები და პოლიცია. ჯერ ფანჯრებსა და კედლებს დაუშინეს თოფები და მერე შენობაში შეცვივდნენ. იქ ამ დროს იწყებოდა მასწავლებელთა თათბირი. ყაზახებმა და სტრაჟნიკებმა თოფით მოჰკლეს გიმნაზიის დირექტორი ჩიტაძე მის ბინაზედ და შემდეგ მძიმედ დაჭრეს ხ. ღლონტი, იუსტინე აბულაძე და ჩიტაძის ნათესავი მესხიშვილი. მძიმედ დაჭრილი ხ. ღლონტი ამასთანავე ძლიერ ნაცემია, დანარჩენი მასწავლებლები რაღაც სასწაულად გადარჩნენ. გიმნაზიის მთელი შენობა, ოთახები და მოწყობილობა საშინლად აკლებულია, სტოლები, შკაფები დამტვრეული. წიგნები დახეული, სხვადასხვა კოლექციები

[1] „ახ. „შრომა“, № 76, 1906 წელი.

განადგურებული, აკლებულია აგრეთვე ფიზიკური კაბინეტი, სადაც თითქმის ყველა იარაღი და ისტრუმენტი დამტვრეულია. მოკლული დირექტორისა და სხვა საცხოვრებელი ბინიდან ყველაფერი წაღებულია და აოხრებული. მოკლულ ჩიტაძისათვის წაურთმევიათ ოქროს საათი, ბეჭედი და ფული. აწიოკების სურათი აუწვერელია. ბარბაროსულად მოკლულ ჩიტაძეს და მის დაჭრილ ამხანაგთ საერთო არაფერი აქვთ ყუმბარის გადასროლასთან, ამის ჩამდენნი მიიმალნენ. მიუხედავად ამისა, დაჭრილი ღლონტი ახლაც დაპატიმრებულია კომენდატის სამმართველოში, სხვა დაჭრილები სამხედრო საავადმყოფოში არიან და მათთან არავის არ უშვებენ. პოლიციას განზრახვა აქვს, დაზარალებულთ მოახვიოს თავზე ყოველივე. მთელი საზოგადოება აღელვებულია, თხოულობს მიუდგომელს გამოძიებას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას.

გააცანით სათათბიროს ეს აღმაშფოთებელი ავაზაკობა.

დედა, ცოლი, შვილები გაგიჟებული არიან უზომო სიმწარისაგან. ჩვენც მისი ამხანაგებიც ღრმად ვწუხვართ ქართველი საზოგადოების სასარგებლო წევრის და ჩვენი გაზეთის ნიჭიერი თანამშრომლის დაკარგვას.

„შრომის რედაქცია“.

არ დარჩენილა არც ერთი გაზეთი, რომელსაც ამ საზარელი აქტის შესახებ არ ეთქვას სიტყვა, ქართველი საზოგადოებისათვის ეს მძიმე დანაკლისი არ აღენიშნოს. საქართველოს ყოველ კუთხეს მისწვდა ეს საზარელი ამბავი. ბოლშევიკურმა გაზეთმა „ახალმა ცხოვრებამ“ ამომწურავი სურათი წარმოუდგინა ქართველ საზოგადოებას შ. ჩიტაძის დამსახურების შესახებ და პოლიტიკური თვალთახედვით შეაფასა ეს ფაქტი. „ახალი ცხოვრება“ აღნიშნავდა: ქართულმა გაზეთებმა უკვე გვაუწყეს ამ „პატიოსანი ადამიანის უდროოდ სიკვდილი. თვითმპყრობელობის ავკაცობათა დაუსრულებელ რიგს კიდევ ერთი სიმხეცე მიემატა. ჩიტაძე ერთი საუკეთესო წევრთაგანი იყო მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისა. მისი მოკვლა ჩვენც არა ნაკლებ გვივსებს გულს შურისძიების გრძნობით.

დეე, ეს მსხვერპლიც მუდამ განუშორებელი იყოს ჩვენი

ხსოვნიდან და სისხლის ასაღებად მოგვიწოდებდეს"[1]. ამ პოლიტიკურად მოწინავე გაზეთის თვალსაზრისი შიო ჩიტაძეზე უფრო გაბედული აზრების გამოთქმის უფლებას ანიჭებდა სხვა ორგანოებსაც. სახალხო მოღვაწის მკვლელობას და ქართული გიმნაზიის საზარელ აკლებას, როგორც ვთქვით, დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მას უდიდესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა.

ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სხვადასხვა პოლიტიკური მოაფლმხედველობის ადამიანები, ამხანაგები და მეგობრები, ჩიტაძის მოსწავლეები და ნათესავები უსაზღვროდ გლოვობდნენ ხალხის ინტერესების მედგარი დამცველის, სიმართლის მქადაგებლის და უაღრესად კეთილშობილი ადამიანის დაკარგვას.

ქართველი ხალხი მოითხოვდა მომხდარი ფაქტის სისწორით გაგებას. თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის ოფიციალური ცნობა ჩიტაძის მკვლელობისა და ქართული გიმნაზიის აკლების შესახებ საქმის ვითარებას პირუკუ აჩვენებდა ქართველ საზოგადოებას, კანცელარია ოფიციალურად აქვეყნებდა ასეთ ცნობას: „4 ივლისს, საღამოს 8 საათზე, როდესაც პოლიცმეისტერი როტმისტრი მარტინოვი გენერალ გუბერნატორთან მიდიოდა პეტრე ველიკის ქუჩაზე, თავის სადგომთან რამოდენიმე ნაბიჯზე, სათავადაზნაურო გიმნაზიის მესამე სართულიდან ესროლეს ყუმბარა, რომელმაც მძიმედ დასჭრა პოლიცმეისტერი ხელში და ფეხში, გიმნაზიის შენობაში შევიდნენ პოლიციელები და ჯარი, დაატყვევეს ერთი ბოროტმოქმედთაგანი, ხოლო მეორე მოკლეს წინააღმდეგობის გაწევის გამო. იმ ფანჯარაზე, საიდანაც ყუმბარა იყო ნასროლი, იპოვეს სასროლად მომზადებული მეორე ყუმბარა".[2] ამ ოფიციალურ ცნობაში მოთხრობილი ამბავი სიმართლეს არ შეეფერებოდა, ვინაიდან ეს მეფის ჯალათების მონაჭორი ამბავი იყო. ამ მონაჭორმა კიდევ უფრო გაარკეცა საზოგადოების გულისწყრომა. გუბერნატორ შირინკინის კანცელა-

---

[1] გაზ. „ახალი ცხოვრება", 1906 წ., № 14.

[2] იქვე, № 13.

რის შეთითხნული ცნობა გაზეთ „შრომის“ რედაქციამ შეამოწმა, ბოროტმოქმედების ადგილზე გაიგზავნა კომისია და ბოროტმოქმედების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა სავსებით საწინააღმდეგო სურათი: ყუმბარა გადმოუგდიათ მეორე სართულიდან და არა მესამედან, შენობის მარჯვენა მხარეს... შენობის ერთი კუთხიდან გადააგდეს ყუმბარა და აიკლეს სულ სხვა კუთხე, ის მხარე შენობისა, სადაც ჩიტაძე და სხვა მასწავლებლები იყვნენ. ყუმბარის ხმაზე მოვარდნილან პოლიციელები, ყაზახები და საიდანღაც ერთი რაზმი სალდათებისა. შეუმტვრევიათ გიმნაზიის შესავალი ორივე კარი და იერიშით შევარდნილან შიგ შენობაში. ამ სროლასა, ხმაურობასა და მტვრევაზე მასწავლებლები გამოვარდნილან გარეთ და აქეთიქით გაქცეულან დასამალავად. გორგაძე (სერგი გორგაძე, გამოჩენილი მკვლევარი. — ლ. მ.) კიბეზე მესამე სართულზე ავარდნილა ჩიტაძის ბინაზე, ხოლო აბულაძე, (იუსტინე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გარდაიცვალა 1962 წელს. — ლ. მ.) დევდარიანი და სხვანი ძირს ჩასულან და სარდაფის იმ ბნელი ძველი ნივთების საწყობში შემალულან, რომელიც დირექტორის სადგომის ქვეშ იყო, როგორც ეტყობა ხარლამპი ღლონტი სამასწავლებლო ოთახიდან არ წასულა, ამიტომ ყველაზე ადრე იმას სტაცეს ხელი და მხეცურად დაუწყეს ცემა, თავი გაუხეთქეს და ყელის გამოჭრა დაუპირეს, მაგრამ ამ დროს ერთი ოფიცერი შესულა და ცოცხალ-მკვდარი გადაურჩენია.

ბარბაროსებს განუგრძვიათ შესავლიდან მთელი სადგომის აკლება... როცა ორ ქვედა სართულზე გაუთავებიათ საქმე, მესამეზე ასულან, სადაც ცხოვრობდა (ერმოლოვის ქუჩის მხარეს და არა პეტრე ველიკის ქუჩისაკენ, როგორც გუბერნატორის კანცელარიის ოფიციალურ ცნობაში იყო — ლ. მ.) შიო ჩიტაძე. როგორც ირკვევა მას სძინებია სასადილო ოთახის გვერდით საწოლ ოთახში. ამას ადასტურებს გ. ლასხიშვილის მოგონება, რომელიც თავის მემუარებში მოგვითხრობს „შიო ჩიტაძე ყუმბარის ხმამ გააღვიძა, გადაიხედა ფანჯარაში და მასწავლებლებს სთხოვა ზევით ასულიყვნენ. როცა ხმაურობა გაძლიერდა და ჩიტაძის კაბინეტს მიუახლოვდა, ჩიტაძე

გავიდა ამბის გასაგებად და შესაძლო ღონისძიებების მისაღებად. დაუნახავს მისკენ მიმავალი ყაზახები და უკითხავს „Что тут происходит, что вы тут делаете? — ყაზახებს მაშინვე თოფი დაუხლიათ შუბლში". (სერგი) გორგაძე შიოსთან შევარდნილა, შიო სასადილო ოთახში გამოსულა და იქ კარებთან დამდგარა... ჯალათებს ზედ მიუდვიათ თოფი და უსვრიათ ყბას ზემოთ, დაჭრილი მოტრიალებულა მარცხნით და დაცემულა. ავარდნილი სისხლით კედელია შეღებილი. იატაკიც, სადაც დაცემულა, სისხლითაა მოსვრილი. შემდეგ შედგომიან მთელი სადგომის აკლებას.. მომაკვდავისათვის აუგლეჯიათ ოქროს საათი... და რაც ჯიბეში ჰქონია, წაუღიათ". ამ შემაძრწუნებელ სურათს კიდევ მეტად მძაფრად აგვიწერს „ახალი დროება", რედაქციას კიდევ ხელახლა შემოწმება უწარმოებია, მკვლელობის ადგილზე კომისია გაუგზავნია და შემოწმების შედეგად ასეთ ცნობას გვაწვდის ეს გაზეთიც: „დანგრეულია სასწავლებლის წიგნსაცავი, წიგნები სულ ერთიანად დახეულია, მთელ შენობაში ყოველ ფეხის გადადგმაზე ემჩნევა სისხლის წვეთები, ეტყობა დაჭრილ მასწავლებელთ ბევრი ურბენიათ, რომ როგორმე თავისათვის ეშველნათ. ყველაზე უფრო გულის მომკვლელია დირექტორის — შიო ჩიტაძის სადგომი. სასადილო ოთახი, სადაც განსვენებული მოუკლავთ, სისხლით არის მოსვრილი. იატაკზე დამხმარი ტბაა სისხლისა. მოსვრილია სისხლით კედლები და ჭერიც, ეტყობა სისხლის კამარას ჭერში აუსხამს. სტოლზე ძევს სისხლით გასვრილი დანა, ალბათ ამ დანით გამოსჭრეს შიოს ყელი". ამრიგად, ქართველმა საზოგადოებამ დაწვრილებით გაიგო ავაზაკობის შემაძრწუნებელი ნამდვილი სურათი, ამის გამო უფრო მძიმე მწუხარების მომგვრელი იყო შიო ჩიტაძის დაკარგვა. ამ უბედურმა შემთხვევამ უსაზღვრო გახადა გლოვა-მწუხარება ახლო მეგობრებისა და ქართველი საზოგადოების.

მეფის ხელისუფლება წინასწარ გრძნობდა, რომ შიო ჩიტაძის დაკრძალვის დღე საყოველთაო ფიცისა და აღქმის დღედ გადაიქცეოდა. ამიტომ დაკრძალვის დღეთ გამოცხადებული 8 ივლისის დღის 4 საათი ხელისუფლებამ მოულოდნელად

შეესცვალა. გადასწყვიტეს, რომ დასაფლავება მომხდარიყო დილის 10 საათზე. მთავრობა შეეცადა ხელი შეეშალა საზოგადოების დასწრებას შიო ჩიტაძის დასაფლავებაზე. მიუხედავად ამისა, შიო ჩიტაძის დასაფლავება სახალხო დემონსტრაციად იქცა, ულევი ტალღა ხალხისა ყოველი კუთხიდან ემატებოდა პროცესიას.

შიო ჩიტაძის დაკრძალვა გადაიზარდა პოლიტიკურ დემონსტრაციაში. პილიცია ავიწროებდა მოზღვავებული ხალხის დენას. მიუხედავად ამისა, მისი საფლავი დაიტირა მთელმა საქართველომ. საფლავზე წარმოითქვა უამრავი სიტყვა, წაიკითხეს ლექსები, ეს სიტყვები და ლექსები ხელმოუწერლად ინახება არქივში[1]. ისინი არ დაბეჭდილა და მკითხველი საზოგადოება მას არ იცნობს. ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ ხელმოუწერელ სამგლოვიარო სიტყვების ზოგიერთ ტექსტს. ამ მასალიდან ადვილად ირკვევა, რომ სიტყვები და ლექსები ეკუთვნით მუშებს და შიო ჩიტაძის მოწაფეებს.

ჩიტაძის მკვლელობის შესახებ ვრცელი ცნობებია გამოქვეყნებული. გაზეთ „შრომის" მე-16 ნომერში შიო ჩიტაძის დასაფლავებასთან დაკავშირებით მოთავსებული წერილები, ხელმოუწერელი სამგლოვიარო სიტყვები და საარქივო ფონდში არსებული ლექსები, ჩვენი აზრით, ერთი დამატებითი ფურცელია 1905—6 წლების ქარიშხლიანი პერიოდის კიდევ უფრო ნათელსაყოფად, ქართველი საზოგადოების თვალსაზრისისა და გულისწყრომის უფრო ვრცლად წარმოდგენისათვის. ამის გამო შეეცადეთ უფრო ფართოდ განგვეხილა ეს ერთი ფურცელი პირველი რევოლუციის ისტორიიდან საქართველოში. გაზეთ „შრომაში" დაბეჭდილი სამგლოვიარო წერილებია: „უკანასკნელი სალამი", „შიოს საფლავის წინაშე", „ამხანაგს და წინამძღოლს" — სტატია ალ. მიქაბერიძისა, „შიოს ხსოვნას" მოწერილია — განსვენებულის მოსწავლენი, „ჯალათების მსხვერპლი" — ხელს აწერს მუშა. „გახსოვდეს" — ხელს აწერს ამხანაგი, ლექსი განდეგილისა „შიოს წინაშე" და „შიო ჩიტაძე" — ნეკროლოგი.

---

[1] სახალხო განათლების მუზეუმის ხელნაწერთა ფონდშია თავმოყრილი.

დაწვრილებით შევჩერდებით ზოგიერთი წერილის შინაარსზე. წერილებში გამოთქმული გულისწყრომა განუზომელია, აქ მოჩანს გაბედული წყევლა მთავრობისადმი, საერთო სახალხო ზიზღი მათი ვერაგული საქციელისადმი და აშკარად წარმოთქმული მუქარა, შეუპოვარი ტონით გაკიცხვა ჯალათებისა. მივყვეთ ტექსტს: „უკანასკნელი სალამი, — მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო შიო! ახლად გათხრილი საფლავის წინ ფიცსა ვდებთ, რომ შენს უზომო მსხვერპლს არ დავივიწყებთ და არ დავივიწყებთ შენს ჯალათებსაც სანამ ცოცხალი იქნება უკანასკნელი ჩვენთაგანი. მტერმა კარგად იცოდა ვის კლავდა. იცოდა, რომ შენ არ გადაგისვრია ყუმბარა და არც გიბრძანებია სხვისათვის მისი გადასროლა, მაგრამ შენ იყავი პატიოსანი მებრძოლი, მედგარი დამცველი ხალხის ინტერესებისა, დაუღალავი მქადაგებელი სიმართლისა. გაბოროტებული მტერი შენი, დაუძინებელი მტერია ხალხისა და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა და სწორედ ამიტომ მოგისია მხეცი და შეუგნებელი ჯალათები... მრავალტანჯულმა ხალხმა ვიცით, ვინ არის ნამდვილი მკვლელი და ავაზაკი... ვისი წინაგანზრახვითაა და ვისი ბრძანებით იყავი შენ მოკლული და წამებული. მ ო ვ ა დ ღ ე და შ ო რ ს ა რ ა რ ი ს ი ს, როცა ნამდვილი მკვლელები და ავაზაკები წარსდგებიან ხალხის საშინელ სამსჯავროს წინაშე... კარგად იცოდნენ, რას და ვის გვართმევდნენ, როცა შენზე აიღეს მახვილი. მაგრამ ერთში სცდებიან: მათ არ იციან, რომ ყოველი ახალი მსხვერპლი აძლიერებს, აცხოველებს ბრძოლას, ახალ გმირებს ჰბადებს და უფრო მაღლა ისვრის აბობოქრებულ ტალღებს, რაც უფრო დიდი და საგრძნობელია მსხვერპლი, მით უფრო ძლიერდება შურისძიების ალი და მებრძოლთა მხნეობა... შენის უკანასკნელი წერილებით აფრთხილებდი ხალხს: შავბნელი ძალები ძალას იკრებენ ახალი შებრძოლებისათვის, მაგრამ ხალხი უძლეველია და ახალი მსხვერპლი უქმად არ ჩაივლისო... დაუვიწყარო შიო, მხურვალედ გსურდა მოსწრებოდი ნათელ დღეებს, მაგრამ ბედმა გიმტყუნა. შენი უკანასკნელი სულის ამოსვლა უთუოდ შეუდრეკელი რწმენა და იმედი იყო, რომ გამარჯვება თავისუფლებისათვის მებრძოლთ

ხვდება და არა იმ ბარბაროსთ, რომელთაც შენ სიცოცხლე მოგისპეს. შენს სპეტაკ გულსა და სულს უკანასკნელ სალამს უძღვნით მოწიწებით შენი ამხანაგები"... ამ წერილში მწარე გლოვა-კვნესასთან შერწყმულია მეექარა, მომავლისადმი რწმენა და აღიარება იმისა, რომ მძიმე დანაკარგის საწინდრად გაათკეცდება ბრძოლა მაღალი იდეალის განსახორციელებლად, რომლისთვისაც იბრძოდა უდანაშაულო მსხვერპლი, შიო ჩიტაძე.

ჩვენ ზემოთ გავეცანით თვით შიო ჩიტაძის დამოკიდებულებას 1905 წლის მოძრაობასთან და მის იდეურ თვალსაზრისს. ირკვევა, რომ ასეთივე თვალსაზრისი, წამყვანი თვალსაზრისი იყო იმ პერიოდში ქართველი საზოგადოებისათვის. ზემოთდასახელებული წერილებიდან პირველი მოწინავე წერილის აზრი გავიცანით, თითქმის მთლიანად წარმოდგენილი ტექსტის საშუალებით. განვიხილოთ სხვა დანარჩენი წერილები...

წერილში „ჯალათების მსხვერპლი" ხალხის გულისწყრომა საზღვარს სცილდება: „მტარვალის მურდალმა ხელმა მოგვიკლა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლეს მოწყურებული, ჯანღონით აღსავსე პატიოსანი კაცი. აღარ გვყავს შიო ჩიტაძე! ვინ იყო შიო ჩიტაძე? — იგი იყო დაუძინებელი მტერი დღევანდელ დახავსებულ წესწყობილებისა, სხვებთან ერთად იმასაც მიჰქონდა მედგარი იერიში ბიუროკრატ თვითმპყრობელობაზე. იმასაც სწყუროდა თავისის თვალით ენახა სიკვდილი მჩაგვრელისა და თავისუფლება ჩაგრულისა.

მასაც უნდოდა მშრომელ ხალხთან ერთად ანგარიში გაეწია ძველისათვის. ამავე დროს ის იყო აღმზრდელი ჩვენის მოსწავლე ახალთაობისა, აღმზრდელი იშვიათი, სამაგალითო. მისი მიზანი იყო ჩაენერგა ახალთაობისათვის სიყვარული თავისუფლებისა, ერთობისა და ძმობისადმი... ვინ მოუღო ბოლო ამ პატიოსან კაცს? — ვინც დღემუდამ გაიძახის: — მე ვარ წესიერების დამცველიო. მხოლოდ მე შემიძლიან მშვიდობიანი ცხოვრების დამყარებაო — არა და ათასჯერ არა, დღევანდელ მთავრობას არასოდეს არ შეუძლიან წესიერების დაცვა, იგი უწე-

სობასა და უსამართლობაზეა აღზრდილი: იმას თავისთავი დამნაშავედ არ მიაჩნია მაშინაც კი, როცა ბრალიანსა და უბრალოს, მოხუცსა და ბავშვს არ ინდობს და შეუბრალებლად ხიშტზე აგებს, იმას უნდა დაამყაროს წესიერება, ზიზღი და სიძულვილი მას". გლოვისა და ჩივილის გარდა ამონაწერში მსჯელობაა, შეფასება არის მთავრობის მოქმედებისა. პროტესტია და მოწოდება ხელისუფლების წინააღმდეგ. „ზიზღი და სიძულვილი მას" (ბიუროკრატიულ მთავრობას-ლ. მ.). ამ წერილის ბოლოს უფრო მკვეთრი, კატეგორიული მოწოდებაა, საბრძოლო ლოზუნგია ჩამოყალიბებული: „შიო წავიდა იქ, სადაც წავიდნენ საუკეთესო ამხანაგები, მრავალნი მებრძოლნი თავისუფლებისათვის. სამაგიეროდ, ეხლა უფრო მეტი გაჩნდება ხალხის ტკივილით გამსჭვალული, ხალხისათვის თავდადებული.

მაშ, მოგმართავთ ამხანაგებო! ყველას, რა პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეთ, შეერთდით მჭიდროდ, თავისუფალი ცხოვრების მოსაპოვებლად, ძველის დასანგრევად და ახლის დასამყარებლად — მუშა". „არ გვმართებს ტირილი, რადგან წინ საქმე მოგველის, რომლისთვისაც გვჭირია სიმხნევე, ვაჟკაცობა და არა ცრემლი! ამხანაგებს გვახსოვს ეს! გვახსოვდეს მტერი!" — წერილის ავტორია „ამხანაგი". ეს დოკუმენტი ისეთი ხასიათისაა, სადაც საქვეყნოდაა აღიარებული ხალხის გულისპასუხი — შურისძიების წყურვილი. სადაც დახასიათებულია პირველი რევოლუციური პერიოდის მეფის მთავრობის შეუწყნარებელი პოლიტიკა. „არა და ათასჯერ არა! დღევანდელ მთავრობას არასოდეს არ შეუძლიან წესიერების დაცვა, იგი უწესობასა და უსამართლობაზეა აღზრდილი. მოხუცსა და ბავშვს, ბრალიანსა და უბრალოს არ ინდობს და შეუბრალებლად ხიშტზე აგებს". ასეთი იყო ჭეშმარიტი სურათი ამ პერიოდისათვის მთელი რუსეთის ტერიტორიაზე და კერძოდ საქართველოშიც. „ზიზღი და სიძულვილი მას!" — ასეთი იყო ხალხის პასუხი „შავი რაზმის" საქ-

მიანობისადმი. ეს წერილი აშკარად გვიჩვენებს, რომ 1906 წლის ივლისისათვის ქართველ ხალხს დიდი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. „არ გვმართებს ტირილი, რადგან წინ საქმე მოგველის, რომლისთვისაც გვჭირია სიმხნეევ, სიმამაცე, ვაჟკაცობა და არა ცრემლი". შენელებული, უკანდახეული პირველი რევოლუციის ცეცხლი, მთავრობისაგან სასტიკად გამასპინძლებული ხალხი საქმეს დამთავრებულად როდი სთვლის, სიმხნევისა და ვაჟკაცობის განმტკიცებაზე ოცნებობენ საქართველოს მებრძოლებიც. დიდი რუსი ხალხის მებრძოლებთან ერთად ემზადებიან შეტევისათვის, იკრებენ ძალებს: „ამხანაგებო! გახსოვდეთ მტერი!". ცარიზმი ხალხის მოსისხლე მტერია და მის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა ბოლომდე. ჯალათი მინისტრების და მეფის ბრძანებებს: „— ნაკლები დააპატიმრეთ, — მეტი დახვრიტეთ! — დაჭერებს თავი ანებეთ და ცეცხლით იმოქმედეთ!" და ამის მსგავს განკარგულებებს ამიერკავკასია და საქართველო მორჩილებით და შიშით არ შეხვედრია, — პირიქით, მწვავე წინააღმდეგობით, მედგარი გამოსვლებით ხვდებოდა: — „დავირაზმოთ, საქმეა საკეთებელი, გვახსოვდეს მტერი" — ასეთი იყო პასუხი საქართველოს რევოლუციური საზოგადოებისა, იმ მძიმე პერიოდში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხელმოწერილი, დაუბეჭდავი წერილები და ლექსები, რომლებიც დაწერილია შიო ჩიტაძის დასაფლავებასთან დაკავშირებით უფრო ფართოდ წარმოგვიდგენს საზოგადოების გულისწყრომას და მომავლის იმედსაც. მრავალრიცხოვანი მასალიდან ჩვენ წარმოვადგენთ მხოლოდ ნაწილს.

ერთ წერილში[1] ასეთი ფიცია წარმოთქმული: „მალე დაგვიდგება ის სანატრელი წამი, როდესაც მოვითხოვთ სისხლს სისხლით. თავზეხელაღებულ ჯალათ მთავრობას და ძვირფას შიოს განგმირავთ ჩავურჭობთ გულში შხამიან მახვილს. ო, ამ დაურღვეველ პირობას ვსდებთ, დაუვიწყარო შიო, შენი ცხედრის წინაშე..."

---

[1] წერილი № 1.

უფრო მტკიცე და გაბედული გადაწყვეტილების გამომხატველია სხვა დანარჩენი სიტყვები. ასე, მაგ. „საზიზღარი მთავრობა ვერ გაძღა აუარებელ მსხვერპლთა სისხლით. ჩვენ ვიცოდით, რომ ის კიდევ არა ერთსა და ორ ზვარაკს დაკლავდა თავისუფლების წმინდა ტრაპეზზედ, ვიცოდით, რომ ის პროლეტარიატის და გლეხობისაგან სასიკვდილოდ დაჭრილი, — კიდევ ძლიერ თავგანწირულ მებრძოლთ გამოასალმებდა წუთისოფელს, ვიცოდით ყოველივე და ამიტომ არ გვიკვირს, რომ მოულოდნელად დავკარგეთ ეს ჩვენთვის და ხალხისათვის ძვირფასი ადამიანი... შიოს უდროვო სიკვდილი არ გვიკვირს იმიტომ, რომ დღეს აშკარა ბრძოლა სწარმოებს ბნელსა და ნათელ ძალთა შორის“. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შექმნილი ლექსები.

გაზეთ შრომის № 76, სამგლოვიარო ნომერში დაიბეჭდა მწერალი ქალის — განდეგილის ლექსი:

„...ძალმომრეობამ ბინძური ხელი
ურცხვად შეახო პატიოსან გულს
და შეუწყვიტა სიცოცხლის ძაფი
გრძნობას სპეტაკსა, აღფრთოვანებულს.

ერთად ერთია აქ ჩვენი მსჯავრი,
თუ აღქმას დავდებთ წმინდას, საეროს,
რომ შურს ვიძიებთ ერთი ათასად,
ჯალათს მივუზღავთ სამაგიეროს“.

ასეთივე მუქარა გაისმის თითქმის ყველა ლექსში, რომელიც კი დაიწერა, ამ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით. ლექსში „ეძღვნი“ იგივე მოტივია:

„იცოდე შიო, რომ იმ მტარვალებს
სისხლი უმანკო ვინც დაგიღვარა,
ძლევამოსილი ხალხი ანანებს,
ეცდება ქვეყნად აღგავოს ჩქარა.

ჩაგრულთ რისხვის ხმა — „სიკვდილი მკვლელებს!“
ისრის უმალეს მოეფინება,
ტყვეითვე ხალხი, ტყვეის მხმარებლებს,
ალად ცეცხლისად მოეკლინება“.

ქართველ საზოგადოებას გაუორკეცდა, გაუახლდა მწუხარება: შიო ჩიტაძის მეუღლე, უსტინა კირილეს ასული შჩერბანი დაიღუპა მეუღლის მკვლელობის თვენახევრის შემდეგ. გ. ლასხიშვილი თავის მემუარებში გადმოგვცემს უსტინა შჩერბანის შესახებ: „ამ კეთილშობილ ადამიანზე შიოს მოკვლამ ისეთი საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ საწამლავი დალია და წუთისოფელს გამოესალმა.

უკრაინის მკვიდრმა შვილმა, უსტინა ჩიტაძისამ სამშობლოს დარად შეიყვარა საქართველო, ის ღირსეული ქმრის უზომოდ პატივისმცემელი იყო. მათ ურთიერთ პატივისცემას მაღალი სულიერი თვისებების მსგავსება უფრო მეტად ზრდიდა, უსტინა პატივს სცემდა იმ კეთილშობილურ საქმეს, რასაც საზოგადოების სამსახური ერქვა. ეხმარებოდა და ხელს უწყობდა უახლოეს ადამიანს, ქმარსა და მეგობარს, შიოს მოკვლით პატიოსანი ქალისათვის მოკვდა ყველაფერი, მოკვდა ამქვეყნიური სიხარული, თავიცა და შვილებიც ანაცვალა საყვარელ მეუღლეს“.

უსტინა შჩერბან-ჩიტაძის თვითმკვლელობა მეტად მძიმე და სამწუხარო აღმოჩნდა ქართველი საზოგადოებისათვის. გაზეთმა „შრომამ“ გამოაქვეყნა დიდი წერილი ამ კეთილშობილი უკრაინელი ქალის დაკარგვის გამო: „გარდაიცვალა განსვენებული შიო ჩიტაძის მეუღლე, უსტინა კირილეს ასული. დაიღუპა მთელი ოჯახი იმ ბარბაროსობისაგან, რომელიც ოთხ ივლისს თბილისში ჩაიდინა გამხეცებულმა ბნელმა ძალამ! ორი ახალგაზრდა ადამიანი, კეთილშობილი და მაღალი ბუნების ადამიანი იმსხვერპლა დაუნდობელმა და ბოროტმა მტერმა... უზომო მწუხარება გამოიწვია მთელს ჩვენს ქვეყანაში — ეს ახალი საშინელებაც, რომელიც ზედ დაერთო შიოს ტრაგიკულ სიკვდილს... უსტინა კირილეს ასული ჩვენი ქვეყნის შვილი არ იყო. უკრაინის შვილი, განათლებული, ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე, გატაცებული თანამედროვე მოძრაობით და მსურველი მუშაობისა, ხალხისათვის სამსახურისა. მას თავზარი დასცა საყვარელი მეუღლის ტრაგიკულმა სიკვდილმა. იმ შავბნელ დღიდან საცოდავი

გონს ვერ მოვიდა, ვერ შეურიგდა თავის ბედს და ბოლოს თან გადაჰყვა ადამიანს, რომელიც გაგიჟებით უყვარდა, რომლისთვისაც დასტოვა ძვირფასი სამშობლო, თავისიანები, მეგობრები, ნაცნობები და გადმოიხვეწა უცხო თემში. დიდი იყო ეს მსხვერპლი, მაგრამ განსვენებულმა ესეც არ იკმარა და ეხლა თავისთავიც დასდო...

საცოდავ უსუსურ ბავშვების ბედმაც, მათმა ობლობამაც ვერ შეარიგეს ეს იშვიათი ადამიანი სიცოცხლესთან".

ასე დამთავრდა შიო ჩიტაძისა და მისი მეუღლის სიცოცხლე, სიცოცხლე ორი ადამიანისა, რომელთა სიყვარული მტკიცე და შეურყეველი იყო, რომელთა ურთიერთობაც სიმბოლიურად გამოხატავდა ორი ერის ჯერ კიდევ შეუცნობელ მეგობრულ ურთიერთობას. მათი ურთიერთდამოკიდებულება სამაგალითო იყო.

ორი ერის უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ეს ერთი უხილავი ბეწვიც ჩაწყვიტა ამ ხალხების წარსულის ტრაგიკულმა ერთბედობამ. საუკუნეთა მანძილზე მტერთაგან შევიწროებული ორი ქვეყნის წარსულის სიმბოლური სურათია ეს ტრაგიკული ფინალიც.

ვიმეორებთ ისევ შიო ჩიტაძის სიტყვებს: „რაგინდ შავბნელი იყოს ირგვლივ უკუნეთი, მაინც ვერ დაჩრდილავს, ვერ ჩააქრობს ელვარე სხივს. სხივი მტერია უკუნეთის, მასზე მძლავრია და ამიტომაც გამარჯვებულიც".

ელვარე სხივის გამარჯვების რწმენა ჩაიტანა საფლავში ბნელეთის ძალების მსხვერპლმა.

შიო ჩიტაძეს სურდა ხალხთა ბედნიერება, ხალხთა შემჭიდროება, ოცნება დიდი მოღვაწისა ჭეშმარიტ და საყოველთაო საქმედ იქცა ძმურ საბჭოთა ქვეყანაში. ქართველი და უკრაინელი ხალხი არ დაივიწყებს შიო ჩიტაძის შრომასა და მოღვაწეობას. საქართველოს მშრომელებმა და საბჭოთა მთავრობამ ქ. თბილისში ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას შ. ჩიტაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი უწოდა.

შიო ჩიტაძის რწმენას შარავანდედი დაედგა. საბჭოთა ქვეყანა არის განმახორციელებელი იმ იდეალებისა, რისთვისაც იბრძოდა შიო ჩიტაძე.

შინაარსი

გორის სასულიერო სასწავლებელი	4
თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდი	8
უნივერსიტეტის პერიოდი	17
შიო ჩიტაძის მოღვაწეობა კიევში	32
თბილისში მუშაობის პერიოდი	53